

**სოფლის მეურნეობის,  
მინის და წყლის  
მართვის პოლიტიკა  
საქართველოში მდგრადი  
აგროსასურსათო  
სისტემების მასშტაბის  
გაზრდის მიზნით**



## © 2022 მსოფლიო ბანკი

The World Bank

1818 H Street NW, Washington, DC 20433

ტელ.: 202-473-1000; ინტერნეტი: [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)

ეს ნაშრომი არის მსოფლიო ბანკის თანამშრომელთა მუშაობის შედეგი. აუცილებელი არ არის, რომ მასში მოცემული მიგნებები, ინტერპრეტაცია და დასკვნები ყოველთვის ასახავდნენ მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორების ან მათ მიერ წარმოდგენილი მთავრობების შეხედულებებს. მსოფლიო ბანკი არ იძლევა ამ ნაშრომში მოყვანილი მონაცემების სიზუსტის გარანტიას. მასში მოცემულ რუკებზე ნაჩვენებია საზღვრები, ფერები, აღნიშვნები და სხვა ინფორმაცია არ გულისხმობს მსოფლიო ბანკის დასკვნას აღნიშნული ტერიტორიის სამართლებრივი სტატუსის შესახებ ან მის მიერ ამ საზღვრების აღიარებას თუ მხარდაჭერას.

## უფლებები და ნებაართვები

ამ დოკუმენტში მოყვანილ მასალებთან დაკავშირებით საავტორო უფლებები დაცულია. იმის გამო, რომ მსოფლიო ბანკი ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას, არაკომერციული მიზნებისათვის მისი ასლის გაკეთება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებადართულია იმ პირობით, რომ ეს დოკუმენტი მითითებული იქნება.

უფლებებისა და ლიცენზიების შესახებ, მათ შორის მეორადი საავტორო უფლებების შესახებ ყველა კითხვებით, გთხოვთ მიმართოთ მსოფლიო ბანკის გამომცემლობას შემდეგ მისამართზე: The World Bank, 1818 H Street NW, Washington, DC 20433, USA; ფაქსი: 202-522-2625; ელექტრონული ფოსტა: [pubrights@worldbank.org](mailto:pubrights@worldbank.org).

**სოფლის მეურნეობის,  
მინის და წყლის  
მართვის პოლიტიკა  
საქართველოში მდგრადი  
აგროსასურსათო  
სისტემების მასშტაბის  
გაზრდის მიზნით**

# Contents

აკრონიმები და აბრევიატურები .....	01
მადლიერების გამოხატვა .....	02
წინასიტყვაობა .....	03
დარგობრივი პოლიტიკის შემაჯამებელი მიმოხილვა .....	06
<b>CHAPTER 1.</b>	
<b>შესავალი .....</b>	<b>24</b>
<b>CHAPTER 2.</b>	
<b>საქართველოში სოფლად განვითარებული მოვლენები და კონტექსტი .....</b>	<b>32</b>
A. მთავრობის პოლიტიკა და სტრატეგიული მიზნები სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში .....	33
B. სოფლის მეურნეობის სექტორში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები.....	38
C. ბოლოდროინდელი მოვლენები წყლის რესურსების მართვის განვითარებაში	52
D. მიწის მართვის სექტორში არსებული მდგომარეობა და მუშაობის შედეგები .....	55
<b>CHAPTER 3.</b>	
<b>2030 წლისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაგეგმილი წინსვლის რეალიზაცია: .....</b>	<b>60</b>
კონკურენტუნარიანობა .....	61
მდგრადობა .....	76
კლიმატმდეგობა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილება.....	87
<b>CHAPTER 4.</b>	
<b>წინსვლა ზრდისა და მდგრადობისკენ .....</b>	<b>94</b>
<b>დანართები .....</b>	<b>98</b>
რძის წარმოების ქვესექტორის კონკრეტული მაგალითის ანალიზი - მყიდველისა და მწარმოებლის წარმატებით ინტეგრირებული გამოცდილება ( <i>სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021</i> ) .....	99
ხორცისა და საღვინე ყურძნის ქვესექტორების კონკრეტული მაგალითების ანალიზი - <i>საკონტრაქტო ფერმერობის გამოცდილება</i> (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021) .....	101
თხილის ქვესექტორის კონკრეტული მაგალითის ანალიზი - <i>მწარმოებელი ორგანიზაციის გამოცდილება</i> (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021წ.) .....	104
გამოყენებული ლიტერატურა .....	106

# აკრონიმები და აბრევიატურები

<b>AMMAR</b>	სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი	<b>IFAD</b>	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
<b>ASAP</b>	მცირე მეურნეობების ადაპტაციის პროგრამა	<b>ISET</b>	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
<b>CSA</b>	კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა	<b>IWRM</b>	წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა
<b>ECA</b>	ევროპა და ცენტრალური აზია (რეგიონი)	<b>M&amp;E</b>	მონიტორინგი და შეფასება
<b>ENPARD</b>	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა	<b>MEPA</b>	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
<b>EU</b>	ევროკავშირი	<b>NAPR</b>	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
<b>FAO</b>	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია	<b>NASP</b>	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
<b>GA</b>	საქართველოს მეღიორაცია	<b>NSDI</b>	ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა
<b>GDP</b>	მთლიანი შიდა პროდუქტი	<b>O&amp;M</b>	ოპერირება და ტექნიკური მომსახურება (მოვლა-შენახვა)
<b>GEL</b>	ქართული ლარი (ვალუტა)	<b>OECD</b>	ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
<b>GHG</b>	სათბურის აირი	<b>RAPDI</b>	სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი
<b>GHGA</b>	საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია	<b>RDA</b>	სოფლის განვითარების სააგენტო
<b>GHMD</b>	საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი	<b>UNFCCC</b>	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია
<b>GoG</b>	საქართველოს მთავრობა	<b>VGGT</b>	ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში მიწის, მეთევზეობისა და ტყეების პასუხისმგებლიანი მფლობელობისა და მართვის ნებაყოფლობითი წესები
<b>GRID</b>	მწვანე, მედეგი და ინკლუზიური განვითარება (მიდგომა)	<b>WUO</b>	წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია
<b>hg/ha</b>	ჰექტოგრამი / ჰექტარზე		
<b>I&amp;D</b>	ირიგაცია და დრენაჟი		
<b>ICT</b>	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია		

# მადლიერების გამოხატვა

ამ „შემაჯამებელი ანგარიშის“ ავტორები არიან აირა ჰტენასი, რანუ სინტა, ნედეჟე ორლოვა და პიერიკ ფრავალი. დოკუმენტის მომზადებაში დამატებითი წვლილი შეიტანეს რუფიმ ვახიდ ჩირაგ-ზადემ, იან იოსტ ნიჟოფმა, სვეტლანა ვალიევამ, აგრეთვე ბოჟენა ლიპეჟმა, რიჩარდ გროვერმა და დავით ეგიაშვილმა (დამოუკიდებელმა კონსულტანტებმა) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევართა გუნდმა: სალომე დეისაძემ, სალომე გელაშვილმა, ია კაციამ და ნორბერტო პინიატიმ. ანგარიშში გამოყენებული იყო ირინა ი. კლიჩნიკოვას და სერგი ზორიას რჩევები. მილიცა ხოშტარიამ, მარიამ ღამბაშიძემ და როზალი კუნგ ტრინიდადმა ფასდაუდებელი ადმინისტრაციული დახმარება გაუწიეს ავტორებს ამ სამუშაოს განხორციელებისა და დასრულების პროცესში.

ვიქტორია სტენლიმ, ჯოპ სტოუტჯესდიკმა, კრისტოფერ იან ბრეტმა და იოანის ვასილიუმ მოგვანოდეს დეტალური და სიღრმისეული კომენტარები.

ზოგადი მითითებები მოგვანოდეს: ევროპისა და ცენტრალური ამიის რეგიონის „სოფლის მეურნეობისა და სურსათის გლობალური პრაქტიკის“ ადმინისტრაციულმა დირექტორმა ფრაუკე იუნგბლუტმა; პროექტის დაწყებისა და დასრულების პროცესში ევროპისა და ცენტრალური ამიის წყლის რესურსების მართვის გლობალური პრაქტიკის მოქმედმა ადმინისტრაციულმა დირექტორებმა დევიდ მიჩოლმა და უინსტონ იუსმა; ურბანული საკითხების წამყვანმა სპეციალისტმა ელენ ჰამილტონმა, ევროპისა და ცენტრალური ამიის ურბანული მართვის, კატასტროფების რისკების მართვისა და მიწის მართვის გლობალური პრაქტიკის წარმომადგენელმა; სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სებასტიან მოლინეუსმა და პროგრამის ხელმძღვანელმა აბდულაზიზ ფაგიმ.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ყველა ზემოხსენებული პირი მსოფლიო ბანკის ჯგუფის თანამშრომელია.

# წინასიტყვაობა

ამ შემაჯამებელ ანგარიშში აღწერილია ის ძირითადი შეზღუდვები და შესაძლებლობები, რომელიც საქართველოს წინაშე დგას და რომელიც აძლიერებს სოფლის მეურნეობის სექტორის წვლილს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და დივერსიფიკაციაში, დასაქმების უზრუნველყოფაში, სიღარიბის შემცირებაში, სასურსათო უსაფრთხოებასა და კვებაში, კლიმატისადმი მედეგობასა და მისი ზემოქმედების შერბილებაში. თუმცა, ამ მრავალმხრივი მიზნის წარმატების მისაღწევად, აუცილებელია, განხორციელდეს მრავალსექტორული პოლიტიკის ერთიანი ნაკრები. ძირითადი სექტორები, რომელზეც ფოკუსირება უნდა მოხდეს, იდენტიფიცირებული იყო ფილტრების სამი ნაკრების გამოყენებით:

- **ბუნებრივი რესურსები, რომელიც გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და პროდუქტიულობაზე.** მინა და წყალი სასრული რესურსებია, მათზე და მოკიდებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და პროდუქტიულობა. ეს კიდევ უფრო მკვეთრად არის გამოხატული საქართველოში, სადაც უფრო თბილი და მშრალი კლიმატის ტენდენციები (ზოგიერთი გამოწვევის გარდა), კვლავაც შეუწყობს ხელს ისეთი მძიმე მოვლენების განვითარებას, როგორცაა წყლის დეფიციტი და მინის დეგრადაცია (მატბერამვილი და სხვები, 2015).
- **მსოფლიო ბანკის წინა სამუშაოების მონაცემები და შედეგები.** აქ წარმოდგენილი შემაჯამებელი ანგარიში, ეფუძნება მსოფლიო

ბანკის მიერ ადრე ჩატარებულ ანალიზს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მიმოხილვამ და გაკეთებულმა დასკვნებმა სოფლის მეურნეობის სექტორის, განსაკუთრებით მცირე მეურნეობების მხარდაჭერის მიზნობრიობის და ეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლებლობები გამოავლინა, რისთვისაც აუცილებელია, ღრმად დამკვიდრებული დამატარებელი ფაქტორების გადაწყვეტა, მათ შორის წყლისა და მინის სექტორებში (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020a).

- **დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები და სექტორის დონის შეფასებები დარგობრივი ფოკუსისთვის.** ადრე შესრულებული სამუშაოების მონაცემებსა და ანალიზს დაემატა, როგორც ახალი შედეგები და ვრცელი კონსულტაციები სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ინტეგრაციისა და კლიმატონივრული სოფლის მეურნეობის გამოცდილებაზე, ასევე დამოუკიდებელი ანალიტიკური ანგარიშები საქართველოში ირიგაციისა და მინის სექტორებზე.

სოფლის მეურნეობის, წყლისა და მინის სექტორებში ჩადებულმა ერთობლივმა სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებმა, მაღალი ღირებულების კულტურებზე გადასვლის გზით, შეიძლება გამოიწვიოს წარმოებისა და პროდუქტიულობის ზრდა. 2021 წლის 19 მაისს ჩატარებულ (ვირტუალურ) ტექნიკურ სემინარზე, საქართველოს მთავრობის დაინტერესებულმა მხარეებმა, დაახარისხეს სოფლის მეურნეობის, წყლისა და მინის

სექტორების დარგობრივი პოლიტიკის იდენტიფიცირებული სფეროები იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანის განხორციელება არის „გადაუდებელი“ და რომელია „ტექნიკურად მზად“ სათანადო მოქმედებების დასაწყებად. ამის შემდეგ, 2021 წლის ივნისიდან აგვისტომდე პერიოდში, აღნიშნული საკითხები განიხილეს საქართველოს მთავრობის დაინტერესებულმა მხარეებმა. ეს „შემაჯამებელი ანგარიში“ ეფუძნება

დეტალურ სექტორულ შენიშვნებს, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ამ ანგარიშის თანმხლები დოკუმენტები: [„საქართველოში მდგრადი, ეფექტური და მედეგი სარწყავი სისტემების შექმნის დამატრკოლებელი ფაქტორები – როგორია შესაძლო წინსვლის გზა?“, „საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის განვითარების პოლიტიკის შესახებ“ და „საქართველოში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პროფილი“.](#)



Image: Nadege Orlova | WBG – Georgia





# დარგობრივი პოლიტიკის შემაჯამებელი მიმოხილვა

Image: © Galyna Andrushko | Adobe Stock. Ushguli, Georgia



## საქართველოში სოფლის მეურნეობის მომავლის ხედვა 2030 წლისთვის

**აშკარაა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობას მწვანე, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პოტენციური გააჩნია და წლების განმავლობაში, მიზანმიმართული პოლიტიკის ფარგლებში, ამ სექტორში განხორციელებულმა ღონისძიებებმა დაინვესტიციებმა თავისი ნაყოფი გამოიღო.** გარე შოკების მიუხედავად, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, გასული ოთხი წელი პოზიტიური იყო. 2019 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის რეალურმა ტემპმა 5.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო ქვეყანა დაბლიდან ზედა-საშუალო-შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფში გადავიდა. (SDG ICG 2020). მიუხედავად დარგის შედარებით მცირე ზომისა, სოფლის მეურნეობის სექტორმა ეკონომიკურ ზრდაში გადამწყვეტი როლი შეასრულა: სოფლის მეურნეობამ საქართველოს მშპ-ს 8.4 პროცენტი შეადგინა (2020 წ.), ხოლო აგრო-გადამამუშავებელმა სექტორმა - 7-8 პროცენტი. სოფლის მეურნეობა ასევე ქვეყნის უმსხვილესი დამსაქმებელია და მთლიანი დასაქმების 19.1 პროცენტს უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა მთლიან მშპ-ში მოკრძალებულ წილს იკავებს, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ექსპორტში: 2020 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 28 პროცენტი მოდიოდა.

**საქართველოს აგრობიზნესში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები და მისი მდიდარი ისტორია საფუძველს იძლევა ოპტიმიზმით შევხედოთ მომავალში ამ დარგის მდგრადი ზრდის პოტენციალს.<sup>1</sup>** გასულ ათწლეულში საკვები პროდუქტების წარმოების

ღირებულება მკვეთრად გაიზარდა და ზოგიერთმა, ექსპორტზე ორიენტირებულმა მწარმოებელმა და აგრობიზნესის საწარმომ (ძირითადად ღვინის, თხილის და საკვები ხილის მწარმოებლებმა) წარმატებით შეძლეს ღირებულებათა ჯაჭვების განვითარება და აჩვენეს, რომ მდგრადი ზრდა შესაძლებელია. გარდა ამისა, საქართველოში აგრობიზნესის სექტორი უფრო მედეგია COVID-19 პანდემიის მიმართ, ვიდრე სხვა ეკონომიკური სექტორები (ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო 2020წ, თევდორაძე და სხ. 2020წ.). სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების სფეროში საქართველოს მდიდარი ტრადიცია აქვს. ამ ტრადიციებზე დაყრდნობით და ერთიანი ძალისხმევით, ქვეყანას შეუძლია აღნიშნული დარგი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობ დინამიკურ სექტორად აქციოს და გამოიყენოს ისეთი ბაზრების შესაძლებლობები, სადაც დაფასებულია გარემო მეგობრული გზით, ხარისხის მაღალი სტანდარტების შესაბამისად წარმოებული აგრო-სასურსათო პროდუქტები.

**თუმცა, ამ ნარმატებისა და პოტენციური შესაძლებლობების მიუხედავად, გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს.** საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, კვლავაც, დაბალ პროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო სფეროებში მუშაობს, რაც განსაკუთრებით სოფლად, ხელს უწყობს სიღარიბისა და უთანასწორობის მაღალ დონეს. ფერმები ძირითადად დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება და ისინი მოწყვეტილნი არიან ბაზრებს. საექსპორტო აგრო-სასურსათო პროდუქტები და ექსპორტის მიმართულებები კვლავ ძალიან კონცენტრირებულია. მსოფლიო ბანკის მიერ, საქართველოში, ბოლო დროს ჩატარებული ანალიტიკური

<sup>1</sup> ტერმინი „აგრობიზნესი“ მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ღირებულებათა მთლიან ჯაჭვს, ბაზრებამდე.

კვლევა გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის სექტორის, განსაკუთრებით მცირე მეურნეობების, მხარდაჭერის მიზნობრიობისა და ეფექტურობის გაუმჯობესება შესაძლებელია, ამ დარგის ორ ძირითად რესურსთან, წყალსა და მიწასთან დაკავშირებული ღრმად დამკვიდრებული პრობლემების გადაჭრის გზით, რაც საჭიროებს სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებისთვის ერთობლივი და ინტეგრირებული პოლიტიკის გატარებას. (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020a).

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის პოტენციალის წარმოსაჩვენლად, წინამდებარე ანგარიშში, წარმოდგენილია 2030 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ხედვა, რომელიც დაფუძნებულია სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებისთვის ერთიან, ურთიერთდაკავშირებულ მიდგომაზე.** ამ „შემავამებელ ანგარიშში“ გამოთქმულია აზრი, რომ სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში ერთიან და კოორდინირებულ პოლიტიკასა და ღონისძიებებზე კონცენტრირების გზით, საქართველოს შეუძლია 2030 წლისთვის გაზარდოს სოფლის მეურნეობის სექტორის წვლილი ეკონომიკურ განვითარებაში, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის შემცირებაში, გააუმჯობესოს სასურსათო უსაფრთხოება, კვება და გააძლიეროს კლიმატისადმი მედეგობა და ზემოქმედების შერბილება. 2030 წლის ხედვისკენ წინსვლა გულისხმობს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის წყლისა და მიწის გამოყენების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რისთვისაც აუცილებელია, ყველა ტიპის ფერმისთვის საიმედო და ეკოლოგიურად მდგრადი ირიგაციისა და დრენაჟის (I&D) სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, უფრო მაღალი ღირებულების პროდუქციის წარმოების წახალისება, მიწის ადმინისტრირების სერვისების შემდგომი

გაზრდა, სოფლის კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროცესის დასრულება, მიწათსარგებლობის ეფექტურობის გაზრდა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრების ფუნქციონირების გაუმჯობესება, რათა მიწა ხელმისაწვდომი გახდეს მათთვის, ვისაც სურს ფერმერული მეურნეობა ბიზნესად აქციოს.

**წყლისა და მიწის რესურსების მდგრად გამოყენებასა და მართვაში ერთობლივი და კოორდინირებული ინვესტიციების საშუალებით, საქართველო შეძლებს, შექმნას წარმატებული სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვები და გააფართოოს ახალი შესაძლებლობები მწვანე და კლიმატმედეგი პრაქტიკის დანერგვის გზით, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს, უკეთ მართონ რისკები და მოახდინონ სურსათის მიწოდების ადაპტირება ცვალებად კლიმატისა და ბაზრის მოთხოვნებთან.**

სოფლის მეურნეობის სექტორი ორგანიზებული იქნება ღირებულებათა ჯაჭვების ირგვლივ, რომლებიც კარგად ინტეგრირდება წარმოებიდან საბოლოო ბაზრებამდე და რაც ასევე მისცემს ქალებსა და ახალგაზრდებს წარმატების საშუალებას. ეს მიდგომა პირდაპირ შეესაბამება საქართველოს მთავრობის (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს) სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების სტრატეგიულ მიზნებს, რომელიც „ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის/განვითარებას და სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას“.

**საქართველოსთვის ეს არის ხელსაყრელი დრო, ისე გარდაქმნას თავისი სოფლის მეურნეობის სექტორი, რომ მან ხელი შეუწყოს მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდას.** საქართველო არის „სურსათის სისტემების სამიტის“ მონაწილე, რომლის პირველი

შეხვედრა 2021 წლის აპრილში გაიმართა. ქვეყანამ მდგრადი აგროსასურსათო სისტემების უზრუნველყოფის ძირითადი ტენდენციების იდენტიფიკაცია მოახდინა; მათ შორისაა კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობის ეფექტური სისტემების დანერგვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია. მანამდე, 2020 წლის დეკემბერში, საქართველომ ახალი სტრატეგიის, სამთავრობო პროგრამა 2021-2024 წწ. „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისკენ“, განხორციელება დაიწყო, რომელიც ადგენს 4 ძირითად ამოცანას, რათა უზრუნველყოს „ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი აღდგენა, განვითარება და ძლიერი, ერთიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა“. ძლიერი სოფლის მეურნეობის სექტორი ამ ორივე ამოცანის მიღწევის ცენტრალური საშუალებაა.

**საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორის, ევროკავშირის, ხელსაყრელი საგარეო მიდგომების ფონზე, წარმოიქმნება მდგრადი აგროსასურსათო ღირებულებათა ჯაჭვების მიმართ განახლებული ინტერესი.** „ევროპულ მწვანე შეთანხმებას“<sup>2</sup> და კონკრეტულად სურსათის კომპონენტს, რომელიც მოითხოვს „სამართლიანი, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა სურსათის სისტემის შექმნას „ფერმიდან ჩანგლამდე““, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ევროკავშირი მიზნად ისახავს, სურსათის ახალი გლობალური სტანდარტების პოპულარიზაციას, რათა მდგრადობის უზრუნველყოფა, გახდეს ლიდერი სტანდარტების დადგენაში. „ევროპული მწვანე შეთანხმების“ მიერ შექმნილი შესაძლებლობების გამოსაყენებლად, საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს და დაამტკიცოს ისეთი პრაქტიკების არსებობა, რომელიც მას არა

მხოლოდ კონკურენტუნარიანს, არამედ ამ მისწრაფებების შესასრულებლად, მდგრადსა და მწვანეს გახდის და საბოლოოდ ახალ სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. რიგი ურთიერთდაკავშირებული შეზღუდვების გადალახვის გზით, საქართველოს შეუძლია წარმატებით გაუმკლავდეს ამ გამოწვევას. ეს მოკლე მიმოხილვა და „შემაჯამებელი ანგარიში“ გამიზნულია ამ ამოცანის დასახმარებლად.

**საქართველოში სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებს შორის კავშირებისა და ურთიერთქმედების გააზრება**

**სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში არსებული შეზღუდვების მოგვარება და შესაძლებლობების გამოყენება ერთმანეთისგან იზოლირებულად შეუძლებელია.** მიწა და წყალი სასრული რესურსებია, ხოლო სოფლის მეურნეობა და მისი პროდუქტიულობა ამ სასრულ რესურსებსა და მათ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული. ეს კიდევ უფრო მკვეთრად არის გამოხატული საქართველოში, სადაც თბილი და მშრალი კლიმატის ტენდენციები (ზოგიერთ გამონაკლისის გარდა), კვლავაც შეუწყობს ხელს ისეთი მძიმე მოვლენების განვითარებას, როგორცაა წყლის დეფიციტი და მიწის დეგრადაცია (შატბერაშვილი და სხვები, 2015 წ.). იმის გამო, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა ძირითადად ნალექებზეა დამოკიდებული, ინვესტიციები ირიგაციისა და დრენაჟის სისტემებში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ექსტრემალური კლიმატური პირობებისგან დასაცავად და კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

2 [https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal\\_en](https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en)

წარმოებისთვის. იმ დროს როდესაც, ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც გვალვა ხშირია, ექტრემალური კლიმატური პირობებისგან თავის დასაცავად საჭიროებს სარწყავი სისტემების გამოყენებას, ქვეყნის დასავლეთ ნაწილი, სადაც ტენიანობა მაღალია, დრენაჟის პრობლემების წინაშე დგას. ამავე დროს, რეგულარული ტექნიკური მომსახურების ნაკლებობის, დიდი ინფრასტრუქტურული სისტემების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სირთულეების, ირიგაციისა და დრენაჟის მართვისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შემცირების შედეგად, ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურის დეგრადაციამ, საქართველოში გამოიწვია ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების გაუარესება (ტექსტური ჩანართი #1). მოსალოდნელია, რომ მიწის რესურსებზე ზეწოლა ასევე გაიზრდება, რაც აუცილებელს გახდის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების უფრო ეფექტურ მართვას.

**საირიგაციო ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გამო საქართველოს ემუქრება მთლიანი სარწყავი მიწის ფართობების შემცირება.** საქართველოს მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მათ შორის მაგისტრალური არხების სისტემების დიდი ნაწილისა და ზოგიერთ რაიონში მეორადი და მესამეული სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის სახით, რომ სარწყავი ფართობი 88 000 ჰექტარიდან (2015 წელს) დაახლოებით 130 000 ჰექტარამდე გაზრდილიყო 2020 წელს. „საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგია“ მიზნად ისახავს, 2025 წლისთვის, მთლიანი სარწყავი ფართობის გაზრდას 200 000 ჰექტარამდე (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017b). „საქართველოს მელიორაციის“ მონაცემებით, რომელიც საქართველოში ირიგაციის ეროვნული სააგენტო და სერვისის მთავარი მიმწოდებელია, 2020 წელს სულ 123 სარწყავი სქემა გამოიყენებოდა. ამრიგად,

**□□□□□□ #1: საქართველოში სოფლის მეურნეობის მაღალი დამოკიდებულება ნალექებზე ინვესტ დაცველობის ზრდას კლიმატური პირობების მიმართ.**

- ფაქტობრივი სარწყავი ფართობი, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს დაახლოებით 386,000 ჰექტარს შეადგენდა, 2015 წლისთვის, ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურების ნაკლებობის გამო, 43,000 ჰექტარამდე შემცირდა.
- სარწყავი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციამ ბოლოდროინდელმა ინვესტიციებმა, შესაძლებელი გახადა ირიგაციის მომსახურების მიწოდება ადრინდელი სარწყავი ტერიტორიების ნაწილისთვის.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სარწყავი ფართობის ზრდის კუთხით და 2015 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში სარწყავი ფართობები 88,000 ჰექტარიდან 130,000 ჰექტარამდე გაიზარდა, სასოფლო-სამეურნეო

- დანიშნულების მიწის მნიშვნელოვანი ფართობი კვლავაც ნალექებზეა დამოკიდებული.
- საქართველოში სახელმწიფო საირიგაციო სისტემით ირწყვება მხოლოდ 65000 ჰექტარამდე, რაც ნიშნავს, რომ მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ 31 პროცენტი ინარმოვება სარწყავ მიწებზე.
- ნალექებზე დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სისტემები დაუცველია პროგნოზირებული კლიმატის ცვლილების მიმართ. ტემპერატურის მატება, ნიადაგების ეროზია, ნალექების ცვალებადობა, დაბალტენიანობისა და გვალვიანობის ზრდა უკვე გავლენას ახდენს საქართველოზე, რასაც ემატება, კლიმატის ცვლილებების მიმართ ფერმერების ადაპტაციის დაბალი უნარი და დაუცველობის ზრდა.

წყარო: ავტორები.

2020 წლის მდგომარეობით, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ირიგაცია ხელმისაწვდომია 130,000 ჰექტარზე, სახელმწიფო სარწყავი სისტემებით ირწყვება მხოლოდ დაახლოებით 65,000 ჰექტარი. ეს დიდწილად იმიტომ ხდება, რომ ირიგაციისა და დრენაჟის ბევრი სისტემა ჯერ კიდევ საჭიროებს რეაბილიტაციას და ინსტიტუციური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც საშუალებას მისცემს სისტემებს, იყოს მდგრადი. თუმცა, მხოლოდ არსებული სარწყავი სექციების მიმდინარე რეკონსტრუქცია არ იქნება საკმარისი, მიზნობრივი ტერიტორიებისთვის სერვისების მიწოდების გასაუმჯობესებლად, რადგან კლიმატის ცვლილების მზარდი ზემოქმედების პირობებში, სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობა იქნება შემზღვეველი ფაქტორი. შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ კომპლექსური ინვესტიციები წყლის რესურსებით უზრუნველყოფის უსაფრთხოებაში, რომლის შედეგადაც გაუმჯობესდება ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების ეფექტური და მდგრადი მიწოდება აუზიდან ფერმამდე, უმნიშვნელოვანესია დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობიდან, ეკონომიკურად უფრო სიცოცხლისუნარიან, მაღალშემოსავლიან სოფლის მეურნეობაზე გადასასვლელად და აუცილებელია, მედეგობის გასაძლიერებლად იმ

ექსტრემალური კლიმატური მოვლენების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საქართველოში აგრარული სექტორის ზრდას.

**სოფლის მეურნეობაში, წყლის რესურსების მართვის ინტეგრირებული ჩარჩოს ფარგლებში წყალმომარაგების უსაფრთხოების მიზნით, განხორციელებული ინვესტიციები, მოითხოვს საქართველოს ფერმებისთვის ირიგაციისა და დრენაჟის ეფექტური და ხელმისაწვდომი სერვისების მიწოდებას.**

ეკონომიკურ ზრდაში, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის შემცირებაში, სოფლის მეურნეობის სექტორის წვლილის გაზრდის შესაძლებლობა, პირდაპირ არის დამოკიდებული ირიგაციისა და დრენაჟის ადეკვატური, სანდო, დროული და ხელმისაწვდომი სერვისების არსებობაზე. სარწყავი სოფლის მეურნეობა, საშუალოდ და გლობალურად, მინიმუმ ორჯერ უფრო პროდუქტიულია მიწის ერთეულზე, ვიდრე ნალექებზე დამოკიდებული სოფლის მეურნეობა. შესაბამისად, ის წარმოების ინტენსიფიკაციისა და მოსავლის დივერსიფიკაციის საშუალებას იძლევა (ტექსტური ჩანართი 2). თუმცა, წყლის მოხმარების თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობა შეადგენს საქართველოში წყლის მთლიანი მოხმარების 70 პროცენტზე მეტს, ხოლო ზედაპირული წყლებიდან

**დასკვნები 2: ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების გაფართოების შედეგად ფერმების მიერ მიღებული ზარალი და პოტენციური სარგებელი**

- 2018 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის სავარაუდო წლიურმა დანაკარგმა, შედარებულმა წყალსაცავებში წყლის შენახვის მოცულობის მაქსიმალურ პროდუქტიულობასთან, შეადგინა 21 მილიონი აშშ დოლარი;
- ირიგაციისა და დრენაჟის შემთხვევაში, საქართველოში ყოველი ფერმის ერთ ჰექტარზე წლიური შემოსავალი გაიზრდება 59 პროცენტით, ანუ 250 აშშ დოლარით (700 ლარით) მცირე და მარგინალური მეურნეობებისთვის, ხოლო 85 პროცენტით, ან 2,380 აშშ დოლარით (6,720 ლარით) საშუალო და მსხვილი მეურნეობებისთვის.

წყარო: მსოფლიო ბანკის ჯგუფი (2020e).

სოფლის მეურნეობისთვის წყლის ამოღების მაჩვენებელი 2003 წლის შემდეგ გაორმაგდა (UNECE 2016)<sup>3</sup>. ეს ხაზს უსვამს, სოფლის მეურნეობისთვის ხელმისაწვდომი წყლის რესურსების გამოყენების მდგრადი და ინტეგრირებული მართვის აუცილებლობას.

**სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული დაბრკოლებების გადაწყვეტა აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პირობაა სექტორის მუშაობის გასაუმჯობესებლად: ამის პარალელურად საჭიროა ზომების მიღება წყლისა და მიწის სექტორებში არსებული ძირითადი პრობლემების მოსაგვარებლად.**

ფერმერებისთვის საიმედო, დროული და მოქნილი ფორმით წყლის რესურსების ხელმისაწვდომობას, მათ ეფექტურ გამოყენებას და სასოფლო-სამეურნეო

მიწის მოქმედი ბაზრების არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სექტორის ზრდისთვის. მიწის გაუმჯობესებული მართვა და ადმინისტრირება საფუძვლად უდევს მიწის რესურსების მდგრად და პროდუქტიულ მართვას, მიწის საკუთრების უფლების უზრუნველყოფის დაცვას და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვას (ტექსტური ჩანართი 3). ეს კიდევ უფრო აქტუალურია კლიმატის ცვლილების არამდგრადობის და რისკების გაზრდისას.

**საქართველოში სოფლის მეურნეობის უმეტესი კულტურების პროდუქტიულობა უცვლელად დაბალია და მცირე მეურნეობების დომინირება პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორია.** საქართველოში, ძირითადი კულტურების

**3: სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება და მართვა საქართველოში**

- 2021 წლის მონაცემებით, რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 64 პროცენტი ეკუთვნის და იმართება სახელმწიფო ორგანოების მიერ.
- არ არსებობს ქვეყნის მასშტაბით მიწის მართვის ინტეგრირებული სისტემა, რომელშიც შევიდოდა მიწათსარგებლობის, მიწის საფარისა და რეგისტრაციის და საკადასტრო მონაცემები. მიწის ბალანსის ანგარიში და შესაბამისი მონაცემთა ბაზა, რომლითაც სტატოთა კავშირის ქვეყნებში ხორციელდებოდა ნიადაგის ხარისხის, მიწის საფარის და გამოყენების მონიტორინგი და შეფასება, არ განახლებულა 2004 წლიდან.
- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აქვს, სახელმწიფო მიწის ინვენტარიზაციის არასრული მონაცემები (მიწის მხოლოდ 72 პროცენტი რეგისტრირებული) და მიწის იჯარის სტატუსის არასრული მონაცემები (მონაცემები არის სრული და განახლებული, მხოლოდ 2014 წლიდან დადებული იჯარებისთვის). 2014 წლამდე გაფორმებული იჯარისა და

- დაურეგისტრირებელი მიწის ქირავნობის საფასური, შესაბამისად, არ არის გადახდილი.
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყოფისა და მონიტორინგის სისტემა, არ აძლევს ფერმერებს (განსაკუთრებით მცირე ფერმერებს) იჯარის განახლებისთვის ან გრძელვადიანი დაგეგმვისთვის საჭირო თვალსაჩინო ინფორმაციასა და პროგნოზირების საშუალებას. შესაბამისად ზღუდავს მათ სურვილს განახორციელონ ინვესტიციები მრავალწლიან კულტურებში, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებაში და ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და მოვლაში.
- ეს მდგომარეობა პირდაპირ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაკარგულ შემოსავლებზე და არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს სოფლის მეურნეობიდან სათბურის აირების ემისიებზე, რადგან მრავალწლიანი კულტურების მოყვანა საშუალოდ სამჯერ მეტად შეამცირებდა სათბურის აირების ემისიას.

წყარო: ავტორები.

3 საქართველოში მიწისქვეშა წყლების რესურსები ძირითადად გამოიყენება სასმელი წყლისთვის და, შესაბამისად, ნაკლებად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის (EEA 2020).



მოსავლიანობა ჰექტოგრამი/ჰექტარზე (ჰგ/ჰა) ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად არ გაუმჯობესებულა და საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე დაბალია.<sup>4</sup> დაბალი მოსავლიანობა განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, რომელთა შორისაა შეზღუდული ხელმისაწვდომობა გაუმჯობესებულ ჯიშებზე, თესვებსა და ნერგებზე; პესტიციდებისა და სასუქების მაღალი ღირებულება და დაბალი ხარისხი; თესლის ადაპტაციური ტესტირებისა და ადგილობრივი თესლის განვითარების ნაკლებობა; არაადეკვატური აგრონომიული პრაქტიკა; და არაადეკვატური ირიგაცია (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). გლობალურად, მცირე ფერმერული სისტემები, აწარმოებენ მსოფლიოს საკვების 50 პროცენტზე მეტს და აკონტროლებენ გლობალური სასოფლო-სამეურნეო მიწების 40-50 პროცენტს (Samberg et al 2016). სწორ პირობებში (როგორცაა ნედლეულზე, რესურსებსა და შესაძლებლობებზე წვდომა), მცირე მეურნეობებს, ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, შეიძლება უფრო მაღალი პროდუქტიულობა ჰქონდეთ, ვიდრე მსხვილ ფერმერებს; ისინი ინვესტიციებს დებენ თავიანთი მიწების ნაყოფიერებაში და კულტურების ფართო ასორტიმენტი მოჰყავთ, რაც აგრო-ბიომრავალფეროვნებას უწყობს ხელს. საქართველოში კი ფრაგმენტული, მცირე ფერმერული მეურნეობა ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად იქცა.<sup>5</sup> საქართველოში, ხარისხზე ორიენტირებული კომერციული ფერმერების მცირე და მზარდმა კოჰორტამ, ჯერ ვერ

მიაღწია, გარე ბაზრების მოთხოვნების საჭირო მასშტაბებს, რომელიც მიწოდების ხარჯების გასაკონტროლებლად მინიმალური მოცულობის განსაზღვრას საჭიროებს. გარდა ამისა, ბევრი აგრობიზნესი, მცირე მეურნეობებისგან ნედლეულის შესყიდვის ნაცვლად, ნედლეულის უწყვეტი ნაკადების უზრუნველსაყოფად ვერტიკალურ ინტეგრაციას მიმართავს (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწების მაღალი ფრაგმენტაცია, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვისა და განაწილების არაეფექტურობა და სოფლად მიწის ბაზრების სუსტი განვითარება აბრკოლებს, როგორც მეურნეობების ორგანულ ზრდას, ასევე უფრო მსხვილი მწარმოებლების გამოჩენას. ეს დაბრკოლება, აგროსასურსათო სექტორის ტრანსფორმაციის პოლიტიკის, დღის წესრიგის ცენტრალური სამიზნე უნდა იყოს.

**კლიმატის ცვლილებამ უპრეცედენტო ზენოლა მოახდინა წყლის რესურსებსა და მიწის სისტემებზე და აიძულა სოფლის მეურნეობა, გახდეს ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტური მომხმარებელი.** მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით -ზედაპირული წყლების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 14000 კვადრატული მეტრია, მაშინ, როდესაც ევროპის საშუალო მაჩვენებელია 9300 კვადრატული მეტრი (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2019f.), არსებული

4 შედარებითად: ყურძნისთვის, 100,000 ჰგ/ჰა-ზე ოდნავ მეტი (მსოფლიო) 50,000 ჰგ/ჰა-ზე ნაკლები (საქართველო); ვაშლისთვის, 150,000-ზე მეტი (მსოფლიო) 50,000-ზე ნაკლების ნინალმდე (საქართველო); მანდარინისთვის, თითქმის 100,000 (მსოფლიო) 50,000-ზე ნაკლები (საქართველო); კარტოფილისთვის 200,000 (მსოფლიო) ოდნავ მეტი 150,000-ზე ნაკლები (საქართველო); ხოლო სიმინდისთვის, 50,000-ზე ოდნავ მეტი (მსოფლიო) - დაახლოებით 25,000 (საქართველო) (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020b).

5 შინამეურნეობების თითქმის 80 პროცენტი მუშაობს ერთ ჰექტარზე ნაკლები ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, 14.9 პროცენტი - ერთიდან ორ ჰექტარამდე ფართობის ნაკვეთზე, 4.3 პროცენტი - ორიდან ხუთ ჰექტარამდე ნაკვეთზე და მხოლოდ 1.3 პროცენტს (8 577 შინამეურნეობას) აქვს ხუთი ჰექტარის ან მეტი ფართობის მიწა (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020c). მცირე მეურნეობების უმეტესობისთვის, ნაკვეთის მცირე ზომისა და ფერმის დაბალი პროდუქტიულობის კომბინაცია ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის შემოსავალი ძალიან დაბალია იმისთვის, რომ მათ მხოლოდ ამ შემოსავლით იცხოვრონ. ფაქტობრივად, არასასოფლო-სამეურნეო ხელფასები და გადაირიცხვები, სოფლად მცხოვრებთა შემოსავლის ძირითადი წყაროა. მცირე და მიკრო მეურნეობები (1 ჰექტარზე ნაკლები ფართობით), მცირე რაოდენობის ჭარბ პროდუქციას ყიდნიან და სტიმული არ აქვთ ინვესტიციები ჩადონ მოსავლიანობისა და პროდუქციის გაუმჯობესებაში. ეს სტრუქტურა ზრდის მიწოდების ხარჯებს და რისკებს ჯაჭვის მომდევნო ეტაპებზე, შემფუთავი, გადამამუშავებელი და ექსპორტიორი კომპანიებისთვის და მსხვილმასშტაბიანი საცალო ვაჭრობისთვის, რომლებიც საჭიროებენ პროდუქტის შესაბამისობას მინიმალურ სტანდარტებთან.

წყლის რესურსები საქართველოში თანაბრად არ არის განაწილებული და ძირითადად, აკუმულირებულია ქვეყნის დასავლეთ ნაწილში (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2008წ.). უფრო მეტიც, წყლის რესურსების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად სეზონურია. მდინარის ნაკადები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, დამოკიდებულია თოვლის დნობაზე, წყალუხვია აპრილ-მაისში და წყალმცირე ივლის-აგვისტოში, კულტურებისთვის წყალზე პიკური საჭიროების დროს. ბოლო 50 წლის განმავლობაში, საქართველოში, მცინვარების რაოდენობა 13 პროცენტით შემცირდა, ხოლო მცინვარების ფართობი შემცირდა 30 პროცენტით. პროგნოზის მიხედვით, გლობალური დათბობის პირობებში, მათი სრული დნობა 2160 წლისთვის მოხდება (აზიის განვითარების ბანკი, 2020წ.). დათბობის ტენდენცია საქართველოში მკაფიოა<sup>6</sup>, მაგრამ ნალექების ცვლილებების პროგნოზები გაურკვეველია. დაკვირვებებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ ზაფხულის პერიოდში მოსალოდნელია ნალექების შემცირება. მოსალოდნელია, რომ მდინარეებში წყლის ნაკადების შემცირების გამო, კლიმატის ცვლილება უარყოფითად იმოქმედებს სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობაზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს უმეტესი კულტურების მოსავლიანობაზე (დაახლოებით 30 პროცენტი აღმოსავლეთის დაბლობზე 2040-იან წლებში) (Ahouissoussi et al 2014). ნიადაგის დამლაშება ძირითადად შეინიშნება ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში, კონკრეტულად კახეთის რეგიონში, სადაც დამლაშებული ნიადაგი მთლიანი ფართობის 22 პროცენტს შეადგენს. აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში, ნალექების მაღალმა დონემ გაზარდა ნიადაგის ეროზია და გამოიწვია მენყერები და ზვავები,

რის შედეგადაც 1980-2010 წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 7.4 პროცენტით შემცირდა. გაუდაბნობა, რაც ნიადაგის ეროზიის უკიდურესი შემთხვევაა, იწვევს საქართველოში ნახევრად არიდული და არიდული ტერიტორიების გაფართოებას ტემპერატურის მომატების, ძლიერი გვალვისა და ძლიერი ქარის გამო. მომავალი ათწლეულების განმავლობაში, ტემპერატურისა და მშრალი პერიოდების მოსალოდნელი ზრდა, სავარაუდოდ, გაართულებს გაუდაბნობისა და წყლის ხელმისაწვდომობის პრობლემას აღმოსავლეთ საქართველოში (მსოფლიო ბანკი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2022წ.). მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ დათბობაში სოფლის მეურნეობას დიდი წვლილი შეაქვს, რადგანაც მასზე გლობალურად სათბურის აირების (GHG) მთლიანი ემისიების დაახლოებით მეოთხედო მოდის (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2015b), ის ასევე დიდ როლს ასრულებს ადაპტაციასა და შერბილების ღონისძიებებში, როგორც გარემოსდაცვითი სერვისების მთავარი მიმწოდებელი ნახშირბადის შემცირების, წყალგამყოფების მართვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების კუთხით (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2007წ.). საქართველოში, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მასშტაბის გაზრდას, შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს სამმაგი სარგებლის მიღწევაში სოფლის მეურნეობისა და სასურსათო მრეწველობაში, ისეთი პრაქტიკის დანერგვით, რომელიც არა მხოლოდ ზრდის პროდუქტიულობას, არამედ აძლიერებს მედეობასა და ამცირებს სათბურის აირების ემისიას.

**საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრების გაუმჯობესება საშუალებას მისცემს კერძო სექტორს, შეტი ინვესტიციები განახორციელოს სოფლის მეურნეობაში**

<sup>6</sup> არსებული პროგნოზების მიხედვით, 2041-2070 წლებში მოსალოდნელია ტემპერატურის მატება +1,6°C-დან 3,0°C-მდე 1971-2000 წლებთან შედარებით (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2021).

**და გადავიდეს უფრო მაღალი ღირებულების კულტურების წარმოებაზე.**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის მონაცემებით, ამჟამად რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 64 პროცენტი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაშია და დაახლოებით ერთი მილიონი მიწის ნაკვეთი ქვეყნის მასშტაბით, ძირითადად სოფლად, ჯერ არ არის რეგისტრირებული. სახელმწიფო მიწის მართვისა და განაწილების პასუხისმგებლობა მკაფიოდ არ არის გამოჩნული ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ამის შედეგად, სოფლის ზოგიერთი მაცხოვრებელი ტოვებს თავის მეურნეობას, რადგანაც სახელმწიფო მიწების მართვის სისტემა არაეფექტურია და მიწაზე საკუთრება დაუცველია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც იჯარით იღებს სახელმწიფო მიწას. ეს ორი ფენომენი იწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწების მიტოვებას ან არაეფექტურ გამოყენებას, საძოვრების გადაძოვებას და ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებასა და ინფრასტრუქტურის შენარჩუნებაში, ინვესტირების სტიმულის შემცირებას. უკვე პრივატიზებული მიწების მაღალი ფრაგმენტაცია არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც აფერხებს ინვესტიციებს, აგრობიზნესის განვითარებასა და კომერციალიზაციას. ფერმერებისთვის კრედიტების შეზღუდული ხელმისაწვდომობა არის ტექნოლოგიებისა და საშუალებების გამოყენების გაზრდის ძირითადი დაბრკოლება და დიდწილად დაკავშირებულია გირაოს ნაკლებობასთან, რადგან საქართველოს მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფი მიწის მხოლოდ 72 პროცენტი რეგისტრირებულია.<sup>7</sup>

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზაციის პროცესი პრაქტიკულად შეწყდა 2010 წლიდან.**

კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაციის

მაღალი დონისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განაწილებისა და მართვის გარკვეული არაეფექტურობის გათვალისწინებით, მიწების ნაკვეთების შეფასებისა და დაბეგვრის მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებამ და განხორციელებამ, შეიძლება ხელი შეუწყოს მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციას მათ მიერ, ვისაც სურს მიწის ნაკვეთების ისეთი გამსხვილება, რომელიც შესაფერისი იქნება კომერციული სოფლის მეურნეობისთვის და მიმზიდველი იქნება ადგილობრივი და უცხოური კერძო ინვესტიციებისთვის.

**ერთობლივი მოქმედების გზები - რეკომენდაციები 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობაში დაგეგმილი წინსვლის რეალიზაციისთვის**

**გარემოს დაცვის, მდგრადობისა და პროდუქტიულობის იმ გამოწვევების გადასაჭრელად, რომლებიც საქართველოში სურსათის წარმოების წინაშე დგას, საჭიროა ინტეგრირებული პოლიტიკის გატარება, რათა სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორების პოლიტიკა ერთობლივად განიხილოს.** აქ წარმოდგენილი

„დარგობრივი პოლიტიკის შემაჯამებელი მიმოხილვა“, ასახავს ერთობლივი მოქმედების ოთხ გზას, რომელსაც შეუძლია, შეამციროს დაბრკოლებები და შეამსუბუქოს რესურსებზე ბენოლა და ამავდროულად ხელი შეუწყოს, ეკონომიკურად უფრო მომგებიან სოფლის მეურნეობაზე, მწვანე, მედეგ და ინკლუზიურ გადასვლას:

**1. კომპლექსური მიდგომის**

განხორციელება წყლის, მიწისა და სოფლის მეურნეობის სისტემებში ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მიმართ;

<sup>7</sup> რეგისტრირებული არის სამიდან ერთი ნაკვეთი, ეს თანაფარდობა კიდევ უფრო დაბალია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისთვის.

2. **წყლის, მიწისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორებში, სხვადასხვა მასშტაბის მომსახურების მიმწოდებელი ინსტიტუტების რეფორმირება და გაძლიერება;**
3. **საინფორმაციო** სისტემების გაძლიერება და ტექნოლოგიური ინოვაციების მასშტაბის გაზრდა სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის ურთიერთდაკავშირებულ სექტორებში;
4. **ინვესტიცია** ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და მიღწეული პროგრესის მონიტორინგის სისტემებში.

## 1. კომპლექსური მიდგომის განხორციელება წყლის, მიწისა და სოფლის მეურნეობის სისტემებში ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მიმართ

სოფლის მეურნეობისთვის ადეკვატური წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად და ყველა ტიპის მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალის გასაზრდელად, პირველ რიგში პრიორიტეტულად საჭიროა ირიგაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა მეტი ფერმერისთვის. ამის მიღწევა შესაძლებელია ძირითადი, მეორადი და მესამეული სისტემების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის გაზრდის გზით. თუმცა, მომავალში, დაგეგმილი ინვესტიციების ეფექტიანობის სწორი პროგნოზირებისთვის და შესაბამისი შესწორებების შესატანად, ირიგაციისა და დრენაჟის საინვესტიციო პროექტებმა, უნდა გაანალიზონ და გაითვალისწინონ ის შეზღუდვები და მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც ფერმერების მიერ წყლის გამოყენებასთან, ნიადაგთან და მოსავლის წარმოების საჭიროებებთან, ასევე გარემომცველი გარემოს საჭიროებებთან (ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ფაქტორების ჩათვლით).

ამას შეიძლება დაემატოს ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის სერვისის დეტალური გეგმა (ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება), რათა უზრუნველყოფონ ინფრასტრუქტურის სიცოცხლისუნარიანობა საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

პარალელურად, საჭიროა სოფლის მეურნეობის სექტორში, ფერმიდან ბაზრამდე სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვების გასწვრივ, ღონისძიებების გატარება. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უნდა გააუმჯობესოს ბაზრის ინტეგრაცია, გაზარდოს ნედლეულის ნაკადი მცირე მეურნეობებიდან აგრობიზნესებამდე, წაახალისოს საბაზრო კავშირები და პროდუქტების აგროგაცია, შეავსოს ცოდნის ხარვეზები, გაზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, გააუმჯობესოს ტრანსპორტირება და აგროლოგისტიკა, წაახალისოს ინოვაციები ღირებულებათა ჯაჭვებში და ხელი შეუწყოს საჯარო-კერძო სექტორების დიალოგს. ამ ზომებმა, ასევე უნდა გააფართოვოს, საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობა ისეთ სფეროებში, როგორცაა აგროლოგისტიკა, საინფორმაციო სისტემები და სასწავლო პროგრამები. ასეთი ღონისძიებები სარგებელს მოუტანს, როგორც პროგრესული, მსხვილი ფერმერების მცირე კოჰორტას და მაღალი ღირებულების საქონლის ექსპორტზე ორიენტირებულ აგრობიზნესის საწარმოებს, ასევე ტრადიციული მცირე ფერმერების უფრო დიდ ჯგუფს (რომლებიც პროდუქციას საკუთარი თავისთვის აწარმოებენ) და საოჯახო აგრობიზნესებს, რომლებიც ძირითადად შიდა ბაზრებზე მუშაობენ.

საქართველოს მთავრობამ განაცხადა, სოფლის მეურნეობის სექტორში საინვესტიციო გეგმის არსებობის აუცილებლობის შესახებ, რომელიც გამოიყენოს დარგის ყველა ძირითადმა მონაწილემ (საჯარო და კერძო

სექტორების, სამოქალაქო საზოგადოების და განვითარების საკითხებზე მომუშავე პარტნიორების ჩათვლით). ანალოგიურად, მიწის სექტორი სარგებელს მიიღებს ერთიანი დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებით, რომელიც ასახავს საქართველოს მთავრობის მიდგომას მიწის მდგრადი მართვისა და ადმინისტრირების მიმართ და მიწის მართვისა და ადმინისტრირების პასუხისმგებლობების უფრო მკაფიო განაწილებას, როგორც ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ასევე სხვადასხვა სამინისტროსა და ხელისუფლების ორგანოების უწყებებსა და ერთეულებს შორის. ამასთან ერთად, ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურაში, ჩადებული ინვესტიცია დააკავშირებს და გააზიარებს მონაცემებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის, უზრუნველყოფს მყარ საფუძველს სტრატეგიული და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, დაზოგავს მონაცემთა შექმნის ხარჯებს და ხელს შეუწყობს მიწის პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგს.

**2. წყლის, მიწისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორებში, სხვადასხვა მასშტაბის მომსახურების მიწოდებელი ინსტიტუტების რეფორმირება და გაძლიერება**

2010 წლის შემდეგ სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული გამოსახულებით. საქართველოში, სოფლის მეურნეობის სექტორში, განუვლი სახელმწიფო ხარჯების მიმართულება შეიძლება ისე გადაიხედოს, რომ უკეთ მოემსახუროს სოფლის მეურნეობაში მთავრობის მიერ დასახულ სტრატეგიულ მიზნებსა და მისწრაფებებს. საჯარო სერვისებს, როგორცაა კვლევა,

ცოდნის გავრცელება და ტრენინგი, მეტი საბიუჯეტო მხარდაჭერა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის კვლევითი დაწესებულებების რეორგანიზაციამ, კვლევითი საქმიანობისთვის უფრო რაციონალური ბაზა შექმნა, საჯარო სერვისები, ჯერ კიდევ არასაკმარისად ფინანსდება და კვლევების დღის წესრიგი არ შეესაბამება კომერციული სოფლის მეურნეობის საჭიროებებსა და ინტერესებს. უფრო მეტიც, ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სისტემები არაა საკმარისად განვითარებული: არ არსებობს სახელმწიფო სერტიფიცირების სისტემა, რომელიც მაღალი სტანდარტების მწარმოებლების კონკურენტულ უპირატესობას გააძლიერებდა. აკრედიტაციის მიუხედავად, ბევრ ლაბორატორიულ სერვისს არ გააჩნია საერთაშორისო აღიარება და სანდოობა.

ასევე, სუბსიდირებული სესხებისა და სადაზღვევო პრემიების ხელშეწყობის გზით, კერძო ინვესტიციების სტიმულირების ზომები ხელახლა უნდა გადაისინჯოს. კომერციული ბანკების კრედიტების საჯარო მხარდაჭერა, უფრო ფართოდ უნდა ფოკუსირებდეს მცირემიწიან ფერმერებზე და განსხვავებული ტიპების გირაოს გამოყენებაზე და არა სესხის პროცენტების სუბსიდირებაზე. ამავდროულად, „საქართველოს მელიორაციას,“ ფერმერებისთვის, ირიგაციის სერვისების დროული და ოპერატიულად ეფექტიანი მიწოდების შემზღვეული შესაძლებლობები აქვს, ხოლო წყლის მომხმარებლებს არ სურთ გადაიხადონ უფრო მაღალი ტარიფი მომსახურების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გარეშე, რაც ქმნის მშენებლობის - უგულებელყოფის - რეაბილიტაციის მანკიერ ჩაკეტილ ციკლს. ამის შედეგად, მცირდება „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების ამოღების შესაძლებლობა, იზრდება მისი დამოკიდებულება სახელმწიფო

დაფინანსებაზე უარესდება ბოლო დროს განახლებული სარწყავი სექციების მდგომარეობა და მცირდება სარწყავი მიწების ფართობი. ამგვარად, ირიგაციისა და დრენაჟის გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების დასაჩქარებლად განსახორციელებელი მნიშვნელოვანი რეფორმა, გულისხმობს „საქართველოს მელიორაციის“ მმართველობისა და ოპერატიული შესაძლებლობების რეფორმას და ფერმერების მიერ მართული, სიცოცხლისუნარიანი და აქტიური ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში (როგორცაა - წყალმომხმარებელთა ორგანიზაციები) ინვესტიციების ჩადებას იმ ადგილებში, სადაც ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია და მოდერნიზებულია, ან სადაც ფერმერებს სურთ, გააუმჯობესონ, შეინარჩუნონ და ამუშაონ ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, გენდერული თვალსაზრისით ინკლუზიური მართვის ინსტიტუტებს და სათემო ორგანიზაციებს წყლის მიწოდება და მართვა უფრო ეფექტურად შეუძლიათ, ვიდრე მათ, რომლებიც ქალების როლს გამოირიცხავენ. არსებობს გარკვეული მტკიცებულება, რომ წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებში ქალების მონაწილეობა იწვევს წესების უკეთეს აღსრულებას, მოსაკრებლების შეგროვებას, კონფლიქტების მართვასა და მოგვარებას და მდგრადი საირიგაციო სისტემების ფორმირებას (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2012წ.; Quisuimbing 1994წ.; Vasavada 2005წ.; van Koppen 2002წ.; Najjar et al 2019წ.; Imburgia et al 2020წ.). ამასთან ერთად, საქართველოს მელიორაციის შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან ერთად, ფერმერებთან კონსულტაციით, საჭიროა ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების განახლებული ტარიფის დანერგვა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში ახალ შექმნილ „მიწის მართვის სააგენტოს“ სჭირდება შემდგომი გაძლიერება, რათა მიწის

ბალანსის შედგენის, მიწის მართვისა და მონიტორინგის; და ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ, პოტენციური ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით, აგრო-ინვესტიციების ხელშეწყობის დაკისრებული ფუნქციები შეასრულოს. ქვეყნის მასშტაბით მიწის სისტემური რეგისტრაციის დასრულებამ, უნდა გააძლიეროს მიწათმფლობელობის უსაფრთხოება, მიწის შესაკუთრეთა და მომხმარებელთა სურვილი, განახორციელონ ინვესტიციები სარწყავი ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასა და მიწის რესურსების მდგრად მართვაში. მიწის შეფასებისა და დაბეგვრის სტრუქტურების გადახედვა და ცვლილებების განხორციელება, ხელს შეუწყობს მიწის რესურსების გადანაწილებასა და მათ უფრო ეფექტურად გამოყენებას. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის პროცესის განახლების შესახებ პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ, კიდევ უფრო უნდა განავითაროს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზარი.

ამასთან ერთად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი სააგენტოები, მათ შორის რეგიონული საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები, ასევე საქართველოს მელიორაცია, მიწის მართვის სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საჭიროებს, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებში ცოდნისა და კომპეტენციის გაზრდას.

### **3. სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის ურთიერთდაკავშირებულ სექტორებში, საინფორმაციო სისტემების გაძლიერება და ტექნოლოგიური ინოვაციების მასშტაბის გაზრდა**

კლიმატის ცვლილების მიმართ მდებარეობის ხელშეწყობი ინოვაციები, აუცილებელია

იმისთვის, რომ საქართველომ 2030 წლისთვის მიაღწიოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის განსაზღვრულ ხედვას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მრავალი მასშტაბით. მეურნეობის დონეზე, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას შეუძლია, მოახდინოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და ფერმერების შემოსავლების მდგრადი ზრდა და ეროვნული განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, უზრუნველყოს კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობა და სათბურის აირების ემისიების შემცირება.

კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის დასაჩქარებლად, მცირე მეურნეობების მქონე ფერმერებს უნდა შეექმნათ კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვის სტიმული. თავის მხრივ, ეს ტექნოლოგიები უნდა იყოს ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი. ფერმერებს სჭირდებათ სტიმული და პირობები, რათა ადგილზე განხორციელდეს ტრანსფორმაციები, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ინსტიტუტებმა და პოლიტიკამ. სახელმწიფო ინსტიტუტების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტექნოლოგიისა და მართვის მეთოდების, კლიმატის ცვალებადობისა და ღირებულებათა ჯაჭვების პირობების შესახებ დაკავშირებული ინფორმაციის წარმოებასა და გავრცელებაში.

ამასთანავე, სამთავრობო ინსტიტუტების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ადაპტაციაში. განვითარების პარტნიორები პოპულარიზაციას უწევენ კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობას საქართველოში და საქმიანობის განხორციელების პროცესში, ხელს უწყობენ ადგილობრივი ორგანიზაციების (როგორცაა არასამთავრობო ორგანიზაციები) ჩართულობას,

ადგილობრივი შესაძლებლობების ზრდისა და პრაქტიკის დამატებითი გავრცელების მიზნით. ფერმერებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან და აგრობიზნესებთან ინტენსიური კომუნიკაცია, აუცილებელია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. დასასრულ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროგრამის ანალიზმა აჩვენა, რომ საჭირო იყო ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი მხარდაჭერა პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე, რათა გაუმჯობესდეს ქალების წვდომა ინფორმაციაზე, ცოდნასა და ინოვაციებზე, ახალ ტექნოლოგიებზე, მანქანა-დანადგარებისა და სასოფლო-სამეურნეო საშუალებების გამოყენებაზე, ბაზრებსა და აგრო-ფინანსებზე. (Powell et al 2020).

წყლის სექტორში, ერთ-ერთი მთავარი ინოვაცია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს კლიმატის რისკებთან ადაპტაციას, არის ინვესტიცია წყლისა და სოფლის მეურნეობის ინტეგრირებული მონიტორინგის სისტემებში, ისეთი მონიწივე ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა: დისტანციური ზონდირება, დიდი მონაცემების ანალიტიკა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემებზე დაფუძნებული აპლიკაციები; ასევე ადგილზე მონაცემების შეგროვება, გადაწყვეტილებების მხარდაჭერის სისტემების (DSS) ინსტრუმენტების ნაკრებში გამოსაყენებლად, როგორცაა - წყლის აღრიცხვა, გვალვისა და წყალდიდობის მონიტორინგი, ირიგაციისა და მოსავლის მონიტორინგის სისტემა და აუზის მენეჯმენტის ანგარიშები, რათა არსებობდეს საჭირო ინფორმაცია მთელი სისტემის მასშტაბით, ფერმიდან აუზის სამიზნე ინსტიტუტებამდე, რომლებიც მუშაობენ საკვების, წყლის, მიწის სექტორებში, როგორცაა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, „საქართველოს

მელიორაცია“ და სხვ. ეფექტური ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს მრავალგანზომილებიანი და დარგობრივი მონაცემების ურთიერთდაკავშირება და გაცვლა.

#### **4. ინვესტიცია ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და მიღწეული პროგრესის მონიტორინგის სისტემებში.**

ადამიანური კაპიტალის გაძლიერება აუცილებელია, რადგან შესაძლებლობების განვითარებაში ჩადებული ინვესტიციები, უზრუნველყოფს პერსონალის სათანადო კვალიფიკაციას, რომელიც პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის დონეებზე, მათი ფუნქციების შესასრულებლად არის აუცილებელი, ხოლო მომსახურების მიმწოდებლებს (სოფლის მეურნეობის საკითხებში ექსტენციის სპეციალისტებს, ვეტერინარებს და ა.შ.) გამოუმუშავებს საჭირო უნარებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში, აუცილებელია, გაძლიერდეს ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, როგორც და სად უნდა მოხდეს ინოვაციების განხორციელება ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ და როგორია ბაზრის შესაძლებლობები და ტენდენციები. ამის მიღწევა შესაძლებელია, კარგად მომზადებული ექსტენციის ოფიცრების, კვების ტექნოლოგიებისა და აგრობიზნესის მრჩეველების რაოდენობის გაზრდისა და ცოდნის გადაცემის ინსტიტუციური ბაზის რეორგანიზაციის მეშვეობით. ამავდროულად, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება ძალზე აქტუალურია ირიგაციისა და დრენაჟის სექტორისთვის, სადაც საჭიროა გაძლიერდეს თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროსთან, რათა გაიზარდოს სპეციალისტების (მამაკაცებისა და ქალების) რაოდენობა წყლის სექტორში მომუშავე ძირითად სამთავრობო დაწესებულებებში.

გარდა ამისა, საჯარო პროგრამებისა და პოლიტიკისთვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნა, ხელს შეუწყობს სამთავრობო პროგრამების შესრულებისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას, რადგანაც მიიღებენ ინფორმაციას და სასარგებლო უკუკავშირს პროგრამის შედეგების შესახებ, გამოვლინდება განხორციელების სირთულეები და მათი დაძლევისთვის საჭირო ქმედებები. უნდა განხორციელდეს, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამების ობიექტური და გამჭვირვალე, მონიტორინგი და შეფასება, რისი შედეგებიც უნდა გამოიყენონ, კონკრეტული მტკიცებულებების საფუძველზე, პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელის შესწავლად. ამჟამად სექტორში ასეთი სისტემა არ არსებობს. ეს ასევე ეხება ირიგაციის სერვისებს, სადაც საჭიროა მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების გაუმჯობესება, რის შედეგადაც, ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს მელიორაცია, შესაძლებლობა ექნებათ საიმედოდ შეაგროვონ, გააზიარონ და გააანალიზონ ირიგაციის სისტემის ფუნქციონირებისა და მომხმარებლების მონაცემები, მომსახურების მიწოდებისა და ფინანსური ანგარიშგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. როგორც აუცილებელი დანამატი, სამთავრობო, სექტორულ და მუნიციპალურ დონეზე ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის დამკვიდრება, ხელს შეუწყობს რესურსების გამოყენების ოპტიმალურ დაგეგმვასა და პროცესების ეფექტურ მართვას, ასევე გაზრდის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ



მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხს სტანდარტიზებული, სისტემატიზებული, დასაბუთებული, სანდო და აქტუალური ინფორმაციის საფუძველზე.

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობას აქვს სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციის ამბიციური, მაგრამ არასრული დღის წესრიგი, არსებობს შესაძლებლობები ერთობლივი სექტორული კოორდინაციისთვის, რომელსაც შეუძლია, დააჩქაროს პროგრესი საქართველოს სოფლის მეურნეობის 2030 წლის ხედვისკენ.**

(გრაფიკი #1). მიწა და წყალი არის სასრული რესურსები და წარმოების ის ფაქტორები, რომლებზეც არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის წარმოება და პროდუქტიულობა. სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული დაბრკოლებების გადაწყვეტა აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პირობაა სექტორის მუშაობის გასაუმჯობესებლად. საჭიროა, ერთდროული ზომების მიღება, წყლისა და მიწის სექტორებში, არსებული ძირითადი პრობლემების მოსაგვარებლად, ერთობლივი მოქმედების ოთხი ფართო გზის გასწვრივ.

**მიუხედავად იმისა, რომ „შემაჯამებელ ანგარიშში“ განსაზღვრული ყველა პოლიტიკის სფერო მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციებმა გამოავლინა, რომ მათი ნაწილი, სხვებთან შედარებით უფრო**

**სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს, ხოლო ნაწილი კი ტექნიკურად უფრო მზად არის განსახორციელებლად.** მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სფერო არ იყო მიჩნეული სასწრაფოდ და ტექნიკურად მომზადებულად, ისინი მაინც აქტუალურია. ამ სფეროების განხილვა მნიშვნელოვანი იქნება ხედვის ჩამოყალიბებისას. ამ საკითხებს შორისაა, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ღონისძიებების ფოკუსირების შეცვლა, მთავრობის მიერ, სექტორში დასახული მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად; მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესება, ყველა სექტორში ზრდის შესანარჩუნებლად; ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაზრდა; და ინვესტირება ქალების შესაძლებლობების განვითარებაში.

**ეს „შემაჯამებელი ანგარიში“ ასახავს სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორების მიმართ ურთიერთდაკავშირებული მიდგომის გამოყენების დასაბუთებას საქართველოში, 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობაში დაგეგმილი წინსვლის მისაღწევად.** ამ „შემაჯამებელი ანგარიშის“ მომდევნო თავებში, წარმოდგენილია ინკლუზიურობაზე დაფუძნებული მრავალდარგობრივი მიდგომა, რომელიც ეყრდნობა სამ თემას: კონკურენტუნარიანობას, მდგრადობას, კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობასა და მისი ზემოქმედების შერბილებას.





Image: © Oleg. Vineyards in the Alazani Valley

# 1

## შესავალი

---

აქ წარმოდგენილი “შემაჯამებელი ანგარიშის” მიზანია, სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში არსებული დაბრკოლებებისა და ცოდნის ხარვეზების გამოვლენა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მომავალი განვითარების გზების იდენტიფიკაცია. ამ “შემაჯამებელ ანგარიშში”, ურთიერდაკავშირებული სამი სექტორისთვის შემოთავაზებული რეკომენდაციები ხელს უწყობს საქართველოში პროდუქტიული, კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად მდგრადი და დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას და სამომავლო საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად შეიძლება, გამოიყენონ, როგორც ქმედითი საშუალებები, დონორებისა და საქართველოს მთავრობის მიერ. ეს „შემაჯამებელი ანგარიში“ ეფუძნება, მსოფლიო ბანკის მიერ, ადრე განხორციელებულ ანალიზს, რომელიც შეივსო, როგორც ახალი კვლევების შედეგებითა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვების ინტეგრაციისა და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის გამოცდილებაზე ფართო კონსულტაციების შედეგად მიღებული ინფორმაციით, ასევე საქართველოში ირიგაციისა და მიწის სექტორების დამოუკიდებელ ანალიზზე (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020a).

**სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში არსებული დაბრკოლებები და შესაძლებლობები ურთიერთდაკავშირებულია და განცალკევებულად ვერ განიხილება.**

სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში, ერთდროულად განხორციელებულმა სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებმა, შეიძლება გამოიწვიოს წარმოებისა და პროდუქტიულობის ზრდა, დაბალშემოსავლიანი სოფლის მეურნეობიდან მაღალი ღირებულების კულტურებზე გადასვლის გზით. არასათანადო მენეჯმენტი, წყლისა და მიწის რესურსების დეგრადაციის რისკს წარმოშობს. გარემოს დეგრადაციასთან დაკავშირებული ხარჯების, ბოლოდროინდელი ანალიზი მიუთითებს, საქართველოში, რესურსების არამდგრადი გამოყენების ტენდენციების ზრდაზე (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020d). სასოფლო-სამეურნეო მიწების, ტყის მიწების, ჰაერის ხარისხის, ტყვიის ზემოქმედებისა და საქართველოს სანაპირო ზონის მდგომარეობის განახლებული შეფასების შედეგად გამოვლინდა, როგორც პირდაპირი ხარჯების, ასევე მომავალში რესურსების გამოყენების პოტენციალის შემცირების გამო, დაკარგული ეკონომიკური შესაძლებლობების ნეგატიური ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020b). (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020c).

**ინტეგრირებული მიდგომის აუცილებლობა სულ უფრო შესაბამისი და გადაუდებელი ხდება კლიმატის ცვლილების ტენდენციებისა და საქართველოზე მათი გავლენის გათვალისწინებით.**

მოსალოდნელია, რომ საქართველოში კლიმატის ცვლილების მიმდინარე ტენდენციებმა, როგორცაა ტემპერატურის მომატება, ნიადაგების დეგრადაცია, გვალვებისა და წყალდიდობების ინტენსიურობისა და სეტყვის სიხშირის ზრდა, გამოიწვევს მსხვილ სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში, მათ შორის

საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში - კახეთში, მოსავლიანობის შემცირებას. მნიშვნელოვნად გახშირდა დამანგრეველი ბუნებრივი კატასტროფების ისეთი შემთხვევები, როგორცაა მეწყერები და ღვარცოფები. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში სეტყვამ და გვალვამ დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს, ბოლო წლებში იმატა ამ საფრთხეების სიხშირემ და ხანგრძლივობამ (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2019). მოსალოდნელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაზე უარყოფითად იმოქმედებს, როგორც ტემპერატურისა და ნალექების ცვლილებების პირდაპირი გავლენა ნათესებზე და მოსავლიანობის შესანარჩუნებლად საჭირო სარწყავ წყალზე მოთხოვნილების ზრდა, ასევე სარწყავი წყლის მიწოდების შემცირება, გამოწვეული გაზრდილი აორთქლებითა და ნალექების ნაკლებობით. ნალექების ნაკლებობა, ასევე გულისხმობს უნალექო დღეების რაოდენობის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ სარწყავი წყლის შეზღუდვების უგულვებელყოფამ, კლიმატის ცვლილებამ შედარებით მსუბუქი უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსავლიანობაზე და რომ პროგნოზის მიხედვით, საქართველოში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ მთიან რეგიონში), გარკვეული კულტურების მოსავლიანობა გაიზრდება კიდევ, ეს ფენომენი მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვეყანაში სარწყავი წყლის ხელმისაწვდომობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ძირითადი თვეების განმავლობაში (Ahouissoussi et al 2014). კლიმატის ცვლილება, ასევე ზრდის, სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერების შემცირებისა და კულტურების განვითარების დეგრადაციის რისკს (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017a).

**კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული რისკების გამო, საქართველო წყლის რესურსებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. წყლის რესურსების ხელმისაწვდომობა**

საქართველოში მნიშვნელოვნად იცვლება სემონებისა და გეოგრაფიული არეალების მიხედვით (ADB 2020წ.). ქვეყანაში წყლის რესურსების განაწილება არათანაბარია, ნალექების დაფიქსირებული დონის გათვალისწინებით ტენიანობა მაღალია დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში ჰავა ნახევრად მშრალია.<sup>8</sup> საქართველოს დასავლეთ ნაწილს აქვს წყლის საკმარისი რესურსები, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი შედარებით მშრალია და წყლის რესურსები უფრო მწირია. ასევე, ტემპერატურის გაზრდა გამოიწვევს მყინვარების დნობას, რის გამოც წყლის დონის სემონური მატება შემცირდება (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 2021b). ბოლო 50 წლის განმავლობაში, საქართველოში მყინვარების რაოდენობა 13 პროცენტით შემცირდა, ხოლო მყინვარების ფართობი 30 პროცენტით შემცირდა. გლობალური დათბობის პირობებში, მათი სრული დნობა 2160 წლისთვის არის პროგნოზირებული (ამიის განვითარების ბანკი, 2020 წ.). ქვეყანა უკვე განიცდის მნიშვნელოვან ცვალებადობას ნალექებისა და ზედაპირული წყლის ჩამონადენის მხრივ. პროგნოზის მიხედვით, მომდევნო წლებში ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაუარესდება. გათვლების თანახმად, 2100 წლისთვის მყინვარების ჩამონადენი 40 პროცენტით შემცირდება 2010 წლის დონესთან შედარებით, რაც მძიმედ იმოქმედებს საქართველოს ენერგეტიკაზე, სოფლის მეურნეობასა და ეკოსისტემებზე (ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, 2020 წ.). ამასთანავე, გვალვა კიდევ უფრო შეამცირებს წყლის ხელმისაწვდომობას (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 2021b).

**პანდემიასთან დაკავშირებული ეგზოგენური შოკი, გავლენას ახდენს საქართველოში აგრო-სასურსათო სექტორზე და სასურსათო უსაფრთხოებასა და დასაქმებაზე**

**მნიშვნელობის გათვალისწინებით, კვლავ მწვავედ დგება ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა, სექტორის ზრდისა და მედეგობის უზრუნველსაყოფად.** COVID-19-მა პირდაპირი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტზე (მშპ), რომელიც 2020 წელს 6.8 პროცენტით შემცირდა (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2021a). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აგროსასურსათო სექტორი პანდემიის მიმართ უფრო მედეგი აღმოჩნდა, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორები (PricewaterhouseCoopers Georgia LLC 2020, და ლ. თევდორაძე და სხვები, 2020), პანდემიამ ასევე გამოავლინა საქართველოს აგროსასურსათო სექტორის მოწყვლადობა. საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ფერმერებმა ფინანსურად ოდნავ უკეთესად გადაიტანეს კრიზისი, ვიდრე არასასურსათო სექტორების მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებმა (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO და სხვები, 2021 წ.). ამის მიუხედავად, შემცირდა სოფლის მეურნეობისთვის საწარმოო საშუალებებზე, ადამიანური რესურსების ჩათვლით, წვდომა და გაუარესდა ბაზრების წვდომა. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ პანდემიის პირველი ტალღის დროს (2020 წლის მარტი-აპრილი) ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხული ფერმერების და სასოფლო-სამეურნეო ბიზნესების 61 პროცენტს, შეუმცირდა სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებებზე წვდომა, იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო მასალების ფასის ზრდის გამო. ამასთან, გამოკითხული ფერმერების 42 პროცენტმა აღნიშნა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურებებზე და სამშენებლო მასალებზე, შეზღუდული წვდომა. გადაადგილების შეზღუდვამ და კომენდანტის საათებმა გაართულეს დასაქმებულ პირთა მობილობა, ლოგისტიკა და პროდუქციის

<sup>8</sup> ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში ხშირია გვალვები და საჭიროებს მორწყვას.



Image: © bubutu | Adobe Stock

მარკეტინგი (GFA 2020). გამოკითხული ფერმერების 60 პროცენტი აცხადებს, რომ მათ უბრალოდ ვერ შეძლეს პროდუქციის მიწოდება და გაყიდვა კვებისა და ტურიზმის სექტორებისთვის (როგორცაა მაგალითად, რესტორნები, კაფეები და სასტუმროები).

**სოფლის მეურნეობის ზრდისკენ მიმართული ერთობლივი ძალისხმევა, ხელს უწყობს საქართველოში სოფლად სიღარიბის შემცირებას.** საერთო ჯამში, სოფლის მეურნეობიდან წარმოშობილი ზრდა 2 - 4-ჯერ უფრო ეფექტურად მოქმედებს სიღარიბის შემცირებაზე, ვიდრე სხვა სექტორების ზრდა. არსებობს გარკვეული მტკიცებულებები, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლის ზრდისთვის გასაწევი ხარჯები არ აღემატებოდა სხვა სექტორებში შემოსავლის ზრდისთვის საჭირო

ხარჯებს (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2015). საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, კვლავაც, დაბალპროდუქტიულ სასოფლო-სამეურნეო სფეროებში მუშაობს. ეს ხელს უწყობს სოფლად სიღარიბის მაღალ დონეს (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2021b). 2013 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის მუშაკის საშუალო წლიურმა ხელფასმა ქვეყანაში არსებული საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 64 პროცენტი შეადგინა (საქსტატი 2021წ.).

**სოფლის მეურნეობის - წყლის - მიწის ურთიერთდაკავშირებულ სექტორებში არსებული შეფერხებების აღმოფხვრამე მიმართულმა ინტეგრირებულმა მიდგომამ, შეიძლება ასევე უზრუნველყოს ქალებისთვის ხარისხიანი დასაქმების**

**შესაძლებლობა იმ პრაქტიკის დაძლევა, რომლის გამოც ქალებს დაბალანაზღაურებადი, შემთხვევითი სამუშაოს შესრულება უწევთ.** წინა ორი ათწლეულის განმავლობაში, ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებისა და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებაში, საქართველოს მთავრობის მიერ მიღწეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ, არსებობს გენდერული უთანასწორობა სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში. გავრცელებული გენდერული სტერეოტიპების პირობებში, რომლებიც ოჯახს და შინამეურნეობას ქალის პრეროგატივად განსაზღვრავს, ქალების წვლილი სოფლის მეურნეობაში ხშირად შეუმჩნეველი რჩება და დიდწილად ნაკლებად ანაზღაურებადი ან საერთოდ აუნაზღაურებელია. სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და მეტყევეობაში, ქალები, მამაკაცების ანაზღაურების 75 პროცენტს იღებენ, მეთევზეობაში კი მამაკაცის ხელფასის 35 პროცენტს. (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2018a). სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული ქალების ნახევარზე მეტი (60 პროცენტი) არის არა ანაზღაურებადი მუშაკი, რაც ასახავს ტრადიციულ შეხედულებას, რომ ოჯახის წევრმა ქალებმა, საყოფაცხოვრებო საქმეებთან და ოჯახის მოვლასთან ერთად, უფასოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2018a). აგრობიზნესში ქალების წარმატებული მონაწილეობის დამაბრკოლებელი ფაქტორებს შორისაა: (1) ინფორმაციაზე, ცოდნასა და ინოვაციებზე წვდომის პრობლემა, რადგანაც სოფლად საკონსულტაციო სერვისები ძირითადად ფოკუსირებულია მამრობითი სქესის ფერმერებზე, ხოლო ამ სერვისების მიმწოდებელი ქალების წილი უდრის, საერთო დასაქმებულთა, მხოლოდ 9-დან 25 პროცენტს. ქალები, როგორც წესი, ნაკლებად არიან წარმოდგენილი მწარმოებელ ორგანიზაციებში (იქ, სადაც ასეთი ორგანიზაციები არსებობს).

მაგალითად, ფერმერთა კოოპერატივის წევრების მხოლოდ 25 პროცენტი ქალი; ხოლო 2106 კოოპერატივიდან მხოლოდ 100-ს ჰყავდა ქალი ხელმძღვანელი. (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2018a); (2) ტექნოლოგიებზე, მანქანა-დანადგარებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებებზე არსებული წვდომა, გულისხმობს, რომ კაცები ითვლებიან რესურსების წვდომასა და კაპიტალ-ინტენსიური ამოცანების შესრულებაზე გადაწყვეტილების მიმღებ და პასუხისმგებელ პირებად, ხოლო ქალები, ძირითადად, ეწვიან შრომატევად და ხელით შრომას ფერმაში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის მონაცემებით, წყალმომხმარებელ ქალთა პროცენტი (იგულისხმება მიწის მესაკუთრე ქალები, რომლებსაც საირიგაციო მომსახურების კონტრაქტი აქვთ) მხოლოდ 3,7 პროცენტი, რაც წყლის რესურსებზე წვდომაში გენდერულ განსხვავებაზე მიუთითებს; (3) ბაზრებზე და, კერძოდ, საბითუმო ბაზრებზე წვდომა. ქალები აქტიურები არიან საცალო ბაზრებზე, მაგრამ აქვთ ნაკლები მობილურობა და უფრო შეზღუდული წვდომა ტრანსპორტზე, რაც მათ უფრო მომგებიან გარემოში მუშაობის საშუალებას მისცემდა. COVID-19 პანდემიის შესაკავებლად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერების გამო, ქალი ფერმერები განსაკუთრებით მძიმედ დაზარალდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მამრობითი სქესის ფერმერები ბაზრებზე მისასვლელად იყენებდნენ კერძო სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ქალებისთვის მიუწვდომელია (თევდორაძე და სხვები, 2020წ.); და (4) აგროფინანსებზე შეზღუდული წვდომა - ქალებს, როგორც წესი, არ აქვთ მათ სახელზე რეგისტრირებული რაიმე საგირაო ქონება (გაეროს სურვილისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2018a). რეალურად, ქალი მიწის მესაკუთრეები ან თანამფლობელები, მიწის მესაკუთრეთა მთლიანი რაოდენობის 40 პროცენტს



შეადგენენ, მაგრამ მაშინაც კი, როცა ქალები ფლობენ ქონებას, მათი ნაკვეთები საშუალოდ 30 პროცენტით პატარაა<sup>9</sup>, ვიდრე კაცების საკუთრებაში არსებული ნაკვეთები. ყველა ეს შეზღუდვა, რომელიც საქართველოში ქალთა სამეწარმეო ჩართულობის დაბალ დონესთანაც ასოცირდება, კიდევ უფრო გამწვავდა COVID-19-ის პირობებში (თვედლორაძე და სხვები, 2020).

**სოფლის მეურნეობა უნიკალურ და გადამწყვეტ როლს ასრულებს კვების გაუმჯობესებაში.** საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებისა და არასაკმარისი კვების შემამოფოთებელი ტენდენციები აღინიშნება. შეფასებების მიხედვით, 2004 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში, მოსახლეობაში არასაკმარისი კვების გავრცელების მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებსაც ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები (8.2 პროცენტი) აქვთ. სურსათის არასტაბილურობის გავრცელების შეფასებით, საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის იმ ოთხ ქვეყანას შორისაა, სადაც ეს მაჩვენებელი, მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე მაღალია (38.3, 25.5 პროცენტთან შედარებით). არასრულფასოვანი კვების სპექტრის მეორე ბოლოში, საქართველოში ჭარბი წონის გავრცელებამ, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში, 19.9 პროცენტი შეადგინა (2012 წ.) - რაც თითქმის ოთხჯერ მაღალია გლობალურ საშუალო მაჩვენებელზე (2019 წლის გლობალური მაჩვენებელი - 5.6 პროცენტი). დასასრულ, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებს შორის მხოლოდ საქართველოში (და მოლდოვაში) არ მიუწვდებათ ხელი დღეში 400 გრამ ხილსა და ბოსტნეულზე<sup>10</sup>, რაც რეკომენდებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა

და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ. არასაკმარისი კვების გავრცელების მაღალი მაჩვენებლები, სურსათის ხელმისაწვდომობის რისკის მიმართ ზომიერი დაუცველობის მაღალი მაჩვენებელი და ჭარბი წონის გავრცელება, ხილისა და ბოსტნეულის მცირე ხელმისაწვდომობასთან ერთად იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოში პრობლემას წარმოადგენს, როგორც შიმშილი, ასევე ჯანსაღი საკვების რეგულარული ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და სხვები, 2021წ.). არსებობს რამდენიმე გზა, რომელსაც წვლილის შეტანა შეუძლია სურსათის უსაფრთხოებისა და კვების გაუმჯობესებაში (Herforth and Ballard 2016). საქართველოს მთავრობას, სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო პროგრამებისა და ინვესტიციების გაძლიერებით, შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს კვების გაუმჯობესებაში, რაც ადგილობრივ წარმოებას უფრო პროდუქტიულს და კონკურენტულს გახდის (*უვნებელი, მრავალფეროვანი და ნოყიერი საკვების ხელმისაწვდომობის ზრდა*) და გაზრდის გარკვეული პროდუქტების საექსპორტო კონკურენტუნარიანობას (*შემოსავლების ზრდა*). ამას უნდა დაემატოს ჯანსაღი დიეტისა და კვების შესახებ *ცნობიერების ამაღლების* კამპანიები, როგორც ეს ასევე აღიარებულია საქართველოში სურსათის სისტემების სამიტის დიალოგის მიერ. უფრო მეტიც, და რაც მთავარია, მუდმივი *ინვესტიციები ქალთა გაძლიერების საქმეში*, როგორც ეს უკვე ნაჩვენებია იყო ამ ანგარიშში, განაპირობებს კვების გაუმჯობესებას მათ შინამეურნეობებში. ხვალინდელი ეკონომიკა მოითხოვს ჯანსაღ, განათლებულ და გამძლე სამუშაო ძალას. სოფლის მეურნეობას შეუძლია გააუმჯობესოს ან შეაფერხოს ქვეყნების ამ მომავლისთვის მზადყოფნის უნარი.

9 2021 წლის სექტემბერში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სამუშაო ჯგუფისთვის მიწოდებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით.  
 10 გაზომილია მოსახმარად ხილისა და ბოსტნეულის ხელმისაწვდომობის საფუძველზე.

**მთლიანად, წინამდებარე “შემაჯამებელი ანგარიშის” ამოცანაა, შეისწავლოს, თუ როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდის ხელშეწყობა საქართველოში, სოფლის მეურნეობის, მიწისა და წყლის სექტორებში მთავრობის პოლიტიკისა და სტრატეგიული მიზნების გამოცდის, სამივე სექტორში არსებული დაბრკოლებებისა და შესაძლებლობების დეტალიზების, ინტეგრირებული გამოწვევებისა და 2030 წლისთვის მოდერნიზებული სოფლის მეურნეობის სექტორის მიღწევაში საქართველოს დასახმარებლად, დარგობრივი პოლიტიკის ერთობლივი ღონისძიებების განსაზღვრის გზით.** ამ „შემაჯამებელი ანგარიშში“ მოკლედ არის წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორების მიმართ კომპლექსური

მიდგომის დასაბუთება, რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს, 2030 წლისთვის მიაღწიოს სოფლის მეურნეობის დაგეგმილ წინსვლას, ოთხი ფართო მიმართულებით გატარებული ღონისძიების შედეგად. შემდეგ თავებში, მოკლედაა წარმოდგენილი მრავალსექტორული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია სამ თემამე: კონკურენტუნარიანობა, მდგრადობა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობა და მისი გემოქმედების შერბილება, ინკლუზიურობის საფუძველზე. ეს თემები ასახავს მწვანე, მედეგი და ინკლუზიური განვითარების სამ განზომილებას, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერაა განსაზღვრული (ჩანართი 4), როგორც მნიშვნელოვანი ინტეგრირებული COVID-19 პანდემიის შემდეგ უფრო მდგრადი და სამართლიანი აღდგენისა და

□□□□□□ 4: მწვანე, მედეგი და ინკლუზიური განვითარების სამი ასპექტი

**მწვანე:** მხედველობაში უნდა მიიღონ გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობა. მდგრადობა დამოკიდებულია სახელმწიფო და კერძო სექტორების ინვესტიციების ხელშეწყობაზე, რომელიც აღმოფხვრის (ან შეარბილებს) იმ აქტივობების უარყოფით გვერდით მოვლენებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მომავალ ზრდას. ზრდაზე შესაძლოა, გემოქმედება მოახდინონ ისეთმა რისკებმა, როგორცაა სტიქიური კატასტროფები, გარემოს დაბინძურების გავლენა ჯანმრთელობაზე და ნაყოფიერი ნიადაგების დეგრადაცია. რისკები ასევე წარმოიქმნება იმ შემთხვევებში, როდესაც ყურადღების მიმართვა ხდება ძირითადად იმ აქტივობებზე, რომელთა მიმართ მოთხოვნა მცირდება, აქედან გამომდინარე, ზრდის შესაძლებლობები ჩნდება, როდესაც ინვესტიციას დებენ სუფთა პროდუქტებში, ვინაიდან მათზე მოთხოვნილება იზრდება.

**მედეგი:** განვითარების დასაცავად, ქვეყნებისა და კომპანიების წინაშე დგას რისკებისა და გაურკვევლობების ფართო სპექტრისათვის საჭირო მომზადების, შერბილებისა და ადაპტირების პრობლემა, რომელიც მოიცავს რეცესიებს, ფინანსურ შოკებს, კონფლიქტებსა და ძალადობას,

წყარო: მსოფლიო ბანკი (2021c).

ბუნებრივ საფრთხეებს, კლიმატის ცვლილებებსა და პანდემიებს, რომლებიც ზოონოზური დაავადებებით არის გამოწვეული. სხვადასხვა შოკისადმი მედეგობის გაზრდით, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური, კლიმატური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შოკები, ქვეყნები და კომპანიები თავიდან აიცილებენ ისედაც მწირი რესურსების მიმართვას შოკების, რესტრუქტურისაციის, აღდგენისა და მოდერნიზაციის განმეორებად ციკლებზე.

**ინკლუზიური:** სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მზარდი უთანასწორობა და მათი იზოლირება მომსახურებიდან, ბაზრებიდან და შესაძლებლობებიდან, აფერხებს განვითარებასა და ზრდის უთანხმოებას. იმის უზრუნველყოფას, რომ აღორძინება ამ სოციალური ჯგუფებიდან არავის გამოტოვებს, შეუძლია შეამციროს უთანასწორობა შესაძლებლობებისა და შედეგების მიმართ და დაეხმაროს ამ იზოლირებულ ჯგუფებს, რომ მათაც მიიღონ საერთო სარგებლიდან თავიანთი სამართლიანი წილი. კერძო და სახელმწიფო სექტორების მიერ, პოლიტიკის შემუშავებასა და საინვესტიციო პროექტებში, განსხვავებული პერსპექტივებისა და საზოგადოების ჩართულობამ შესაძლოა შეამსუბუქოს განხორციელების გამოწვევები.

გრძელვადიანი განვითარების პარადიგმის მისაღწევად (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2021b). ეს განზომილებები მწვანე, მედეგი და ინკლუზიური განვითარების მიდგომას, გადაწყვეტილების მიღების/პოლიტიკის შემუშავების სასარგებლო საფუძვლად აქცევს. ამ მრავალსექტორულ მიდგომას, შეუძლია მოხსნას ძირითადი შეზღუდვები, შეამციროს წყლისა და მიწის დეგრადაცია, ხელი შეუწყოს კოორდინირებულ ქმედებებსა და დაეხმაროს საქართველოს, გახდეს ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის მწარმოებელი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება ევროკავშირის ბაზრებზე, იმ დროს, როდესაც მწვანე, გენდერულ და მცირე მწარმოებლების ჩართულობაზე ორიენტირებულ, წყლისა და მიწის მდგრად გამოყენებასა და სურსათის წარმოების სტანდარტებზე გადასვლას უზრუნველყოფს.

ამ “შემაჯამებელი ანგარიშის” დანარჩენ ნაწილს აქვს შემდეგი სტრუქტურა:

- **მე-2 თავში** განხილულია საქართველოში სოფლად არსებული

კონტექსტი და მიღწევები და წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსებისა და მიწის მართვის სფეროებში განვითარებული უახლესი მოვლენები.

- **მე-3 თავში** წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, 2030 წლისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაგეგმილი ხედვის მისაღწევად, სამი ძირითადი მიმართულებით: კონკურენტუნარიანობა, მდგრადობა და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობა და მისი ზემოქმედების შერბილება.
- **მე-4 თავში** ანგარიში მთავრდება კონკრეტული პოლიტიკის ღონისძიებების შეთავაზებით, რომელიც საჭიროა, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის წინსვლისთვის, სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის ურთიერთდაკავშირებული სექტორების გათვალისწინებით.

# 2

## საქართველოში სოფლად განვითარებული მოვლენები და კონტექსტი

---

საქართველოში სოფლის სექტორი იცვლება, რაც განპირობებულია შესაძლებლობების, შეზღუდვებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო ტრაექტორიის კომბინაციით. სოფლის მეურნეობაზე, წყალსა და მიწაზე მოქმედი პოლიტიკისა და პროგრამის განვითარება განხილულია ქვემოთ.

## A. მთავრობის პოლიტიკა და სტრატეგიული მიზნები სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში

**საქართველოს, როგორც სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ასევე ზოგადი ეროვნული პოლიტიკა, აღიარებს სოფლის მეურნეობისა და ღირებულებათა ჯაჭვების განვითარების მიზნით, სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორებში ინტეგრირებული ინვესტიციების აუცილებლობას.** კერძოდ, „2015-2020 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში“ პრიორიტეტი ენიჭება ჰიდრო-მელიორაციასა და ნიადაგის ნაყოფიერების საკითხებს, განსაკუთრებით ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესებასა და ნიადაგების გონივრულ გამოყენებას. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (ან საქართველო 2020) აღიარებულია, რომ ირიგაციისა და დრენაჟის სისტემებში ინვესტირება, ხელს შეუწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას და რომ მიწის საკადასტრო სისტემაში არსებული სისუსტეების აღმოფხვრა გაუმჯობესებს სოფლის მეურნეობის დაფინანსების ხელმისაწვდომობას. 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში: „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, სოფლად და სოფლის მეურნეობის განვითარების დღის წესრიგის ძირითად კომპონენტებად, წყლის/ირიგაციისა და მიწის სექტორებში (მიწაზე საკუთრების ჩათვლით) ინვესტირება არის დასახელებული. ქვეყნის მიერ, კლიმატთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებები იმავე მოსაზრებებს ასახავს.

**საქართველო აღიარებს სოფლის მეურნეობას, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ წყაროს და ადგენს მისი განვითარების**

**კონკრეტულ ამოცანებს.** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“ მიზნად ისახავს სოფლის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას შემდეგი სტრატეგიული მიზნებით:<sup>11</sup>

- ა) კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარება;
- ბ) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემის შენარჩუნება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; და
- გ) სურსათის / ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემების შემუშავება.

სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად პრიორიტეტი ენიჭება შემდეგ კონკრეტულ ამოცანებს:

- ა) ფერმერთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება;
- ბ) ღირებულებათა ჯაჭვების განვითარება მათი დივერსიფიკაციის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და ფერმერებს შორის კოოპერაციის ხელშეწყობის გზით;
- გ) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- დ) ბაზარზე ფერმერებისა და მენარმეების ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ე) სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მენარმეების მხარდაჭერა;
- ვ) ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; და
- ზ) სარწყავი და სადრენაჟე სისტემების გაუმჯობესება;

<sup>11</sup> სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 და 2017-2020 წლების სტრატეგია გადაიხედა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და კონსოლიდირებულია ერთ სტრატეგიულ დოკუმენტში - „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში“.

სოფლის მეურნეობა ასევე არის COVID-19-ის პანდემიის შემდეგ მდგომარეობის „უკეთეს ალდგენის“ ცენტრალური გზა, რომელიც საფუძვლად უდევს გაეროს სურსათის სამიტის დიალოგს, რომელშიც საქართველო მონაწილეობს (გაერო 2021წ.).

**სურსათის / ცხოველის საკვების უზნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში, საქართველოს თავისი მიზნები და კანონმდებლობა შესაბამისობაში მოჰყავს ევროკავშირის მარეგულირებელ ჩარჩოსთან, როგორც ეს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.** 2010 წელს დაარსებული სურსათის ეროვნული სააგენტო, ახორციელებს ყველა საქმიანობას, რომელიც სურსათის უზნებლობასთან, ვეტერინარულ მომსახურებებთან და მცენარეთა დაცვასთან არის დაკავშირებული. თუმცა, სურსათის უზნებლობისა და ვეტერინარული კონტროლისთვის განუვლი ხარჯები განსაკუთრებით დაბალია და სანარმოების შედარებით მცირე რაოდენობა ყოველწლიურად მონმდება. მონაწილე მხარეები მუდმივად ხაზს უსვამენ უფრო ეფექტური და გამჭვირვალე სახელმწიფო კონტროლის საჭიროებას (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020a).

**„საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიით“ განსაზღვრული მიზანია სარწყავი ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და სარწყავი მიწების ფართობის 200 000 ჰექტარამდე გაზრდა 2025 წლისთვის.** სტრატეგიაში მოცემულია ამბიციური დღის წესრიგი, რომელიც გულისხმობს არა მარტო სარწყავი ფართობის გაზრდას, არამედ „საქართველოს მელიორაციის“ რეფორმირებას. რეფორმის შედეგად ეს ორგანიზაცია უნდა გახდეს მაღალკვალიფიცირებული და ფინანსურად მდგრადი მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც განახორციელებს მონაცემთა ბაზის მართვას, მიიღებს გადაწყვეტილებებს, ექნება ირიგაციის ტარიფების ახალი

სისტემა და მისი კლიენტები იქნებიან ადგილობრივი მმართველი ორგანიზაციები (მაგ., წყალმომხმარებელთა ორგანიზაციები). საერთო ჯამში, „საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიას“ აქვს შემდეგი მიზნები: (ა) წყალმომარაგების საიმედოობის გაუმჯობესება ინფრასტრუქტურის განახლებისა და რეაბილიტაციის გზით; (ბ) სამელიორაციო მომსახურების მიმწოდებელთა ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, პირდაპირ სახელმწიფო სუბსიდირებაზე, მათი დამოკიდებულების შემცირების გზით; (გ) ალტერნატიული მიზნებისათვის წყლის ეფექტურად განაწილების უზრუნველყოფა და (დ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა გონივრული ტარიფების საფუძველზე, საიმედო სარწყავი და სადრენაჟე მომსახურების უზრუნველყოფით (USAID 2016).

**სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების მოქმედი ტარიფების რეფორმა.**

სტრატეგიაში ნათქვამია, რომ ეს არის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საქართველოში ირიგაციის სერვისების ინსტიტუციური არქიტექტურის წარმატებას ან წარუმატებლობას განაპირობებს. ამჟამად საქართველოში ირიგაციის საბითუმო ტარიფი, ისეთ უკიდურესად დაბალ დონეზეა დაწესებული, რომ ის არც მომსახურების ხარჯებს ფარავს და არც წყლის ეფექტურად გამოყენების სტიმულს იძლევა (USAID 2016წ.). სტრატეგია ნათლად მიუთითებს, რომ არსებული სატარიფო სქემა არ არის ოპტიმალური, არა მხოლოდ ტარიფის დონესთან დაკავშირებით, არამედ იმიტომაც, რომ სტრუქტურირებულია ჰექტარზე გადასახადის სახით, წყლის მომხმარებლებთან ნებაყოფლობითი წლიური კონტრაქტების საფუძველზე. ამიტომ, ირიგაციისა და დრენაჟის ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის შემუშავება, არის კიდევ ერთი საკვანძო რეფორმა, რომელიც საქართველოს ირიგაციისა

და დრენაჟის სექტორში, სასწრაფოდ არის განსახორციელებელი. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ეს მეთოდოლოგია, ორიდან ერთ-ერთ სტრატეგიაზე უნდა იყოს ორიენტირებული: (ა) ხარჯების ანაზღაურება (მომსახურების მიმწოდებლების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა) ან (ბ) მოთხოვნილების მართვა (წყლის რესურსების ეფექტური განაწილების უზრუნველყოფა). ირიგაციის ტარიფის რეფორმირებასთან დაკავშირებით, მთავრობა ამჟამად შიდა და გარეშე მხარეებთან კონსულტაციების ადრეულ ეტაპებზე იმყოფება. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაწყებულია კვლევა, რათა დადგინდეს, თუ როგორ უნდა გამოითვალოს ირიგაციის ფიქსირებული და ცვლადი, ორკომპონენტიანი საბითუმო ტარიფი, რომელსაც საქართველოს მელიორაცია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების მომავალ წევრებს დაუნესებს.

### **2019 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომელიც საქართველოში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ოფიციალურ დაფუძნებასა და საქმიანობას უწყობს ხელს.**

კანონმა, ლოკალური სარწყავი არხების მართვის პასუხისმგებლობა, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებს გადასცა იმ იმედით, რომ ისინი წყლის რესურსების ადგილობრივ მართვას გააუმჯობესებენ (ADB 2020წ.). წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციები შემდეგია: ა) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის (მეორადი/მესამეული არხები, ლოკალური საირიგაციო სისტემა, ჰიდროტექნიკური ერთეული) მართვა, მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; და საირიგაციო მომსახურების განწვევა; ბ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წევრებისთვის მომსახურების განწვევა და ხელშეკრულების საფუძველზე სხვა წყალმომხმარებლებისთვის მომსახურების განწვევა; გ) მიწოდების ნერტილში წყლის

აღრიცხვა და მისი რაციონალურად განაწილება; დ) წყალსარგებლობის საფასურის ამოღება და პირველად წყალმომხმარებელთან ანგარიშსწორება; ე) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წყალსარგებლობის საფასურის გადახდევინების იძულებითი აღსრულების თაობაზე, სააღსრულებო ფურცლის გაცემა, რომლის ფორმას ამტკიცებს სამინისტრო (საქართველოს პარლამენტი 2019ა).

### **2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში: „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისკენ“, მიწის რეგისტრაცია, მიწის ბაზრის განვითარების წინაპირობად არის მიჩნეული.**

მთავრობის ხედვა მიწის სექტორის განვითარების შესახებ, გარკვეულწილად, ასახულია „2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში“, რომელიც მიწის რეფორმის დასრულებას, მიწის სექტორთან დაკავშირებულ მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრავს. მთავრობა გეგმავს, რომ განაგრძოს მუშაობა „ქვეყნის მასშტაბით და მუნიციპალიტეტების სივრცითი დაგეგმარების კონცეფციების, სქემებისა და გეგმების შემუშავებაზე და ქალაქების, დასახლებებისა და სოფლების მიწათსარგებლობის გეგმებსა და განვითარების რეგულაციებზე; მიწის რეგისტრაციაზე; მიწასთან დაკავშირებულ დავებში, სახელმწიფოს მიერ, მედიატორის როლის შესრულებაზე; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზებასა და იჯარით გაცემაზე და მიწის ბალანსის განვითარებაზე“ (საქართველოს მთავრობა, 2020წ.).

### **2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, შემდეგი 3 წლის განმავლობაში, პრიორიტეტი ენიჭება, მიწის ბაზრის განვითარებას, მიწის რეგისტრაციის პროცესის მხარდაჭერასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების გაუმჯობესებას.**

მიწის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის ორი მიზანი ასახულია, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში: ა) მიწის ბაზრის განვითარება და

(ბ) მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურების გაუმჯობესება. მომდევნო 3 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ, თითოეული ამ მიზნის შესაბამისად, მთელი რიგი ღონისძიებები დაგეგმა: (ა) მიწის სისტემატური რეგისტრაცია 5 მუნიციპალიტეტის 74 დასახლებაში (საგარეჯო, თეთრიწყარო, გარდაბანი, გორი და ქარელი); (ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ქონების რეგისტრაციის საინფორმაციო სისტემის განახლება, სარწყავი ტერიტორიების სისტემატური რეგისტრაციის მიზნით; (გ) სპეციალისტების შესაძლებლობების ზრდა, რომლებიც ამზადებენ მიწის ნაკვეთის ესკიზურ გეგმებს და მიწის სისტემატურ რეგისტრაციას (1.2 მილიონი ჰექტარი); (დ) ქონებაზე საკუთრების უფლების, იჯარისა და სხვა დოკუმენტების ჩანაწერების წარმოება; (ე) ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება; და (ვ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სივრცითი მონაცემების განახლება. ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა, ევროკავშირის მიერ, მისი წევრი სახელმწიფოებისათვის, დადგენილი მოთხოვნაა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსად, საქართველოსთვის, მაღალი ხარისხის გეოგრაფიული მონაცემების ხელმისაწვდომობა და ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული სერვისების შემუშავება პრიორიტეტულია, კრიზისისა და საგანგებო სიტუაციების მართვის, ტრანსპორტის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, გარემოს, ურბანული დაგეგმარებისა და ქონების ბაზრების თვალსაზრისით. ახალ დაარსებული მიწის სააგენტო, პასუხისმგებელია მიწის ბალანსისა და მიწის რესურსების ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის შემუშავებაზე (საქართველოს პარლამენტი 2019b).

**საქართველო აღიარებს, რომ „მიწის, მეთევზეობისა და ტყეების პასუხისმგებლიანი მართვის ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო**

### **მითითებების“ განხორციელება მიწშენელოვანია სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში.**

სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრული შემდეგი ძირითადი მიზნები, შესაბამისია საქართველოსთვის, მაგრამ კარგად არ არის ასახული საქართველოს მიწის პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტებში (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2012წ.): (ა) მიწის, თევზის სარეწებისა და ტყეების გამოყენებაზე, მართვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი სისტემებისთვის, საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკის შესახებ, ინფორმაციის მიწოდებისა და დახმარების გზით, საკუთრების მართვის გაუმჯობესება; (ბ) ამ რესურსებზე საკუთრების უფლებების მარეგულირებელი პოლიტიკის დიაპაზონის, სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარჩოების გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობა; (გ) რესურსებზე საკუთრების უფლებების სისტემების გამჭვირვალობის ამაღლება და ფუნქციონირების გაუმჯობესება; (დ) განმახორციელებელი სააგენტოების, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების, ფერმერთა და მცირე მენარმეების ორგანიზაციების, მეთევზეებისა და ტყით მოსარგებლეების, მწყემსების, მკვიდრი მოსახლეობისა და სხვა თემების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და საკუთრების მართვაში დაინტერესებული ყველა სხვა პირის შესაძლებლობებისა და მართვის უნარის გაძლიერება, აგრეთვე ზემოხსენებულ მონაწილე მხარეებს შორის თანამშრომლობის განვითარება.

**ბუნებრივი რესურსების მართვა ფოკუსირებულია მდგრადი, კლიმატონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკების დანერგვაზე, აგრო-ბიო-მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე, ეკოტურიზმის განვითარებაზე, ტყეების მდგრად მართვასა და განახლებადი ენერჯის წყაროების პოპულარიზაციაზე.** საქართველოს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ ითვალისწინებს,



2030 წლისთვის, სათბურის აირების ემისიის, 30 პროცენტით შემცირებას, 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით. საქართველოს პირველი „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ განახლდა და წარადგინეს 2017 წელს, რის შემდეგაც ის კვლავ განახლდა 2019 წელს. ამჟამად მისაღებია 2021 წლის ვერსია (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, 2021 ბ). ძირითადი სექტორები, რომლებზეც გავლენას მოახდენს ემისიების სამიზნე დონე არის ენერგეტიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და წყლის რესურსების მართვა (მათ შორის სურსათის წარმოების გაუმჯობესება). გარდა ამისა, ამ სექტორების მარეგულირებელი პოლიტიკის გაუმჯობესება, მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების ნაწილია. აქ შედის: ირიგაციის ინოვაციური მართვა და წყლის გამოყენების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, სანაპირო ზონის დაცვის ტექნოლოგიების დანერგვა და სტრატეგიული დოკუმენტების/პოლიტიკის ჩამონათვალის განხორციელება (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, 2020წ.). გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნულ გეგმაში ჩამოყალიბებული „2030 წლის ხედვა“, ითვალისწინებს საქართველოში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვას, რამაც უნდა უზრუნველყოს სასურსათო უსაფრთხოება, სოფლად სიღარიბის აღმოფხვრა და აგრო-ეკო-სისტემის მომსახურების მდგრადობა, წარმოების უაღრესად მაღალეფექტური მეთოდების გავრცელებისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვის გზით (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017ა). საქართველომ ჩამოაყალიბა კლიმატის ცვლილების საბჭო, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ხელმძღვანელობს. საბჭოს ფუნქციაა, განსაზღვროს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, შეიმუშაოს შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები,

გააუმჯობესოს კოორდინაცია სამინისტროებს შორის და ქვეყანაში, ზედამხედველობა გაუწიოს გაზომვების, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის სისტემას (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 2021b).

**იმის მიუხედავად, რომ სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემებისა და მიწის ბაზრის განვითარების მნიშვნელობა, აღიარებულია დარგთაშორისო სახელმწიფო პოლიტიკაში სხვადასხვა დისკრეტული ინიციატივების მეშვეობით, ამ მნიშვნელოვანი ინიციატივების განხორციელებას აფერხებს კრიტიკული შეზღუდვები, რომლებიც ბლოკავენ პროგრესს სამივე სექტორში.** ქვეყნის განვითარებისა და ბიზნესის მხარდაჭერის გეგმა „საქართველო 2020“, რომელიც 2014 წელს მიიღეს, მნიშვნელოვან პრიორიტეტს ანიჭებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს. უფრო მეტიც, მასში აღიარებულია ქვეყანაში ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების მნიშვნელობა, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში. „საქართველო 2020“ ასევე ხაზს უსვამს მიწის ბაზრის განვითარების მნიშვნელობას. „2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში“, რომელიც COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის დაძლევაზე არის მიმართული, მთავრობა გამოხატავს მტკიცე ნებას „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების ერთიანი სტრატეგიით“ განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების შესახებ (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017c). უფრო მეტიც, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში, „2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამა“ ორიენტირებულია მიწის რეგისტრაციის ღონისძიებებზე. მასში გამოხატულია მტკიცე გადაწყვეტილება, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია. 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამის მიზნებია:

ა) მიწის ბალანსის შემუშავება, ყველა სასოფლო სამეურნეო ტერიტორიის ინვენტარიზაცია და მიწის რესურსების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა; და (ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია. „2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში“ ასევე გაკეთდა განცხადება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციაში ინვესტირების შესახებ. ამასთანავე, 220 მილიონ ლარზე მეტი (70.4 მილიონი აშშ დოლარი) ჩაიდება დამატებით 40 000 ჰექტარის გასარწყავებაში და თითქმის 1000 ჰექტარი მიწის დაშრობაში. ამ სტრატეგიული ამოცანების, მიზნებისა და გეგმების ერთობლიობა, საქართველოს პერსპექტიულ შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს სამივე სექტორის მნიშვნელოვანი სინერგიით. თუმცა, როგორც აღწერილია შემდეგ ქვეთავებში, სამი სექტორიდან თითოეული რთული და უნიკალური დაბრკოლებების ნაკრების წინაშე დგას, რომლებიც ხელს უშლიან ამ ინიციატივების დაჩქარებულ პროგრესს.

## B. სოფლის მეურნეობის სექტორში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები

**სოფლის მეურნეობა, საქართველოს ეკონომიკაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია მთლიანი შიდა პროდუქტის/ მშპ-ში მისი წილის, სამუშაო ადგილების შექმნისა და სავალუტო შემოსულობების თვალსაზრისით.** ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სექტორის წილი ეროვნულ ეკონომიკაში საშუალოდ 7.8 პროცენტს შეადგენს. 2020 წელს, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკის ერთ-ერთი სექტორი იყო, რომელზეც შედარებით ნაკლები გავლენა იქონია COVID-19-ის

პანდემიამ. წინასწარი გათვლები აჩვენებს, რომ, როდესაც, 2020 წელს, ქვეყნის ეკონომიკა 6.2 პროცენტით შემცირდა, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მშპ-ში ერთი საპროცენტო პუნქტით გაიზარდა - 7.4 პროცენტიდან 8.4 პროცენტამდე. (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი /RAPDI 2021წ.). სექტორის წვლილი, როგორც წესი, სათანადოდ შეფასებული არ არის, რადგან მისი გამოძვისას მხედველობაში არ მიიღება პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირები (ანუ შემკვეთებთან და მწარმოებლებთან კავშირები) და მათთან ასოცირებული მულტიპლიკატორის ეფექტი. კვლევებმა აჩვენა საკმაოდ დადებითი კავშირი, სოფლის მეურნეობის ზრდასთან და სამუშაო ადგილების შექმნასთან, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია პირველად სოფლის მეურნეობასთან (Morris et al 2020). ფაქტობრივად, აგროგადამუშავება შეადგენს საქართველოს მშპ-ს დამატებით 7-8 პროცენტს (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020a). მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 41 პროცენტი სოფლად ცხოვრობს და მათი უმრავლესობის ძირითად საარსებო საშუალებას, კვლავ, სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის სექტორი უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 19.1 პროცენტს.<sup>12</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წმინდა იმპორტიორია, ბოლო ათწლეულში მისი სავაჭრო ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 2010-2020 წლების პერიოდში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტმაც და ექსპორტმაც ზრდის ტენდენციები აჩვენა, თუმცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე მისი იმპორტი. 2020 წლისათვის სოფლის მეურნეობის

**12** 2020 წელს საქსტატმა განაახლა დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკის გამოთვლის მეთოდოლოგია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) საშუალო ძალის სტატისტიკის გათვალისწინებით. ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, თვითდასაქმებული პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებული და ანარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ძირითადად (50 პროცენტზე მეტს) საკუთარი მოხმარებისათვის, აღარ ჩაითვლებიან თვითდასაქმებულებად. ამ სტატუსის მქონე პირების კლასიფიკაცია შეიცვალა სხვა კატეგორიებით (უმუშევარი, სამუშაო ძალის გარეთ დარჩენილი მოსახლეობა) გამომდინარე იქიდან, ემეგნ თუ არა სამუშაოს, ან არიან თუ არა ისინი მზად მუშაობის დასაწყებად. ამის შედეგად, მთლიან დასაქმებაში, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი შეიცვალა, 2019 წელს არსებული 41 პროცენტიდან, 2020 წლის 19,1 პროცენტამდე.

პროდუქცია, შეადგენდა ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 28 პროცენტს, მაშინ როდესაც მისი შესაბამისი წილი მთლიან იმპორტში 15 პროცენტი იყო (საქსტატი 2021წ.). საშინაო ბაზარზე, შიდა ბაზრისათვის მარცვლეულის, ხორცისა და რძის წარმოება და გადამუშავება; და გადამუშავებული სურსათი, იმპორტირებულთან დიდ კონკურენციას აწყდება, რომლის წილზეც მოხმარებული კალორიების 65 პროცენტი მოდის. სუპერმარკეტებში შეღწევადობა დაბალია, რადგან სურსათის 70 პროცენტი ბაზრებში იყიდება, თუმცა ოფიციალურ საცალო სექტორებისთვის ეს ზრდის შესაძლებლობას იძლევა იმ პირობით, თუ გაუმჯობესდება პროდუქტების სტანდარტი (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d).

**მიუხედავად შიდა და გარე ბაზრის შესაძლებლობებისა, სოფლის მეურნეობის სექტორის, ზრდის ტემპი მის პოტენციალთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.**

მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის უმეტესი ნაწარმის პროდუქტიულობა დაბალია, როგორც აბსოლუტური მაჩვენებლებით, ასევე შესადარებელ ქვეყნებთან მიმართებით. საოჯახო მეურნეობების თითქმის 80 პროცენტს გააჩნია ერთ ჰექტარზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 4.3 პროცენტს - ერთი ან ორი ჰექტარი და მხოლოდ 1.3 პროცენტს (8577 საოჯახო მეურნეობა) გააჩნია ხუთი და მეტი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). მცირე ფერმების უმეტესობისთვის, მცირე ფერმის ზომისა და ფერმის დაბალი პროდუქტიულობის ერთობლიობა ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო შემოსავლები ძალიან დაბალია იმისთვის, რომ მხოლოდ ფერმიდან მიღებული შემოსავალით ირჩინონ თავი. ფაქტობრივად, სოფლად მცხოვრები საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს შეადგენს ხელფასები და სოციალური დახმარებები, რომელიც არ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. ამასთანავე, ექსპორტზე ორიენტირებული მწარმოებლებისა და


აგრობიზნესის საწარმოების შედარებით მცირე, მაგრამ მონიწივე ჯგუფებმა, რომლებიც აწარმოებენ ღვინოს, თხილსა და სასურსათო ხილს, შეიმუშავეს წარმატებული მიწოდების ჯაჭვი და აჩვენეს მდგრადი ზრდის შესაძლებლობა. დანარჩენი ფერმერები, სუსტად არიან ინტეგრირებულები ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრებში. აგრობიზნესის მცირე საწარმოები, ძირითადად ფოკუსირებულია შიდა ბაზრებზე და უჭირთ იმპორტთან კონკურენცია. უფრო მეტიც, მიუხედავად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების ზრდისა, პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირები, საწარმოო საშუალებების ინდუსტრიასა და აგროგადამამუშავებელ საწარმოებთან, უფრო ძლიერი უნდა იყოს. ეს ეხება ეკონომიკის სხვა სექტორებსაც. ამან შეიძლება, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს, სოფლის მეურნეობაში დამატებითი ღირებულების პოტენციალზე, სექტორის მოდერნიზაციასა და კონკურენტუნარიანობაზე. ბაზრების როლი, დამატებითი ღირებულების შექმნის პროცესში, კვლავ შეზღუდული რჩება. ზოგადად, პირდაპირი გაყიდვები საოჯახო მეურნეობებზე და საოჯახო მეურნეობების მიერ მოხმარება, კვლავ რჩება სექტორისათვის მნიშვნელოვან საკითხად. აგრობიზნესის ბევრი წარმომადგენელი, მცირე ფერმერებისგან შესყიდვის ნაცვლად, მიმართავს ვერტიკალურ ინტეგრაციას, როგორც ნედლეულის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებას (მსოფლიო ბანკის ჯგუფი/ WBG 2020d).

**ქართველ ფერმერებს მოუნვთ, ისარგებლონ მწვანე ტექნოლოგიებით.**

საქართველოში, ფერმერების მიერ, დანერგილი კლიმატის ცვლილებებზე რეაგირების ძირითადი პრაქტიკა მოიცავს კონსერვაციული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის გამოყენებას (კულტურათა მონაცვლეობა/თესლბრუნვა, მულჩირება, ნიადაგის ნულოვანი ან მინიმალური დამუშავება), ზუსტი ირიგაციის ან მიკრო

ირიგაციის ტექნოლოგიებს, ქარსაცავ ზოლებს, სეტყვისა და მოყინვის საწინააღმდეგო სისტემებს და ასევე, საძოვრებში ინვესტირებას. თუმცა, მიუხედავად ასეთი კლიმატკონივრული სოფლის მეურნეობის/CSA, მრავალმხრივი სარგებლისა, საქართველოში, მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობისათვის გამოვლენილი პრაქტიკისა და ტექნოლოგიების უმეტეს ნაწილს, დანერგვის ძალიან დაბალი ხარისხი აქვთ (30 პროცენტზე ნაკლები). კლიმატკონივრული სოფლის მეურნეობის, ფართომასშტაბიანი დანერგვის ძირითად ბარიერებს წარმოადგენს შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები, ცოდნისა და პრაქტიკის ნაკლებობა, აღჭურვილობისა და უნარ-ჩვევების უქონლობა (მსოფლიო ბანკი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია/FAO, 2022წ.). ფერმერების კრედიტებზე შეზღუდული წვდომა წარმოადგენს ძირითად წინააღმდეგობას, მათ მიერ ტექნოლოგიებისა და წარმოების საშუალებების ფართო გამოყენებისათვის და მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ფერმერების მიერ სესხის უზრუნველყოფის/გირაოს უქონლობასთან, რადგან მიწის მხოლოდ 40 პროცენტი არის რეგისტრირებული. მიწის ნაკვეთების ზომასთან ერთად, მიწის ფლობის შეზღუდული უფლება აღმოჩნდა ის კრიტიკული პრობლემა, რაც აფერხებს ინვესტიციებს, აგრო-ბიზნესის განვითარებასა და კომერციალიზაციას. ეს ყველაფერი, ურწყავი და სარწყავი მიწების პირობებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის მაღალ პოტენციალზე მიუთითებს. კლიმატის ცვლილებამ, კიდევ ერთი გამოწვევა შემატა ირიგაციის საჭიროების სახით, რომელიც ამჟამად პოტენციური ტერიტორიის მხოლოდ მცირე ფართობზე გამოიყენება.

ნახ. 2: დამატებითი ღირებულების დარგობრივი წილები (1996 - 2020წწ.)



წყარო: მსოფლიო ბანკის ვგუფი (2021d). შენიშვნა: 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

**საქართველოში სოფლის მეურნეობა სტრუქტურული ტრანსფორმაციის გზაზე**


**დაგს.** როგორც ეს ხდება რეგიონის სხვა ქვეყნებში, იმ დროს, როდესაც, სექტორი განაგრძობს ზრდას აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ხვედრითი წილი ეკონომიკაში მცირდება, სხვა სექტორები უფრო დიდ დამატებით ღირებულებას ქმნიან (ნახ. 2) და სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში უფრო ცოტა ადამიანი დასაქმებული (ნახ. 3). სტრუქტურული ტრანსფორმაციის სხვა ელემენტები, ტიპურად მოიცავს გაზრდილ დამატებით ღირებულებას სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ინდუსტრიებისთვის. ნამდვილად, 2010 და 2019 წლების განმავლობაში, გაიზარდა, როგორც სასურსათო პროდუქტების, ასევე სასმელების წარმოება<sup>13</sup> (ნახ. 4). სურსათის წარმოებაში, დამატებითი ღირებულება, რეალური მაჩვენებლებით მნიშვნელოვნად

13 საქსტატი მიჰყვება ეროვნული ანგარიშის NACE Rev. 2 classification კლასიფიკაციას. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, სურსათის წარმოება მოიცავს სოფლის მეურნეობის, მეტყვეობისა და მეთევზეობის პროდუქტების გადამუშავებას, ადამიანების ან ცხოველების მოხმარებისთვის, მ.შ. სხვადასხვა შუალედური პროდუქტების წარმოება, რომლებიც უშუალოდ სურსათის პროდუქტებს არ წარმოადგენს. ეს აქტივობა ხშირად ქმნის უფრო მეტი ან ნაკლები ღირებულების შესაბამის პროდუქტებს (მაგ. ტყავებს, მიღებულს დაკვლის შედეგად, ან ჩენჩოს, ზეთის წარმოებიდან).

გაიზარდა 2010 წლის 222.9 მილიონი ლარიდან 2019 წლის 401.8 მილიონ ლარამდე, ხოლო დამატებითი ღირებულება სასმელების წარმოებაში, თითქმის სამჯერ,

გაიზარდა 222.3 მილიონი ლარიდან 596.4 მილიონ ლარამდე (საქსტატი 2021წ.)

**ნახ. 3: დასაქმების დარგობრივი წილები (1991 - 2019წწ.)**




წყარო: მსოფლიო ბანკის ჯგუფი (2021d). შენიშვნა: 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

**მიუხედავად ამისა, საქართველოში არსებული სამუშაო ძალის დიდი ნაწილი დაკავებულია დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობაში.**

მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 41 პროცენტი სოფლად ცხოვრობს და სოფლად მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად კვლავ სოფლის მეურნეობას ეყრდნობა. საოჯახო მეურნეობების თითქმის 80 პროცენტს გააჩნია ერთ ჰექტარზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 4.3 პროცენტს - ერთი ან ორი ჰექტარი და მხოლოდ 1.3 პროცენტს (8, 577 საოჯახო მეურნეობა) გააჩნია ხუთი და მეტი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). საქართველოს ფერმერული მეურნეობების სტრუქტურა, თავისი მცირე აგრარული მეურნეობით, ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს მთლიან დასაქმებაში სოფლის მეურნეობის სექტორის დიდ წვლილს. მაგრამ, რადგანაც ამ სამუშაო ძალამ 2020 წელს წარმოქმნა მშპ-ს მხოლოდ 8,4 პროცენტი, ეს მიუთითებს, რომ საქართველოში სამუშაო

**ნახ. 4: დამატებითი ღირებულება სასურსათო პროდუქტებისა და სასმელების წარმოებაში 2015 წლის ფასების მიხედვით**



წყარო: საქსტატი (2021). შენიშვნა: 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით.

ძალის უდიდესი ნაწილი დაკავებულია დაბალპროდუქტიულ სამუშაოზე. შრომის ნაყოფიერება, საუკეთესო შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იყოს ფაქტობრივად ნამუშევარი საათების ან სრული სამუშაო დღის ეკვივალენტის მიხედვით და არა ერთი ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინფორმაცია საქართველოსათვის ხელმისაწვდომი არ არის. ფაქტობრივი შრომის ნაყოფიერება, შეიძლება სინამდვილეში სათანადოდ არც იყოს შეფასებული, რადგან ფერმერების უმეტესობისათვის ეს საქმიანობა ნაწილობრივი დასაქმებაა, იმ 19.1 პროცენტისთვისაც კი, ვინც სტატისტიკის მიხედვით სოფლის მეურნეობის სექტორის სამუშაო ძალად ითვლება. საქართველოს 2018 წლის შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა აჩვენებს, რომ ფერმერული მეურნეობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან თავიანთი შემოსავლების მხოლოდ 8 პროცენტს იღებენ, ხოლო 16 პროცენტს შინამოხმარება წარმოადგენს. შემოსავლის დანარჩენი წილი მოდის ხელფასებზე, პენსიებსა და არააგარულ თვითდასაქმებაზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვების წილი იმატებს ფერმერული მეურნეობის ზომასთან ერთად, მაგრამ ყველაზე უფრო მსხვილი ფერმების შემთხვევაშიც კი, არ აჭარბებს 25 პროცენტს (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება სავარაუდოზე მაღალიც რომც იყოს, მაინც საჭიროა მისი გაზრდა, შინამოხმარებაზე ორიენტირებული ფერმერების კომერციული ფერმერების ჯგუფში გადაყვანის ხარჯზე. იმ დროს, როდესაც სტრუქტურული ტრანსფორმაცია იწვევს პირველად წარმოებაში სამუშაო ადგილების შემცირებას, ჩვეულებრივ ის ქმნის მეტ სამუშაო ადგილებს აგროსამრეწველო სექტორის სხვა ნაწილებში, როგორცაა, სურსათის წარმოება და სასურსათო მომსახურება და სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებები და მომსახურება. ეს შესაძლოა,

აგრეთვე, ნიშნავდეს პირველად წარმოებაში უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნასაც. ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნას, პოლიტიკისა და ხარჯების პრიორიტეტების გადახედვას და სექტორის ეფექტიანობის ამაღლებასა და შესაძლებლობების განვითარებას ყურადღების მიქცევა სჭირდება.

**სოფლის მეურნეობაში სტრუქტურული ტრანსფორმაცია განპირობებულია გაუმჯობესებული პროდუქტიულობის ურთიერთდაკავშირებული პროცესებით, წარმოების სტრუქტურის ცვლილებებით (ძირითადი პროდუქტებიდან მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქტებამდე) და კომერციალიზაციით (Divanbeigi et al 2016).** მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა ანალიტიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს აუცილებლად სჭირდება წინსვლა ყველა მიმართულებით: სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში, სულ უფრო მეტად, ჭარბობს მარცვლეული კულტურები, ყურძენი და კარტოფილი, სადაც მარცვლეული კულტურებს (სიმინდი, ხორბალი) კულტივირებული ფართობის 42 პროცენტი უკავია. ამასთანავე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, შესაძარებელ ქვეყნებთან მიმართებით, დაბალია და ბოლო ათწლეულის განმავლობაში მხოლოდ მცირედით გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი, იმპორტზე სწრაფად იზრდება, იგი მოიცავს საექსპორტო საქონლის მხოლოდ მცირე რაოდენობას (ღვინოს, თხილს, მინერალურ წყლებს) და ძირითადად იმართება მსხვილი, პროგრესული ფერმებისა და აგრობიზნესის საწარმოების მცირე ჯგუფების მიერ (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d).

**თავის მხრივ ამ პროცესებზე, რომლებიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის გარდაქმნას, გავლენას ახდენს ეფექტიანი ტექნოლოგიების (როგორცაა ირიგაცია) დანერგვა, წყლისა და მიწის რესურსების შესაბამისი**

### სისტემები და ამასთან ერთად, ბაზრებსა და ფინანსებზე წვდომა (Divanbeigi et al 2016).

მიუხედავად იმისა, რომ წყალთან, ირიგაციასთან და მიწასთან დაკავშირებული საკითხები მოგვიანებით განიხილება ამ ანალიტიკურ ანგარიშში, მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ ადრინდელ ანალიტიკურ ნაშრომში, რომელიც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის საკითხებს ეხება, აღნიშნულია, რომ ფინანსური ჩართულობითა და სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი კრედიტებით, საქართველო დადებითად გამოირჩევა ევროპისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებისაგან. კერძოდ, პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და აგრობიზნესების დაკრედიტება მნიშვნელოვნად გაიზარდა და გადააჭარბა მთლიან ეკონომიკაში დაკრედიტების ზრდას (თუმცა 2017 წელს ეს ზრდა შეჩერდა და შემცირდა კიდევაც სხვა ბიზნესების მთლიან კრედიტებთან შედარებით). უფრო მეტიც, უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის სექტორის შეღავათიანი დაკრედიტების დანერგვის შემდეგ, გაცილებით მეტი კრედიტი გაიცა სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესზე (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020c). მიუხედავად ამისა, აღნიშნული იყო, რომ გარდა ბანკებისა, ძალიან მცირეა დაფინანსების სხვა წყაროები. ბანკები, როგორც წესი, კონსერვატიულები არიან და უიმედო/ უმოქმედო კრედიტების დაბალი დონის შესანარჩუნებლად, ძირითადად ეყრდნობიან სესხის განთავსების საკმაოდ კონსერვატიულ შეფასებასა და უზრუნველყოფის მაღალ მოთხოვნებს. ეს ხდება მოძრავი გირაოს ძალიან შეზღუდული გამოყენებისა და სოფლად ციფრული ფინანსური მომსახურების დაბალი შეღწევალობის პირობებში. უფრო მეტიც, იმ დროს, როდესაც დამოკიდებულება უცხოურ ვალუტაში დაკრედიტებაზე მცირდება, განსაკუთრებით პირველად სოფლის მეურნეობასთან მიმართებით (მცირე ზომის სესხების გამო), უცხოური ვალუტით დაკრედიტება,

საკმაოდ დომინანტურია აგრობიზნესის სესხებში, რაც დაფიქრების საგანი უნდა იყოს, განსაკუთრებით აგრობიზნესის ფირმებისთვის, რომლებიც ექსპორტს არ ეყრდნობიან (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020c). ბაზრებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა ადრინდელმა ანალიტიკურმა კვლევამ დაადგინა, რომ ბაზრის სტრუქტურა ზოგადად კონკურენტუნარიანია, მაგრამ ღირებულებათა ჯაჭვები დანაწევრებული და არაკოორდინირებულია (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d).

### ახალ წარმოქმნილი მცირე ფერმერებისა და აგრობიზნესების სუსტი ინტეგრაცია, ერთ-ერთი ყველაზე უფრო კრიტიკული, ხელისშემშლელი პირობაა საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდისთვის.

(მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). მცირე ფერმერული მეურნეობების მაღალი წილის გათვალისწინებით არსებული მყიდველების (გადამამუშავებლები, საცალო მოვაჭრეები, ექსპორტიორები, შუამავლები) მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, მცირე ფერმერებისგან შესაბამისი ხარისხის საკმარისად დიდი მოცულობის პროდუქტის შექმნა, რასაც ხშირად თან სდევს მრავალ მომწოდებელთან ინდივიდუალური მუშაობის მაღალი საოპერაციო ხარჯები. უფრო მეტიც, ერთი მხრივ, კავშირები ფერმერებსა და მყიდველებს შორის უმეტესად არაფორმალურია და ეფუძნება ადგილობრივ ბაზარზე ნაღდ ანგარიშსწორებას, როგორც ეს ხდება საქონლისა და ცხვრის (როგორც ცოცხალი, ასევე პროდუქტის სახით) ბაზარზე და თხილის, კენკრის, ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021წ.). კავშირები მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის შედარებით უკეთ არის განვითარებული, ღირებულებათა ისეთი ჯაჭვების შემთხვევაში, სადაც წარმოება და მოთხოვნა სეზონურობით არ ხასიათდება და აგრო-გადამამუშავებლებს აქვთ მყარი საბაზრო კავშირები, როგორც ეს ხდება რძის

ქვესექტორში, მაგრამ მხოლოდ მსხვილ მწარმოებლებსა და მსხვილ მყიდველებს შორის<sup>14</sup> (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021წ.). მეორე მხრივ, საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული ფერმერებზე ან მწარმოებლებზე დაფუძნებული ორგანიზაციები (როგორცაა, ასოციაციები და კოოპერატივები), რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მცირე ფერმერებსა და მყიდველებს შორის კავშირებს (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი). ქალები, როგორც წესი, არასაკმარისად არიან წარმოდგენილები მწარმოებელთა ორგანიზაციებში, იქ, სადაც ასეთი ორგანიზაციები არსებობენ. მაგალითად, ფერმერთა ყველა კოოპერატივის წევრების მხოლოდ 25 პროცენტია ქალები და არსებული 2,106 კოოპერატივიდან, ქალები, მხოლოდ 100 კოოპერატივს ხელმძღვანელობენ (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2018ა). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მყიდველები, უპირატესობას ანიჭებენ ნაკლები რაოდენობის, მაგრამ უფრო მსხვილ ფერმერთან მუშაობას, რომლებსაც შეუძლიათ სტაბილური ხარისხისა და დიდი მოცულობის პროდუქციის მიწოდება, ვიდრე მცირე ფერმერების დიდ რაოდენობასთან მუშაობას (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი). მრავალმა მყიდველმა მიმართა ვერტიკალურ ინტეგრირებას და ჩაერთო პირველადი პროდუქციის წარმოებაში. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას იძლევა, უფრო უკეთესად, აკონტროლო პროდუქტის მოყვანის, მოსავლის აღებისა და შენახვის პროცესი. ეს ასევე საშუალებას აძლევს მწარმოებლებს, შეინარჩუნონ გადამუშავების მაღალი წარმადობა ან უზრუნველყონ მინიმალური წარმადობა, როცა ადგილობრივ ბაზარზე არ არის

საკმარისი რაოდენობის ნედლეული (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხდება მცირე და საშუალო მწარმოებლების ხარჯზე.

**მთლიანად, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის ინტეგრაციის მექანიზმი, ვერ ახერხებს მცირე ფერმერების ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვასა და მაღალ საფეხურზე აყვანას.** მექანიზმების მთელ სპექტრზე, რომელიც მიმართულია საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ, მიწოდების ჯაჭვის ინტეგრაციის მექანიზმები, რომელიც მოცემულია რძის ქვესექტორის მაგალითზე (დანართი: კონკრეტული მაგალითის ანალიზი), ყველაზე მეტად ფორმალიზებულია. რაც შეეხება ადგილზე (სპოტ) ბაზარს, რომლის მექანიზმებიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული, ის ამ სპექტრის მეორე ბოლოშია. ამ ორ ბოლოს შორის არის გამოცდილება მწარმოებელ ორგანიზაციებთან, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში არაერთგვაროვანია (გარდა თხილის ქვესექტორის წარმატებული შემთხვევისა, რომელიც კონკრეტული მაგალითის ანალიზის დანართშია აღწერილი) და გამოცდილება საკონტრაქტო კავშირებთან, როგორცაა კონტრაქტის საფუძველზე მომუშავე ფერმერული მეურნეობები, რომელიც გამოცდის ადგილის მიუხედავად, ზოგადად არაა პოზიტიური, რაც ყურძნისა და ხორცის ქვესექტორების მოცემული კონკრეტული მაგალითების ანალიზის დანართებშია აღწერილი. ცხრილი 1-ში წარმოდგენილია ინტეგრაციული მექანიზმების სურათი, საქართველოში არსებული ათი სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვისთვის, რომელიც 2021 წლის აპრილსა და ივნისს

<sup>14</sup> მოცემული მოკლე ანგარიშისათვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტმა/RAPDI (2021) შემოიღო ფერმების ზომების დადგენის შემდეგი კატეგორიები: მცირე (უმეტეს შემთხვევაში 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და მაქსიმუმ 5 სული საქონელი), საშუალო (1-5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ან 6-20 სული საქონელი) და მსხვილი (5 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი ან 20 სულზე მეტი საქონელი).



**ცხრილი 1: ინტეგრაციული მექანიზმების სურათი საქართველოში არსებული ათი სასოფლო-სამეურნეო ღირებულების ჯაჭვისათვის**

	რძის პროდუქტები (რძე)	საქონლის ხორცი	ხორბალი	სიმინდი	კარტოფილი	ატამი / ვაშლატამა / ნექტარინი	მოსავი	კულინარიული მწვანილი	თხილი	საფინე ჯიშის ყურძენი
მინოდების ჯაჭვის ინტეგრირება კონტრაქტების საშუალებით (ფასის ჩათვლით)	✓									
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება კონტრაქტის საფუძველზე (ფასის გამოკლებით)		✓		✓				✓		✓
ვერტიკალური ინტეგრაცია	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
დამოუკიდებელი საცალო მოვაჭრეები და სხვა შუამავლები/ აგრეგატორები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
საწარმოო ორგანიზაციები (კოორდინატორული ინტეგრაცია)								✓		
ნაღდი საქონლის ბაზარი/ფერმა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

← საანდერსაღერადან დაიწყო

→ საანდერსაღერადან დაიწყო

წყარო: ავტორები ეყრდნობიან სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტის/ RAPDI (2021) კვლევებს.

შორის პერიოდში, ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფებში ჩატარებული დისკუსიების საფუძველზე მომზადდა, ამ ანალიტიკური ანგარიშის მიზნებისათვის.<sup>15</sup> ცხრილში მოცემულია მექანიზმებთან მუშაობის გამოცდილება, მიუხედავად იმისა, წარმატებული იყო ეს გამოცდილება თუ არა. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვები შეიძლება დახასიათდეს ერთდროულად რამდენიმე მექანიზმით.

**სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ინტეგრაციის მექანიზმების ნაირსახეობა განსხვავებულად მოქმედებს, თუმცა საკონტრაქტო კავშირები, არსებობის შემთხვევაშიც კი, ძირითადად არაფორმალური ხასიათისაა და თითქმის არასოდეს მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ ფასებს.** ამჟამად არსებული მექანიზმები მოიცავს (ა) შუამავალთა ქსელს, რომელიც ასრულებს ადგილზე შესყიდვის, შეგროვებისა და ტრანსპორტირების ფუნქციებს და (ბ) ადგილზე ბაზრების (სპოტ) დომინირებასა და ფერმერებსა და მყიდველებს შორის ნაღდ ფულზე დაფუძნებულ ტრანზაქციებს. ასეთი ბაზრებისათვის დამახასიათებელია მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის მრავალი წვრილი და არაორგანიზებული შუამავალის არსებობა, რომლებსაც ამასთანავე არ გააჩნიათ სპეციალიზაცია და არ ეყრდნობიან ფორმალურ შეფასებებსა და სტანდარტებს, აწარმოებენ მოლაპარაკებებს ერთი ერთზე და მეტწილად მუშაობენ

არაფორმალური ხელშეკრულებების საფუძველზე. არაფორმალური შეთანხმებები მოსავლის აღებამდე, რომლებიც დამახასიათებელია შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვების უმეტესობისათვის, ჩვეულებრივად მოიცავს ე.წ. „ხელის ჩამორთმევით“ და ზოგადი პირობებით დადებულ გარიგებას. ასეთ შემთხვევებშიც კი, გარიგებები იშვიათად მოიცავს პროდუქციის კონკრეტულ მოცულობასა და ხარისხს და თითქმის არასოდეს ფასს. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ზოგადი შესყიდვების ხელშეკრულება ფორმდება მოსავლის აღების შემდეგ და პროდუქციის შემომწოდების შემდეგაც კი, როგორც ეს ხდება ხორბლის შემთხვევაში, ხელშეკრულებაში შეიძლება, ჩაიდოს რაოდენობა და ტრანზაქციების შესრულების დრო, მაგრამ არა ფასი. გამონაკლისს წარმოადგენს კავშირები იმ ღირებულებათა ჯაჭვებში, რომლებსაც არ ახასიათებს სეზონური წარმოება და გააჩნიათ მიწოდების შედარებით გრძელი ჯაჭვი, როგორც ეს რძის წარმოების ქვესექტორშია, სადაც საბაზრო ურთიერთობები უფრო მეტადაა განვითარებული და ემყარება გრძელვადიან თანამშრომლობას (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021წ.). ის ელემენტები, რომლებიც საშუალებას მისცემს სუბიექტებს შორის საკონტრაქტო ურთიერთობების გაძლიერებას, როგორიცაა საწყობის ქვითრების სისტემა და ბაზრისა და ფასების საინფორმაციო სერვისები, როგორც ჩანს, საქართველოში არ გამოიყენება.<sup>16</sup>

**15** 2021 წლის აპრილიდან ივნისამდე, სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტმა/RAPDI-მ ჩატარა 32 ინტერვიუ აგრობიზნესის წარმომადგენლებთან და 10 დისკუსია ფოკუს ჯგუფში, ჯამში 150 ფერმერის მონაწილეობით, 10 შერჩეული სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვიდან, კონკრეტულად, რძე, საქონლის ხორცი, ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ატამი/ვაშლატამა/ნექტარინი, მოცვი, კულინარიული მწვანელი (ძირითადად ქინძი, კამა, ოხრახუმი და ნიახური), თხილი და ყურძენი და საღვინე ჯიშის ყურძენი. ანალიზისთვის, სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვების შესარჩევად, გამოიყენეს შემდეგი კრიტერიუმები: (ა) წვლილი სოფლის მეურნეობის მთლიან შიდა პროდუქტში; (ბ) სავალუტო შემოდინების წარმოქმნა; (გ) მცირე ფერმერული მეურნეობების ფართო მონაწილეობა წარმოებაში; (დ) წვლილი სასურსათო უსაფრთხოებაში; (ე) დარგობრივი ასოციაციების არსებობა; (ვ) საქართველოს მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა; და (ზ) ხარისხზე დაფუძნებული გადახდის არსებული სისტემები.

**16** მაგალითად, სოფლის მეურნეობის ბაზრის საინფორმაციო სისტემამ, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ იყო მხარდაჭერილი, დროებით შეაჩერა ფუნქციონირება (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2020); ან 2007 წლის წინადადება, რომელიც საქართველოში შემოიღებდა საწყობის ქვითრების პროგრამას საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის მარცვლეულის ბაზრების ინტეგრაციის კონტექსტში (Hollinger and Rutten 2009).

**დაბალი უნარები და ცუდი ინფრასტრუქტურა ართულებს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვებში, ინტეგრაციის დაბრკოლებების დაძლევას.**<sup>17</sup> თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ ინოვაციური პრაქტიკული ინსტრუქციებისა და ფერმიდან ბაზრამდე შესაძლებლობების ცოდნა, არასაკმარისია მთელ სექტორში. ფერმერებს, ხშირად, არ აქვთ წვდომა კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციაზე და შედეგად არ აქვთ, წარმოების გაუმჯობესებული ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ბიზნეს პრაქტიკის, დანერგვის სურვილი. გადამამუშავებლები, საწარმოებსა და ალტერნატიულ ბაზრებში, ინვესტირების წარმართვაში, დამოკიდებული არიან საერთაშორისო კონსულტანტებზე. სექტორის მასშტაბით მოქმედ ყველა მონაწილეს, სჭირდება დახმარება, თუ როგორ გავიდნენ ახალ ბაზრებზე, როგორ გაართვან თავი ამინდისა და ბაზრის კონიუნქტურის ცვალებადობას. ამ სირთულეების დიდი ნაწილი დაკავშირებულია კარგად მომზადებული ექსტენციის სპეციალისტების, კვების ტექნოლოგიებისა და აგრობიზნესის კონსულტანტების ნაკლებობასთან, რაც უფრო მეტად ღრმავდება ცოდნის გადაცემის მწირი და ფრაგმენტული ინსტიტუციური ბაზის არსებობით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაციამ, გააუმჯობესა ცოდნა და ინოვაციური საქმიანობები ამ სექტორში, საჯარო სამეცნიერო-კვლევითი სისტემა, მნიშვნელოვნად, დაუფინანსებელი რჩება. ამასთანავე, კვლევების პრიორიტეტები არ არიან ადაპტირებულები, კომერციული, სოფლის მეურნეობის ცვალებად საჭიროებებზე (მსოფლიო ბანკი 2020წ.). უფრო მეტიც, იმ დროს, როდესაც, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტრო აფართოებს ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურებას, საკუთარი რეგიონული საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრებისა (რომლებიც 2013 წელს ჩამოყალიბდნენ) და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტების საშუალებით, ეს მომსახურება შესუსტებულია თანამშრომლების შეზღუდული ცოდნით, რადგანაც მათ უმეტესობას არ გაუვლია ოფიციალური ტრენინგი სოფლის მეურნეობის დარგში. ქალებიც ასევე იმყოფებიან არასახარბიელო მდგომარეობაში ინფორმაციასთან, ცოდნასა და ინოვაციებთან წვდომის საკითხებში, რადგანაც სოფლად არსებული საკონსულტაციო მომსახურება ძირითადად მამაკაც ფერმერებზეა ორიენტირებული, ხოლო ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ასეთ მომსახურებას აწვდიან, დასაქმებულთა მთლიანი რიცხვის მხოლოდ 5-დან 25 პროცენტს შეადგენენ (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2018a). ზოგიერთი კერძო კომპანია, რომელიც ყიდის საწარმოო საშუალებებს, ასევე სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას ფერმერებს, მაგრამ ისინი ძირითადად ფოკუსირებულია, მსხვილი ფერმებისათვის, ბრენდირებული პროდუქტების მიწოდებაზე. ზოგიერთი, დონორის მიერ მხარდაჭერილი, კომპანიები და არასამთავრობო ორგანიზაციები ქმნიან ინოვაციურ სისტემებს, რომლებიც განკუთვნილია ტექნიკური დახმარებისთვის და გააჩნია ამ ხარვეზის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის პოტენციალი.

**გარდა ამისა, საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემები არასათანადოდ არის განვითარებული, არაფორმალური და შეუსაბამო საწარმოების სუსტი კონტროლით.** არ არსებობს სახელმწიფო სერტიფიცირების სისტემა, მაღალი სტანდარტების მქონე მწარმოებლების

<sup>17</sup> ზემოთაღნიშნული საკითხის ანალიზი გაკეთდა საქართველოში აგროსასურსათო ღირებულებათა ჯაჭვის ინკლუზიური განვითარების მაქსიმალური დაფინანსების პროგრამის ფარგლებში

კონკურენტუნარიანობის უპირატესობის გასაძლიერებლად და არის ხარვეზები სანარმოო საშუალებებისა და ლოგისტიკური მომსახურების რეგულირებაშიც. აკრედიტაციის მიუხედავად, ლაბორატორიული სამსახურების უმეტესობას, აკლია საერთაშორისო აღიარება და სანდოობა (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). მცირემასშტაბიანი გადამამუშავებელი სექტორის (მათ შორის საოჯახო მეურნეობების) სუსტი რეგულაცია, ასევე ქმნის პრობლემებს სურსათის უვნებლობის საკითხებში და რადგანაც მცირე სანარმოების უმეტესობა აწარმოებს პროდუქციას არა ევროკავშირის ბაზრებისათვის, მათთვის მცირე სტიმულია, გაიღონ დიდი ხარჯები, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისობისთვის. (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020d).

**ამასთანავე, ტრანსპორტიც და აგროლოგისტიკური შესაძლებლობებიც არასაკმარისად არის განვითარებული, დაბალია როგორც შიდა, ასევე გარე სატრანსპორტო კავშირები.** მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მაგისტრალური და შიდა გზების გაუმჯობესების კუთხით, ადგილობრივი გზების ინფრასტრუქტურა კვლავ გაუმართავია. სანჯავის ფასები მაღალია და სატრანსპორტო სისტემა ისევ ძველ, საბჭოთა პერიოდის სატვირთო მანქანებს იყენებს. საქართველოს ასევე დაბალი ქულები აქვს მსოფლიო ბანკის ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსის ინდიკატორების უმეტესობაში, თუმცა განბაჟების კუთხით პროგრესი მიღწეულია (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020b). იმპორტირებულ აღჭურვილობაზე, შესაფუთ მასალასა და სხვა სანარმოო საშუალებებზე დამოკიდებულების გამო იზრდება გადამამუშავების ხარჯებიც. ტექნიკის კვალიფიცირებული ოპერატორების ნაკლებობა იძულებულს ხდის კომპანიებს, რომ უცხოელი სპეციალისტები დაიქირაონ საკმაოდ მაღალი ღირებულების ფასად (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020b). ასეთი პრობლემებისაგან არც მსხვილი

აგრობიზნესიც არის დაზღვეული, თუმცა მათ მეტი რესურსები გააჩნიათ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. სოფლის მეურნეობის სექტორის როგორც მსხვილი, ასევე მცირე სუბიექტები სარგებელს ნახავენ, თუ მიიღებენ ზომებს, რომ გააუმჯობესონ ბაზარზე ინტეგრაცია და პროდუქციის აგრეგაცია, გაზარდონ ნედლეულის ნაკადი მცირე მეურნეობებიდან მსხვილ აგრობიზნესებამდე, შეავსონ ცოდნის ხარვეზები, ხელი შეუწყონ ღირებულებათა ჯაჭვების გასწვრივ ინოვაციას, გააუმჯობესონ აგროფინანსება და აგროლოგისტიკაზე წვდომა და გააძლიერონ საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). გარდა ამისა, ქალები, როგორც წესი, ბაზარზე წვდომისას არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან. იმის მიუხედავად, რომ ისინი საკმაოდ აქტიურად არიან წარმოდგენილები საცალო ბაზრებზე, ქალები ნაკლებად მობილურები არიან და ტრანსპორტზე შედარებით შეზღუდული წვდომის გამო, არ შეუძლიათ, უფრო მომგებიან პირობებში მიიღონ მონაწილეობა (მაგალითად, საბითუმო ბაზრებში, რომლებიც შეიძლება საკმაოდ შორს მდებარეობდნენ). საყურადღებოა, რომ ქალი ფერმერები განსაკუთრებით დაზარალდნენ კოვიდ-19 გავრცელების შეკავების ფარგლებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების გამო. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი ფერმერები ბაზარში მისასვლელად კერძო სატრანსპორტო საშუალებებს იყენებდნენ, რომლებიც ქალების უმეტესობისათვის მიუწვდომელი იყო (თევდორაძე და სხვები, 2020წ.).

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი დაუცველია კლიმატის ცვლილებების მიმართ.** მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების მიმდინარე ტენდენციები, როგორცაა ტემპერატურის მატება, ნიადაგის ეროზიები, გვალვები კონკრეტულ რეგიონებში, გაძლიერებული წყალდიდობები, ყინვა და სეტყვა ახალ მავნებლებთან და დაავადებებთან ერთად, რომლებიც

აზიანებენ ნათესებს, ტყეებსა და საქონელს, შეამცირებენ მოსავლიანობას სოფლის მეურნეობის მთავარ რეგიონებში. ასევე მოსალოდნელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაზე უარყოფითად იმოქმედებს მოსავალზე ტემპერატურისა და ნალექების რაოდენობის პირდაპირი ზემოქმედება, გაზრდილი მოთხოვნა ირიგაციაზე, რაც აუცილებელია მოსავლიანობის შესანარჩუნებლად, წყალმომარაგების შემცირება, რაც დაკავშირებულია აორთქლების ინტენსივობასა და ნალექების მცირე რაოდენობასთან და ასევე, უფრო მეტი გვალვიანი დღეების მოლოდინი (მსოფლიო ბანკი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2022წ.). საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ქვესექტორებზე, კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი ზემოქმედება, აღწერილია ჩანართში 5.

### **კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობას შეუძლია ეკონომიკური ეფექტიანობის საშუალებით დახმარება გაუწიოს უფრო მედეგი და მდგრადი სექტორის შექმნას.**

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მეთოდი, კლიმატის ცვლილების პირობებში, უზრუნველყოფს განვითარებასა და სასურსათო უსაფრთხოებას, (ა) სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და ფერმერების შემოსავლის მდგრადი ზრდის, (ბ) კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის ადაპტაციისა და ზრდის და (გ) სათბურის აირების გამონაბოლქვის შემცირებით და/ან მოცილების საშუალებით, ეროვნული განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად. გარდა ამისა, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მეთოდები, ეკონომიკურად მეტ-ნაკლებად ეფექტიანია. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ხარჯებისა და სარგებლის შეფასება

განსხვავებულია, წინასწარი ეკონომიკური ანალიზი აჩვენებს, რომ მცირემიწიან ფერმერთა მეურნეობების ადაპტაციის პროგრამის (ASAP)<sup>18</sup> ფარგლებში, 32 ქვეყნის დონეზე ჩადებული და 2010 წელს დამტკიცებული, 20 წლიანი ინვესტიციები შექმნიან და გადააანალიზებენ წმინდა ღირებულებას, რომელიც ინვესტირებულია მცირე ფერმერულ მეურნეობებსა და პროექტის სხვა ბენეფიციარებში 1 აშშ დოლარზე 0, 44 აშშ დოლარიდან 1,63 აშშ დოლარამდე და წარმოქმნიან საშუალო სუფთა მიმდინარე ღირებულებას 6,8 აშშ დოლარის ოდენობით (მსოფლიო ბანკი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2022).

**მიუხედავად იმისა, რომ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენს, საქართველოში ფერმერების მიერ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკა ფართოდ არ არის გავრცელებული.** საქართველომ დაადგინა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შემდეგი პრიორიტეტები:<sup>19</sup> (ა) საძოვრებისა და ქარსაცავი ზოლების აღდგენა, ქარისა და წყლის ეროზიისა და სარწყავი არხების დასილვის პრობლემების შესამცირებლად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მიკროკლიმატური პირობებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება; (ბ) წყლის კონსერვაცია და წყლით ეფექტიანი სარგებლობა, სარწყავი სქემების რეაბილიტაციისა და გაუმჯობესების საშუალებითა და მორწყვის ისეთი მონივნავ მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: მიკროირიგაციის ტექნოლოგიები; (გ) ნიადაგის კონსერვაციისათვის საჭირო მემცენარეობის

**18** ASAP არის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის (IFAD) წამყვანი პროგრამა, მცირემიწიანი ფერმერებისთვის კლიმატისა და გარემოს დაფინანსების მისამართავად. ეს პროგრამა შეყვანილია IFAD-ის რეგულარულ საინვესტიციო პროცესებში. მეტი ინფორმაციისთვის იხ: [www.ifad.org/en/asap](http://www.ifad.org/en/asap).

**19** კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ტექნოლოგიური სამოქმედო გეგმებისა (2012წ.) და გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მეორე ეროვნული შეტყობინების (2009წ.) მიხედვით. საქართველოს მიერ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და შერბილების სხვა ვალდებულებები ჩამოთვლილია I/A განყოფილებაში.

## ჩანართი 5: კლიმატის ცვლილების მოსალოდნელი ზემოქმედება საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ქვესექტორებზე

**ხორბალი:** ხორბლის 60 პროცენტზე მეტი ინარმოება კახეთში (აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში), ხოლო დანარჩენი კი მთლიანად კონცენტრირებულია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში (შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში). არსებულ კლიმატურ პირობებში, ისტორიულ მონაცემებთან შედარებით (1956-1985წწ.), ხორბალი უფრო ხშირად ხვდება გვალვაში, ბარტყობის პერიოდში. ბოლო ძლიერი გვალვა 2020 წელს იყო, რასაც შედეგად მოჰყვა საშუალოზე უფრო დაბალი მოსავლიანობა. დათბობის უარყოფითი ზემოქმედება უფრო ნათელი იქნება ურწყავ და გვალვისკენ მიდრეკილ რეგიონებში, როგორცაა შირაქი და ელდარი. თუ ტენიანობა საკმარისია, ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ზრდა დადებითად იმოქმედებს ხორბლის პროდუქტიულობაზე. 2071-2100 წლებში, მოსალოდნელი საშუალო წლიური ტემპერატურის 3.6°C მატება, იმავე აგროტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, გამოიწვევს ხორბლის მოსავლიანობის დაახლოებით 15-25 პროცენტით შემცირებას. მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურა, ხელსაყრელ პირობებს შექმნის მავნებლების პოპულაციის გაზრდისთვის, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ხორბლის მოსავლიანობაზე.

**სიმინდი:** სიმინდის დაახლოებით 70 პროცენტი დასავლეთ საქართველოში ინარმოება, სადაც ტენიანობა მაღალია და აქედან გამომდინარე, ნარმოება არ არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული ირიგაციის სისტემაზე. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში კახეთში, რომელიც ასევე სიმინდის მწარმოებელი რეგიონია, შეინიშნება ცვლილება ნალექების მოდელში, რომელიც მთითხოვს ირიგაციის გამოყენებას ზაფხულის იმ მოკლე პერიოდის განმავლობაში, როდესაც მარცვლის შევსების კრიტიკული ფაზა იწყება. 2071-2100 წლებში მოსალოდნელი საშუალო წლიური ტემპერატურის 3.6°C მატება იმავე აგროტექნოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, გამოიწვევს სიმინდის მოსავლიანობის დაახლოებით 15-25 პროცენტით შემცირებას. მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურა ხელსაყრელ პირობებს შექმნის მავნებლების პოპულაციის გაზრდისთვის, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს სიმინდის მოსავლიანობაზე.

**მეღვინეობა/მევენახეობა:** საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული ყურძნის ნარმოება, განსაკუთრებით, ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში: ამჟამად დაახლოებით 38,000 ჰექტარიდან 40,000 ჰექტარამდე ყურძნის ნარმოებას ეთმობა და დაახლოებით 35,000-ზე მეტი მცირე ფერმერია

დაკავებული ყურძნის ნარმოებაში. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში, ადგილი ჰქონდა ინტენსიურ კოკისპირულ წვიმებს, სეტყვასა და წყალდიდობებს, რამაც გავლენა მოახდინა კახეთის ღვინის რეგიონზე და სერიოზულად დააზიანა ასობით ვენახი. მოსალოდნელი კლიმატის ცვლილებები შესაძლოა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას იქონიებს მოსავალზე, რადგანაც იქნება გვალვების უფრო ხანგრძლივი პერიოდები, რომელსაც შედეგად მოჰყვება მოსავლიანობისა და ხარისხის გაუარესება.

**კარტოფილი:** საქართველოში კარტოფილის ნარმოების თითქმის ნახევარი მოდის სამცხე-ჯავახეთზე (ცენტრალური სამხრეთ რეგიონი), სადაც ნალექების დონე (მაისი - ივნისი) ბოლო ათი წლის განმავლობაში 10 პროცენტით გაიზარდა. ამან გამოიწვია როგორც წყლის ჭარბი რაოდენობა და ახალ აღებული სათესლე კარტოფილის დატბორვა, მისი უფრო მწვავე დაავადება სოკოებით, განსაკუთრებით ფიტოფტოროზითა და ალტერნარიოზით. Aquacrop-ის მოდელისა (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) და ექსპერტების ერთობლივმა შეფასებამ, კარტოფილის მოსავლიანობაზე მიმდინარე და მოსალოდნელი კლიმატის ცვლილებების გავლენის შესახებ, საქართველოს სამივე რეგიონში (ახალციხე, დუშეთი-ფასანაური, ხულო) აჩვენა, რომ კლიმატის ცვლილების სცენარიდან A1B გამომდინარე, ურწყავი კარტოფილის პროდუქტიულობა, სავარაუდოდ გაიზრდება მცხეთა მთიანეთში და მნიშვნელოვნად შემცირდება მაღალმთიან აჭარასა (10-40 პროცენტით) და ხულოში. მოსალოდნელია, რომ კარტოფილის მოსავლიანობა, იმ ფართობებზე, სადაც სარწყავი ინფრასტრუქტურა გამოიყენება, გაიზრდება ყველა მწარმოებელ ზონაში; მორწყვის ეფექტი განსაკუთრებით მაღალია ახალციხეში და შედარებით უმნიშვნელოა მცხეთა-თიანეთში, რაც აიხსნება ნალექების განსხვავებული რეჟიმითა და ნიადაგის გრანულომეტრული შემადგენლობით.

**მანდარინი:** საქართველოში მანდარინის უმეტესი ნაწილი ინარმოება აჭარისა და გურიის რეგიონებში (სამხრეთ დასავლეთ რეგიონში). საშუალო ტემპერატურის მოსალოდნელი მატება, ზოგადად დადებითად აისახება სექტორზე მოსალოდნელი მოსავლიანობის, შესაფერისი ტერიტორიის გაფართოებისა და მოსავლის აღების სემონის ხანგრძლივობის თვალსაზრისით. თუმცა, ამჟამად, სექტორი ნარმოებისა და ფასების უზარმაზარი ცვალებადობით ხასიათდება, რაც გამოწვეულია ადრეული შემოდგომის, როდესაც ხილი ჯერ

## ჩანართი 5: „გაგრძელება“

კიდევ არ არის სრულად განვითარებული და ძალიან მგრძობიარე კლიმატური პირობების მიმართ, ხშირი ყინვებითა და სეტყვით. გარდა ამისა, 2100 წლისთვის ციტრუსის წარმოებისთვის საჭირო ტენიანობა არსებითად შემცირდება, რითაც მანდარინის (ციტრუსის) წარმოებისთვის ხელსაყრელი ზონები საშუალო შემცირდება, თუ არ განხორციელდება სარწყავი სისტემების განვითარება. კლიმატის ცვლილებამ, ასევე შეიძლება გაზარდოს, მაგნებლებისა და დაავადებების გავრცელების შესაფერისი პირობები სანაპირო რაიონებში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მანდარინის მოსავლიანობაზე.

**თხილი:** თხილის წარმოების ნახევარზე მეტი სამეგრელოზე (დასავლეთის რეგიონი) მოდის. ვეგეტაციის პერიოდში, ივლისიდან აგვისტომდე, გვალვებთან ერთად ნალექების დონის მატებაც დაფიქსირდა. ცხელი ქარების სიხშირე, ხანგრძლივობა და სიჩქარე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა, რამაც დააზიანა მოსავალი და უარყოფითი გავლენა მოახდინა მომავალ მოსავალზე, რადგან მცენარე სუსტი და ცუდად განვითარებულია. მომავალი კლიმატის პროგნოზები, მიუთითებს უარყოფით გავლენაზე მოსავლიანობაზე, განსაკუთრებით

წყარო: მსოფლიო ბანკი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (2022წ.).

ხანგრძლივ მშრალ პერიოდებსა და თბილი ზამთრის შემდეგ. სამეგრელოში ექსტრემალური ნალექის გაზრდა გამოიწვევს დაბლობების დროებით დატბორვას. ტემპერატურული რეჟიმის ცვლილება კი გაზრდის მავნე პათოგენის დატვირთვას და გამოიწვევს მცენარეთა დაცვის უფრო ყოვლისმომცველი ღონისძიებების საჭიროებას. ძლიერი ცხელი ქარები გაზრდის დანაკარგებს და შეამცირებს მოსავლიანობას.

**მეცხოველეობა:** თბილ ზამთარს, შეუძლია, გაზარდოს ცხოველთა დაავადებების გავრცელება და მაგნებლებისა და დაავადებების ახალი სახეობების შემოტანაც. ტემპერატურა და ზაფხულის ცხელი დღეების ხანგრძლივობა პერიოდმა შეიძლება გამოიწვიოს ცხოველებში სითბური სტრესი, რაც გავლენას ახდენს ცხოველის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. საქართველო ითვლის დაახლოებით 1,9 მლნ ჰა მდელოსა და საძოვრების ტერიტორიას, რომლის ნახევარი კახეთში (აღმოსავლეთ რეგიონი) მდებარეობს. ყველაზე მძიმე ზემოქმედება მოსალოდნელია არიდულ და ნახევრად არიდულ საძოვრების სისტემებზე, სადაც მოსალოდნელია მაღალი ტემპერატურა და ნაკლები ნალექი, რაც შეამცირებს მოსავლიანობას და გაზრდის მიწის დეგრადაციას.

სისტემები და ტექნოლოგიები, როგორცაა კონსერვაციული სოფლის მეურნეობა ნიადაგის სტრუქტურის, ნიადაგის ნაყოფიერებისა და ნიადაგში წყლის შეკავების უნარის გასაუმჯობესებლად; (დ) წყლის დამზოვველი ისეთი კულტურების შერჩევა, როგორცაა: მაღალი ღირებულების ხილისა და ბოსტნეულის კულტურების გვალვავადმძლე ჯიშები; (ე) კლიმატის ზემოქმედებისგან დაცვის გასაადვილებლად, ლანდშაფტებისა და შემოსავლების დივერსიფიკაცია, ფერმერული წარმოების დივერსიფიკაციისა და ეკო-აგრარული ტექნიკის გამოყენების საშუალებით, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს გარემოსდაცვით მომსახურებასა და ზრდის სტიქიური უბედურებისა და ნიადაგის ეროზიის მიმართ შედეგობას (ვ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიკაციის

მიზნით, ეფექტიანი შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგიების დანერგვა, მაღალი მოთხოვნის თვეებში, გაზრდილი ცვალებადობისა და დეფიციტის აღმოსაფხვრელად; (ზ) სოფლის მეურნეობის კვლევისა და ექსტენციის შესაძლებლობების გაუმჯობესება; და (თ) ადრეული გაფრთხილების სისტემების შემუშავება, ბუნებრივი კატასტროფებისა და სემონური ცვალებადობის პროგნოზირებისათვის. 2021 წლის აპრილისა და ივნისის პერიოდში, როგორც კვლევების, ასევე დაინტერესებულ მხარეების მონაწილეობითი სემინარებისა და კონსულტაციების შედეგად, წარმოების თითოეული სისტემისთვის, საქართველოში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის რამდენიმე პრაქტიკა გამოვლინდა. გამოვლენილი პრაქტიკა მერყეობს, დანყებული კონსერვაციული სოფლის

მეურნეობით (კულტურათა მონაცვლეობა/ თესობრუნვა, მულჩირება, ნიადაგის ნულოვანი დამუშავება) ხორბლისა და სიმინდის მოყვანისას, სამცხე-ჯავახეთის კარტოფილის მინდვრებში წვეთოვანი მორწყვით და საღვინე ჯიშის ყურძნის წვეთოვანი მორწყვით, მწკრივთაშუა ბალახის საფარით, და დამთავრებული თხილის ქარსაცავებითა და საქონლის, ძოვების გარეშე, დაუბმელი სისტემის სადგომებით, საკვების ნაზავის (მათ შორის, საკვების დანამატებისა და პრემიქსების) გამოყენებით (მსოფლიო ბანკი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2022წ.). თუმცა, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის სისტემებისთვის გამოვლენილი პრაქტიკისა და ტექნოლოგიების უმეტესობას გამოყენების დაბალი ხარისხი (30 პროცენტზე ნაკლები) გააჩნია, მიუხედავად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის გამოყენებით მიღებული მრავალჯერადი სარგებლისა. საქართველოში, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის, ფართომასშტაბიანი დანერგვის ძირითადი ბარიერები, მოიცავენ შეზღუდულ ფინანსურ შესაძლებლობებს, ცოდნისა და პრაქტიკის ნაკლებობას, აღჭურვილობისა და უნარ-ჩვევების ნაკლებობას (მსოფლიო ბანკი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2022).

**გარდა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის უნარ-ჩვევებისა, საქართველოში მწვავედ დგას უახლესი აგრომეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვების, გაზომვისა და გამოყენების შესაძლებლობების საჭიროება.** სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულმა ამინდის პროგნოზებმა, შეიძლება, მოკლე ვადაში დაუყოვნებელი სარგებელი მოუტანოს ფერმერებს, ტემპერატურისა და ნალექების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფით და გრძელ ვადაში, ირიგაციის დაგეგმვის გაადვილებით. მაგალითად, მოახლოებული გვალვის შესახებ ცოდნა, ფერმერებს დაეხმარება კულტურების შერჩევასა და ირიგაციის მართვაში და ასევე,

დაეხმარება სამელიორაციო მომსახურების მომწოდებელს, სარწყავი ინფრასტრუქტურის წყალმომარაგების ხარვეზებისა და განაწილების ღონისძიებების ადეკვატურ მართვაში. იმ დროს, როდესაც არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს ჰიდრომეტეოროლოგიასა და აგრომეტეოროლოგიას, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემული ზოგადი დებულება, დეტალურად აღწერს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს. აგრომეტეოროლოგიური სამსახური წარმოადგენს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ერთ-ერთ ყველაზე ძველ სამსახურს და საქართველოს ყველა რეგიონში არსებობს სოფლის მეურნეობის ექსტენციის სამსახურები, რომლებიც ფერმერებს აწოდებენ ინფორმაციებს, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის მიერ გამოცემული ბიულეტენების საშუალებით (მსოფლიო ბანკი, 2019წ.). ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი, ასევე პასუხისმგებელია ქვეყნის მასშტაბით მდინარეებში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისა და მეტეოროლოგიური მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვებაზე. თუმცა, ამჟამად დეპარტამენტი, რეალურ დროში, ცოტა მონაცემებს აგროვებს მდინარეებში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017ბ)

## C. ბოლოდროინდელი მოვლენები წყლის რესურსების მართვის განვითარებაში

**საქართველოში, ისევე როგორც რეგიონის ბევრ სხვა ქვეყანაში, სოფლის მეურნეობა ძირითადად ნალექებზეა დამოკიდებული, მაგრამ სარწყავ და სადრენაჟე სისტემებში ინვესტიციები ძალზე მნიშვნელოვანია კლიმატური**



**უკიდურესობებისგან დასაცავად და კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის.** ურწყავი ფართობები, მეცხოველეობისა და ნალექზე დამოკიდებული მარცვლეული კულტურებისთვის გამოიყენება, იმ დროს, როდესაც, დაბლობებში განლაგებული სარწყავი ფართობები, ხილისა და ბოსტნეულის წარმოებას ეთმობა. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც გვალვა ხშირია, კლიმატური უკიდურესობებისგან თავის დასაცავად ირიგაციის გამოყენებაა საჭირო. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ტენიანობა უფრო მაღალია და ის დრენაჟის პრობლემების წინაშე დგას.

**ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში სარწყავი ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა.**


ეს ნაწილობრივ შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ საქართველოში ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურა მიტოვებული აღმოჩნდა არსებული სისტემების რეგულარული ტექნიკური მომსახურების ნაკლებობის, დიდი სისტემების ოპერირების სირთულის, ირიგაციისა და დრენაჟის მართვისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შემცირების შედეგად, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური ან ფინანსური რენტაბელობის შემცირებით. ყველა ამ ფაქტორმა, თანდათანობით, საქართველოში ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების საერთო დეგრადაციას შეუწყო ხელი. საქართველოს „2017-2025 წლების ირიგაციის სტრატეგიის“ თანახმად „ არსებული სარწყავი ფართობი საქართველოში, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაახლოებით 400 000 ჰა-ს შეადგენდა, 2015 წლისთვის ერთ მეთავედამდე შემცირდა.“ სექტორის ცუდმა მუშაობამ, სოფლის მეურნეობის სისტემების მახასიათებლებმა, მიწის რეფორმებმა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და ტრადიციული სავაჭრო პარტნიორების ბაზრების დაკარგვამ, ასევე ხელი შეუწყო სარწყავი ფართობის მნიშვნელოვან შემცირებას (გაეროს

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2019წ.). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ანგარიშის მიხედვით (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, 2016წ.) საბჭოთა კავშირის მასშტაბებამდე სარწყავი ტერიტორიების გაფართოების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კითხვები არსებობს, ირიგაციის პოტენციური შეფასებულია 725,000 ჰექტარამდე (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2019წ.). ამასთან, დღეს ირწყვება მთლიანი ფართობის მხოლოდ 17 პროცენტი (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2021ა).

**ირიგაციისა და დრენაჟის სერვისები არ შეესაბამება ქვეყნისთვის საჭირო ოპტიმალურ დონეს, არც რაოდენობრივი და არც თვისებრივი თვალსაზრისით (USAID 2016წ.).** დამატებითი

ინვესტიციების ჩადება, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემებში, აუცილებელია მაღალი ღირებულების მქონე, ისეთი საკვები პროდუქტების მზარდი წარმოების ხელშესაწყობად, როგორცაა ხილი და ბოსტნეული. მაღალი ღირებულების მქონე შრომატევადი კულტურების წარმოება, ფუნდამენტურად არის დამოკიდებული საიმედო და ხელმისაწვდომ სარწყავ მომსახურებაზე, რომლის ნაკლებობაცაა ამჟამად საქართველოში (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2018წ.). ამის მიუხედავად, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესი მიმდინარეობს. სახელმწიფო პროგრამების დახმარებით ყოველწლიურად იზრდება ისეთი მიწების ფართობები, რომლებსაც ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურა ემსახურება. თანდათანობით ინერგება თანამედროვე სარწყავი სისტემები (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2019წ.). თუმცა, ბევრ მცირე და მარგინალურ ფერმერს არ შეუძლია მოდერნიზება (მაგ. წვეთოვანი ან დანჯიმებითი სისტემების დანერგვა) ან უფრო მაღალი ღირებულების კულტურების წარმოებაზე გადასვლა. ამას თან ერთვის საქართველოში, ირიგაციისა და დრენაჟის

**ნახაზი 5: ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურით დაფარული ტერიტორია 1988 - 2020 წწ**



წყარო: ავტორები. შენიშვნა: 1988-2011 წლების მონაცემები ეკუთვნის თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (2016წ.). 2012- 2020 წლების მონაცემები ეკუთვნის GACo (2021) (მიღებული იყო 2021 წლის ივნისში).

მომსახურებასთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური გამონწვევები: ირიგაციის მართვის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების (მოვლა-შენახვის) ცუდი სქემები; ირიგაციასა და დრენაჟში ჩადებულ კაპიტალურ ინვესტიციებზე ფინანსური უკუგების დაბალი დონე; და ირიგაციასა და დრენაჟის სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსებისა და კვალიფიცირებული სპეციალისტების ნაკლებობა. ეს ფაქტორები ხაზს უსვამენ ინტეგრირებული სისტემების გზით ამ საკითხების გადაჭრის აუცილებლობას. სარწყავი სისტემების განახლება და მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ისეთი ინვესტიციების პარალელურად, რომლებიც ხელს შეუწყობენ მომსახურების მიწოდების ინსტიტუციურ რეფორმას, ინდივიდუალური ფერმერების მიერ ინვესტიციების ჩადებას ფერმების მოდერნიზების მიზნით, სატარიფო სტრუქტურის რეფორმირებას,

ირიგაციისა და დრენაჟის სფეროში მომუშავე, ძირითადი ორგანიზაციების, საკვანძო თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ფერმერებისთვის ირიგაციისა და დრენაჟის გაუმჯობესებული მომსახურებების მისაწოდებლად.

**გასარწყავებელი ფართობის ზრდის გარკვეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ რჩება კითხვები სარეაბილიტაციო სამუშაოების პრიორიტეტების განსაზღვრის კრიტერიუმებთან დაკავშირებით და წყლის სერვისის საიმედოობის თაობაზე.** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 130,000 ჰექტარი უკვე რეაბილიტირებულია. მაგრამ რეაბილიტაცია მხოლოდ ნაწილობრივია, რადგან ფოკუსირებული იყო პირველად არხებზე და არა მთელ

სარწყავ სისტემაზე, მათ შორის მეორად და მესამეულ არხებზე.<sup>20</sup> კლიმატის ცვლილება, წყლის მნიშვნელოვანი დანაკარგების არსებობასთან და წყალზე მოთხოვნის საერთო ზრდასთან ერთად, სავარაუდოდ გაზრდის, როგორც სარწყავ სისტემებზე ბენოლას, ისე წყლის გამოყენებისთვის, სხვა სექტორებთან კონფლიქტის რისკებს. მორწყვა ძირითადად გრავიტაციული სისტემებით (მაგ. ღია არხებით) ხორციელდება. წვეთოვანი მორწყვა ფართოდ გავრცელებული არ არის. მიკრო ირიგაციით მორწყული პექტარების სავარაუდო რაოდენობა არ არის ცნობილი. მთავრობას დაგეგმილი აქვს საშუალო და მესამე დონის სარწყავი სისტემების მართვა, შპს „საქართველოს მელიორაციიდან“<sup>21</sup> წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებს გადასცეს (WUO), რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის. სარწყავი სისტემების მართვის გადაცემა, სავარაუდოდ, წყლის ტარიფის რეფორმის პარალელურად განხორციელდება, ვინაიდან „საქართველოს მელიორაციის“ რეალური საოპერაციო შემოსავალი, სახელმწიფო სუბსიდიების გამოკლებით, მისი ხარჯების მხოლოდ 13 პროცენტს შეადგენს. ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ასეთი დაბალი დონე, შეიძლება გამოწვიოს: (ა) ტარიფების დაბალმა დონემ; (ბ) დადებული კონტრაქტის მცირე რაოდენობამ, რაც მიწის რეგისტრაციის პრობლემებს უკავშირდება; და (გ) მომსახურების დაბალმა საიმედოობამ. ხარჯების დაფარვის დაბალი დონის მეოთხე მიზეზი არის, „საქართველოს მელიორაციის“ წახალისების სტრუქტურა, რომელიც რბილი საბიუჯეტო შეზღუდვებით სარგებლობს (ანუ ზარალის ანაზღაურება

ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხვით).

**წყლის ტარიფის რეფორმა მნიშვნელოვანია, სარწყავი სისტემის ხარჯების დაფარვისა და წყლის ეფექტური გამოყენების წახალისებისათვის, ირიგაციისა და დრენაჟის სერვისის გაუმჯობესებასთან ერთად, წყლის მომხმარებლებისგან ხარჯების ამოღების გაუმჯობესებისთვის.** ახალი სატარიფო სტრუქტურის შემუშავებისას აღსანიშნავია ორი ძირითადი ასპექტი: (ა) ფერმერების გადახდისუნარიანობა და გადახდის სურვილი, და (ბ) ახალი ტარიფის პოტენციური გავლენა სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობაზე. რამდენიმე დაინტერესებული მხარის აზრით, ახალი ტარიფის დანერგვას თან უნდა ახლდეს ცნობიერების ამაღლების მასშტაბური ძალისხმევა ირიგაციისა და დრენაჟის სექტორის ახალ მოწყობასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებლის შესახებ, კერძოდ, ორივე, სატარიფო რეფორმებისა და წყლის მომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების პროცესის წარმატებით განხორციელების მიზნით.

## D. მიწის მართვის სექტორში არსებული მდგომარეობა და მუშაობის შედეგები

**1992 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიწის რეფორმა საქართველოში ორ ეტაპად განხორციელდა.** პირველი ეტაპის დროს, 1992-1998 წლებში მიწა ოჯახებს კერძო საკუთრებაში უფასოდ დაურიგდათ. შედეგად, შეიქმნა ასი

**20** ინფორმაცია მიღებული იყო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად. ამ მოკლე ინფორმაციის პარალელურად, „WBG Water Global Practice in ECA“, BRL-სა და ISET-თან პარტნიორობით, ატარებს კვლევას სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან და წყლის მომხმარებლებთან მუდმივი კონსულტაციების გზით. კვლევის მიზანი არის საქართველოში ირიგაციის სექტორის შეზღუდვებისა და შესაძლებლობების უფრო დეტალური სურათის მიღება. კვლევა 2021 წლის სექტემბერში დასრულდება.

**21** „საქართველოს მელიორაცია“, რომელიც სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ექვემდებარება, ქვეყანაში სარწყავი და სადრენაჟე მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი გახდა. იგი ახორციელებს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების ჩათვლით.

ათასობით მცირე საოჯახო მეურნეობა (საშუალოდ დაახლოებით 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც ხშირად 3-4 ნაწილად იყოფოდა). მეორე ეტაპის ფარგლებში, რომელიც 2005 წელს დასრულდა, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო მიწა, იჯარით გაიცა. სახელმწიფომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორცაა საცხოვრებელი, კომერციული და სამრეწველო შენობები, უფასოდ გადასცა კერძო საკუთრებაში, მაგრამ შეინარჩუნა საკუთრება იმ მიწაზე, რომელზეც შენობები იყო განთავსებული.

**დროთა განმავლობაში, მიწის რეგისტრაციისა და პრივატიზების სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოები შეიცვალა.** 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა

გამოსცა კანონი მიწის რეგისტრაციის შესახებ, რომელიც იურიდიულ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოს წარმოადგენს და კერძო საკუთრების უფლების აღდგენის მიზანს ემსახურება. ადგილი ჰქონდა რამდენიმე ხარვეზს, როგორცაა: საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (NAPR) აღირიცხა მხოლოდ პირველადი მფლობელები და არა შემდგომი ტრანზაქციები; არ არსებობდა ერთიანი საკადასტრო სისტემა; და დოკუმენტაცია ეფუძნებოდა მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში არსებულ რუკებს. 1999 წელს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საქართველოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების გაცემის შესახებ“. იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველადი რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალე და სწრაფი ყოფილიყო, განკარგულებამ მინიმუმამდე შეამცირა მიწის პრივატიზაციისა და პირველადი რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების რაოდენობა. სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის საკუთრების აღიარების დოკუმენტების პროცესი, საერთაშორისო დონორების დახმარებით, 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო და კვლავაც გრძელდება, რადგანაც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, მიწის რეგისტრაციისა და პრივატიზაციის შესახებ ახალი კანონები მიიღეს. მიწაზე საკუთრების უფლებებს არეგულირებს, 2007 წელს მიღებული, „საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზებას არეგულირებს, 2010 წელს მიღებული, „საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ“, შესაბამისი ცვლილებებით.

**მიწით მოსარგებლეების საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით**

**ზოგიერთი ინსტიტუციური საკითხი**

**ეტაპობრივად წყდებოდა.** 1998 წლიდან 2004 წლამდე პერიოდში საქართველოში ქონების რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი იყო ორი სხვადასხვა სააგენტო:

„ტექნიკური აღრიცხვის ბიურო“, რომელიც პასუხისმგებელი იყო ბინებისა და შენობების დათვალიერებასა და რეგისტრაციაზე; და „მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი“, რომელიც პასუხისმგებელი იყო მიწის ადმინისტრირებასა და მართვაზე, რაც მოიცავდა საკუთრების უფლების რეგისტრირებასა და კადასტრის წარმოებას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზებასა და იჯარას, მიწის კატეგორიების განსაზღვრასა და სტატისტიკის წარმოებას, მიწისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების კონტროლს და შუამავლობას მიწასთან დაკავშირებული დავების დროს. ამ პასუხისმგებლობების ნაწილი ემთხვეოდა სხვა სამთავრობო უწყებების მანდატებს და პროცედურები ბუნდოვანი იყო. 2003 წლის ვარდების რევოლუციისა და

მომდევნო რეფორმების შემდეგ, რომელიც სახელმწიფო ქონების პრივატიზებას მოიცავდა, საქართველოს მთავრობამ გააუქმა როგორც „ტექნიკური აღრიცხვის ბიურო“, ასევე „მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი“ და დააარსა იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც მინის ადმინისტრირებას ახორციელებს (კადასტრს აწარმოებს და საკუთრების უფლებას არეგისტრირებს).

### **საკადასტრო და ქონების რეგისტრაციის სისტემებში მინის ოფიციალური რეგისტრაციის პროცესი ნელა მიმდინარეობს.**

რეგისტრირებულია სოფლად არსებული საკუთრების მხოლოდ 20 პროცენტი. მინის რეგისტრაციის რეფორმის მეორე ეტაპი 2016 წელს დაიწყო და გამოყენებული იყო როგორც სპორადული, ასევე სისტემური რეგისტრაციის მიდგომები, თუმცა ძირითადი აქცენტი სპორადული რეგისტრაციაზე გაკეთდა. 2016 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. საქართველოს მასშტაბით, სისტემური რეგისტრაციის საპილოტო ღონისძიებები მხოლოდ რამდენიმე დასახლებულ პუნქტში განხორციელდა. 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა, სისტემური რეგისტრაციის პროცედურების კიდევ უფრო გამარტივების მიზნით და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული, „ირიგაციისა და მინის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში განხორციელებული სისტემური რეგისტრაციის პილოტირების შედეგებზე დაყრდნობით, მიიღო ახალი დადგენილება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იყენებს „ბლოკჩეინის“ ტექნოლოგიას, მინაზე საკუთრების რეგისტრაციის პროცესის გამჭვირვალობისა

და ეფექტურობის ასამაღლებლად და საკუთრების დამადასტურებელი ციფრული სერტიფიკატების უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაზრდის მიზნით.

### **ქვეყანაში მინის საკუთრების მოდელი და არასრული სისტემური რეგისტრაცია ზღუდავს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობასა და ინვესტიციებს.**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში მინის ნაკვეთების მხოლოდ 72 პროცენტი რეგისტრირებული. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთების შემთხვევაში და დაახლოებით 30 პროცენტს უდრის. მთლიანად, სოფლად არის დაახლოებით 1 მილიონი დაურეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთი. ეს ფაქტი ზიანს აყენებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და პროდუქტიულობას. 2019 წლის მდგომარეობით, მინის მხოლოდ 20 პროცენტს მართავენ ქალების საკუთრებაში არსებული მეურნეობები (საქსტატი 2021წ.). მინაზე საკუთრების უფლების არქონა, ზღუდავს ქალების მონაწილეობას სოფლის მეურნეობის ზოგიერთ პროგრამაში, ასევე საკუთრების ნაკლებობა ამცირებს ქალების საკრედიტო უზრუნველყოფასა და ზღუდავს, რეგიონებში მოქმედ საკრედიტო და საგრანტო სქემებში მათ ჩართულობას. (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2018b).

**მინათსარგებლობის მიზნის განსაზღვრისა და მინათსარგებლობის დაგეგმვისა და მონიტორინგის საფუძვლის შექმნის მიზნით მინის საკითხებზე მომუშავე ახალი სააგენტო დაარსდა.** 2019 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დაამტკიცა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „მინის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის

მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს“ („მიწის სააგენტოს“) დებულება. კანონის თანახმად, მიწის სააგენტოს ფუნქციებია: ა) მიწის ბალანსის შედგენა, ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაცია და ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის შექმნა, (გ) მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგის განხორციელება და (დ) უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (საქართველოს პარლამენტი 2019b). მიწის სააგენტო განაახლებს მიწის ინვენტარიზაციის პროცესს, რათა შეიქმნას საფუძველი მიწის მომავალი კონსოლიდაციისა და მიწის ეფექტური გამოყენებისათვის (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020e). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცალკე სააგენტო, რომელიც მიწასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს არეგულირებს, არ არსებობს კონსოლიდირებული სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვისა და ადმინისტრირების ყველა ასპექტს მოიცავს. ასევე არ არსებობს ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა მიწასთან დაკავშირებული პოლიტიკის განსახორციელებლად.

**2013 წელს საქართველომ მუშაობა დაიწყო ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნაზე, რაზეც წამყვან უწყებად განისაზღვრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; მთელი ქვეყნის სრულმასშტაბიანი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის სისტემა ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელი და ასამოქმედებელია.** „კანონი საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა

და განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ 2013 წელს მიიღეს, ხოლო 2014 და 2015 წლებში ამ კანონში შესწორებები გაკეთდა. ქვეყანაში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის, ფუნქციონირებისა და განვითარების კოორდინაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობით ხორციელდება ღონისძიებები, რომელთა მიზანია თანამშრომლობის გაღრმავება ქვეყანაში სივრცითი მონაცემების მწარმოებელ და მომხმარებელ მთავარ უწყებებს შორის და მიმდინარეობს დისკუსიები გეომონაცემთა გაზიარების საკითხებზე (UN 2015). იმის მიუხედავად, რომ ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურას აქვს ვებგვერდი და ინსტიტუციური სტრუქტურა, ის ჯერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული არ არის და მისი ზოგიერთი კომპონენტი (მაგ., გეოპორტალი) საპილოტო რეჟიმში მუშაობს. საქართველოს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის მეტამონაცემების სპეციფიკაცია შეიქმნა 2015 წელს და გადაიხედა 2016 წელს. სივრცითი მონაცემების ნაკრებისთვის, ნაკრებთა სერიებისთვისა და სერვისებისთვის მეტამონაცემების შექმნისა და წარმოების მოთხოვნები განსაზღვრულია „მეტამონაცემების რეგულაციაში“. გეოსივრცული ინფორმაციის სათანადო მართვის უზრუნველსაყოფად, საქართველომ დაიწყო მუშაობა ინტეგრირებული გეოსივრცითი ინფორმაციის ჩარჩოზე, რომლის სამოქმედო და საინვესტიციო საპილოტო გეგმებზე მუშაობა ნორვეგიის მიერ გამოყოფილი დაფინანსებით ხორციელდება.



Image: © soft\_light. Vineyards in the Kakheti region.

# 3

## 2030 წლისთვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაგეგმილი წინსვლის რეალიზაცია:

ეკონომიკური მდგრადობისა და  
კლიმატმედეგობის უზრუნველყოფაში მისი  
წვლილის გაზრდის შესაძლო ვარიანტები

---

საქართველოს აქვს პოტენციალი გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობა, მდგრადობა და კლიმატის მიმართ მედეგობა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2021-2027 წლების ხედვისა და სექტორის მიზნების შესაბამისად, რაც ეკონომიკას ღირებულებას შემატებს და ამავედროულად სექტორის სტრუქტურული ტრანსფორმაციას დააჩქარებს.



მე-3 თავში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები სამივე სექტორთან დაკავშირებით, შემდეგი სამი მიმართულებით: (ა) კონკურენტუნარიანობა (კონკურენტულად სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის ინტეგრაცია, მათ შორის აგროლოგისტიკის, აგროფინანსების, ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურისა და მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წყლის რესურსების მართვა, მიწის რეგისტრაცია, მიწის გადასახადები და შეფასება და სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრები); (ბ) მდგრადობა, მათ შორის ფინანსური/ ფისკალური მდგრადობა (კონკრეტულად - ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურების მიწოდება, ირიგაციისა და დრენაჟის ტარიფი, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობები, მიწის მართვისა და ადმინისტრირების ერთიანი სამთავრობო პოლიტიკა, მიწის მართვისა და ადმინისტრირების სამართლებრივი ბაზა და სახელმწიფო ხარჯები სოფლის მეურნეობაში); და (გ) კლიმატმდეგობა (კონკრეტულად კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკა, აგრომეტეოროლოგიური და წყლის აღრიცხვის შესაძლებლობები და მიწის დეგრადაცია და ნიადაგის სიჯანსაღე). ეს სამი თემა განხილულია ქალთა, ახალგაზრდებისა და მცირემიწიანი ფერმერების ინკლუზიურობის გათვალისწინებით.

## კონკურენტუნარიანობა

### A. სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის ინტეგრაცია

**არსებობს შესაძლებლობა გაძლიერდეს სოფლის მეურნეობაში მცირემიწიანი ფერმერების ინტეგრაციის გაზრდის თვალსაზრისით წარმატებული და მსოფლიოში ფართოდ გამოყენებული სტრატეგიები, როგორცაა მწარმოებელზე ორიენტირებული მოდელები**

(მაგ., მწარმოებელთა ორგანიზაციები) და მყიდველებზე ორიენტირებული მოდელები (მაგ. კონტრაქტით უზრუნველყოფილი ფერმერობა - საკონტრაქტო ფერმერობა), რომლებიც უკვე აპრობირებულია საქართველოში. საქართველოში მოქმედი მექანიზმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებობს ზოგიერთი ისეთი ფაქტორის განხილვის შესაძლებლობა, რომელიც მათ განვითარებას შეუწყობს ხელს. კონკრეტულად:

### კონტრაქტით უზრუნველყოფილი მეურნეობა („საკონტრაქტო ფერმერობა“).

წარსულში მიღებული გარკვეული უარყოფითი გამოცდილების მიუხედავად, ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის დისკუსიების დროს როგორც მწარმოებლების, ასევე მყიდველების მხრიდან გამოითქვა მნიშვნელოვანი ინტერესი, გააგრძელონ საკონტრაქტო ფერმერობის პრაქტიკის გამოცდა, მიწოდებული პროდუქტის ხარისხის, რაოდენობისა და სტაბილურობის გასაუმჯობესებლად (მყიდველთა მიერ გამოთქმული ინტერესი) და ბაზრებზე პროგნოზირებადი წვდომისთვის უფრო სტაბილური შემოსავლის ნაკადებით (მწარმოებლების მიერ გამოთქმული ინტერესი). საკონტრაქტო ფერმერობის მექანიზმს, კარგად შეეფერება მალფუჭებადი, მაღალი ღირებულების, ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქტები, ხარისხის მიმართ მგრძობიარე ბაზრებისთვის, სადაც მოქმედებს სურსათის უვნებლობის სტანდარტები და არსებობს მყიდველისა და მიმწოდებლის ძლიერი ინტერესი საკონტრაქტო ფერმერობის მიმართ (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021წ.). გრძელდება, საკონტრაქტო ფერმერობის პრაქტიკის დანერგვისა და გაძლიერების მცდელობები. ამ მხრივ, ყველაზე მეტად აღსანიშნავია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლობა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან. მიმდინარეობს ტექნიკური

მხარდაჭერა პასუხისმგებლობიანი საკონტრაქტო ფერმერობის ოპერირების ხელშეწყობისთვის, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია უზრუნველყოფს ევროკავშირთან ერთად, ფლაგმანი პროგრამის ფარგლებში “სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა”.<sup>22</sup> საქართველოს მთავრობას შეუძლია, ხელი შეუწყოს, ისეთი ხელსაყრელი გარემოს გაძლიერებას, როგორცაა: სანდო ბაზრისა და ფასების საინფორმაციო სერვისების შემუშავება/დამკვიდრება, პროდუქტის მარკეტინგის ერთიანი სტანდარტები, საწყობების ქვითრების სისტემა, ასევე დავეების გადაწყვეტის სწრაფი და ხელმისაწვდომი მექანიზმები, რომლებიც საჭიროა საკონტრაქტო ფერმერობის ოპერირების მხარდასაჭერად.

### **მწარმოებელთა ორგანიზაციები.**

„სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამამ“ აგრეთვე დააფინანსა, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გამოცდილების ანალიზი და ზოგიერთ მათგანს გაუწია მხარდაჭერა. მისი დასკვნების მიხედვით, საჭიროა მეტი ფოკუსირება მომსახურების მიმწოდებელი კოოპერატივების განვითარებაზე (და ზოგადად სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე) (კაკულია 2017წ.). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმატებაზე, გავლენის მქონე ყველაზე აქტუალურ საკითხად, ასევე დასახელდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, აქტივები (მანქანები, მიწა და ა.შ.), სანარმოო საშუალებები და ბაზრები (კოჭლამაზაშვილი 2017წ.). საქართველოს მთავრობას შეუძლია მოიძიოს დახმარება „პროდუქტიული ალიანსის“ მიდგომის განსახორციელებლად, რომლის დროსაც მცირემიწიან მწარმოებელთა ჯგუფი, ერთი ან მეტი მყიდველი და საჯარო სექტორი დაკავშირებულია ბიზნეს წინადადებით,

ან „ბიზნეს გეგმით“, რომელიც აღწერს მწარმოებლების კაპიტალსა და სერვისების საჭიროებებს და სთავაზობს გაუმჯობესებას, რაც მათ საშუალებას მისცემს, განაახლონ თავიანთი სანარმოო შესაძლებლობები და უნარები, რათა გააძლიერონ კავშირი ბაზართან, ანუ მყიდველ(ებ)თან (მსოფლიო ბანკი 2016 წ.). ამ მიდგომამ შეიძლება ხელი შეუწყოს, როგორც ჰორიზონტალური კავშირების განვითარებას მწარმოებლებს შორის, ასევე ვერტიკალურ კავშირებს მწარმოებლებსა და მყიდველ(ებ)ს შორის. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შემზღვევის საპასუხოდ, „პროდუქტიული ალიანსებისთვის“ ფინანსური მხარდაჭერა, შესაძლებელია თანამონაწილეობრივი გრანტების მეშვეობით, მექანიზმით რომლის გამოყენების დადებითი გამოცდილება, საქართველოს უკვე აქვს. (მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის“ ფარგლებში).

- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (1):** იმ სფეროების უფრო ღრმა ანალიზი, რომლებიც საკონტრაქტო ფერმერობისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიან, როგორცაა: სანდო ბაზრისა და ფასების საინფორმაციო სერვისების შემუშავება/დამკვიდრება, პროდუქტის მარკეტინგის ერთიანი სტანდარტები, საწყობის ქვითრების სისტემა, ასევე დავეების გადაწყვეტის სწრაფი და ხელმისაწვდომი მექანიზმები.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (2):** „პროდუქტიული ალიანსის“ მიდგომის განსახორციელებლად, მიზანშეწონილობის ანალიზის განხორციელება.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის:** სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის

საკითხებზე, სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის დიალოგისთვის საჭირო პლატფორმის შექმნა, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაციის არსებობას და ხელს შეუწყობს კლასტერების შექმნას, გაერთიანებასა და ვერტიკალურ კოორდინაციას ღირებულებათა ჯაჭვების გასწვრივ და განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობაზე. ეს არ უნდა იყოს ახალი სტრუქტურები, არამედ ამისთვის იდეალურად გამოდგებოდა რეგიონული საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააარსა 2013 წელს. ეს ცენტრები ახორციელებენ სასოფლო სამეურნეო ექსტენციის სერვისებს, მათ შორის ფერმერების ინფორმირებას სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ, და ფერმერებისგან აგროვებენ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასთან, ადგილობრივ კონტექსტთან და არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და სტატისტიკურ მონაცემებს. ისინი შეიძლება იქცნენ, სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გასავრცელების და კლასტერების შექმნის, ჯგუფების ფორმირებისა და ღირებულებათა ჯაჭვების გასწვრივ ვერტიკალური კოორდინაციის, ხელის შეწყობა, უფრო ფართო პლატფორმად.

**როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს მეტი, კარგად დოკუმენტირებული სუსტი მხარე, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოში სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებაზე და მაინც ნარჩუნდება ინტეგრაციის პროცესის მიუხედავად.**

მათ შორისაა დაბალი კვალიფიკაცია და ცუდი ინფრასტრუქტურა (მათ შორის, სატრანსპორტო და აგროლოგისტიკის შესაძლებლობები), რაც ამძიძებს ინტეგრაციის სირთულეებს, როგორც სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვების გასწვრივ, ასევე საკვების უვნებლობის სუსტად განვითარებულ სისტემებზე.<sup>23</sup> ამ საკითხების გადაჭრის დასაწყებად, საჭირო იქნება ერთდროულად სხვადასხვა ღონისძიების გატარება, მათ შორის:

- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (1):** კერძო სექტორსა და სამთავრობო უწყებების თანამშრომლობით, ტრენინგებისა და სტაჟირების პროგრამების შემუშავება და განხორციელება, სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში დასაქმებული პირებისთვის, საჭირო უნარების განსავითარებლად.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (2):** ვეროპის, სპარსეთის ყურისა და აღმოსავლეთ აზიის ბაზრებზე, არსებული ექსპორტისა და პოტენციური პროდუქციის არხების შესწავლა, რათა კერძო სექტორთან ერთად შემუშავდეს ლოგისტიკის თანმიმდევრული გაუმჯობესების სტრატეგია.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (3):** სერტიფიკაციის ხარჯების შემცირება და ექსპორტზე ახალი პროდუქციის გატანის ზრდის სტიმულირება, კლასტერებისა და ღირებულებათა ჯაჭვების სერტიფიკაციის პროცესების მხარდაჭერის გზით.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (4):** GLOBAL G.A.P სტანდარტების (კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის სტანდარტების), რომლის დანერგვა საქართველოში, 2010-იანი წლებიდან მაინც დაიწყო, უფრო ფართო გამოყენების ხელშეწყობა.

<sup>23</sup> შეზღუდვები და შემოთავაზებული გადაწყვეტილებები გაანალიზდა „საქართველოში აგროსასურსათო ღირებულებათა ჯაჭვების დაფინანსების მაქსიმიზაციის“ ფარგლებში.

ეს სტანდარტები, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე მსხვილ მოთამაშეებს აქვთ დანერგილი (კერძო კომპანიების ხელშეწყობით). საჭირო მასშტაბის გათვალისწინების აუცილებლობა და სერტიფიცირების ტექნიკური ხარჯები, ხელს უშლის ქართველ მცირე მწარმოებლებს მათ დანერგვაში. მეტი ძალისხმევა შეიძლება დასჭირდეს, „ადგილობრივი კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ პროგრამაზე<sup>24</sup> ცნობიერების ამაღლებას, რომელიც ეტაპობრივი მიდგომის გზით, სერტიფიცირებისა და „გლობალური კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ დანერგვისთვის, მცირე მწარმოებლების განსაკუთრებულ საჭიროებებს ითვალისწინებს. „ფარმ ეიშურერ“ პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კონსულტანტების მომზადებას, რომლებიც დაეხმარებიან ადგილობრივ ფერმერებს, რომ მოემზადონ აუდიტისთვის ან დანერგონ ხარისხის მართვის სისტემა და შედეგად შეამცირონ ხარჯები.<sup>25</sup>

- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (1):** შეიქმნას საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების სტიპენდიის პროგრამა, პროფესიონალების კრიტიკული მასის შესაქმნელად, რომელიც საჭიროა უნარების ნაკლებობის შესამცირებლად და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის მომავალ ზრდას.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (2):** ინვესტირება, ბაზრის შესწავლის საკონსულტაციო მომსახურებაში, ვაჭრობაში ლოგისტიკური შესაძლებლობების გასარკვევად და მაღალი ღირებულების პროდუქტების მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების მიზნით.

- » **რეკომენდაცია საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის:** სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის, შესაძლო ვარიანტების იდენტიფიცირება და პოპულარიზაცია ისეთ სფეროებში, როგორცაა: აგროლოგისტიკის ზონები, საწყობები და ცივი ჯაჭვები და აგროლოგისტიკის დამხმარე სერვისები (როგორცაა გადაზიდვები).
- » **რეკომენდაცია გრძელვადიანი პერიოდისთვის:** ახალ საექსპორტო ბაზრებზე შესვლისთვის საჭირო მოცულობების მისაღწევად, გაერთიანებებისა და კლასტერების შექმნის შესაძლებლობების კვლევა.

**კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს ქალების საჭიროებებზე რეაგირებას და მათ წინაშე არსებული ბარიერების შემცირებას.<sup>26</sup>**

ეს ნიშნავს, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და მის სააგენტოებში, მათ შორის რეგიონულ საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრებში, უნდა გაიზარდოს ცოდნა და კომპეტენცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხების შესახებ. საჭიროა მათი ცნობიერების ამაღლება პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე, რათა მათ განახორციელონ პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც აუმჯობესებს ქალთა ხელმისაწვდომობას ინფორმაციაზე, ცოდნასა და ინოვაციებზე, ტექნოლოგიებზე, მანქანა-დანადგარებზე, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებებზე, ბაზრებსა და აგროფინანსებზე. კონკრეტულ აქტივობებს შორის შეიძლება იყოს: (ა) შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების მორგება ქალთა (არსებით და ლოგისტიკურ) საჭიროებებზე; (ბ)

24 [https://www.globalgap.org/uk\\_en/for-producers/localgap/](https://www.globalgap.org/uk_en/for-producers/localgap/)

25 ამ დროისთვის საქართველოში ფერმის დამზღვევი რეგისტრირებული კომპანიები არ არის: [https://www.globalgap.org/uk\\_en/what-we-do/the-gg-system/gg-farm-assurers/Farm-Assurer-List/](https://www.globalgap.org/uk_en/what-we-do/the-gg-system/gg-farm-assurers/Farm-Assurer-List/)

26 აქტივობები ეფუძნება FAO 2018a-ის ინფორმაციას

ინფორმაციის გავრცელების მიზნით, კომუნიკაციის სხვადასხვა არხის (მ.შ. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ქალთა ჯგუფების) მობილიზება; (გ) ტრენინგებისა და საკონსულტაციო სერვისების ადგილისა და დროის სათანადოდ შერჩევა ქალების ჩართვის მიზნით (მაგ., სახლთან უფრო ახლოს); (დ) ქალების წახალისება, რათა მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება და გაიარონ ტრენინგი სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში; და (ე) მისაბაძი მაგალითებისთვის, მეტი ქალის დასაქმება ექსტენციის სპეციალისტებად.

## **B. ფინანსების ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობაში**

**სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში სესხების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველო ყვრდნობა სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულია პროცენტული განაკვეთების სუბსიდირებაზე.** მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებმა სოფლის მეურნეობაში და აგრობიზნესში სესხების ზრდა გამოიწვია, როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი გამოსახულებით, ჯერ კიდევ საჭიროა ზომების მიღება მიზნობრივად დაკავშირებული შემზღვევების დასაძლევად. ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობას კვლავაც აბრკოლებს რისკები და მომსახურების ხარჯები, რადგანაც ბანკები სოფლის მეურნეობას სარისკოდ აღიქვამენ. ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კომერციული საბანკო სესხების გაცემას სახელმწიფო დახმარების გარეშე, გარანტიებისა და განსხვავებული ტიპების უზრუნველყოფის (მაგ., სანაწობის ქვითრების), როგორც უზრუნველყოფაზე დაფუძნებული დაფინანსების ალტერნატივის, გამოყენების ზრდასთან ერთად, გააფართოებს და გააღრმავებს კერძო სექტორის ფინანსების მობილიზებას ინვესტირებისთვის. ასეთი ნაბიჯი ასევე საშუალებას მისცემს ქალებს ისარგებლონ

აგროსაფინანსო პროდუქტებით და სერვისებით. იმის გამო, რომ ქალები არ არიან რეგისტრირებული მიწის, სახლების, კაპიტალური აღჭურვილობის ან სხვა აქტივების მფლობელებად, მათ აგროდაფინანსებით სარგებლობის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2018a). სესხის გარანტიების, უფრო ფართო გამოყენებამ, შეიძლება გამოიწვიოს, როგორც საპროცენტო განაკვეთების, ასევე სუბსიდირებული კრედიტის გამოყენების შემდგომი შემცირება. ეს ცვლილებები, მნიშვნელოვნად შეამცირებს სექტორში კერძო ინვესტიციების წახალისების ფისკალურ ხარჯებს და გამოათავისუფლებს მეტ რესურსებს, იმ საზოგადოებრივი პროდუქტებისთვის (მაგ. სოფლის მეურნეობის სექტორში ცოდნის შექმნა და გადაცემა), რომლებსაც უფრო მეტი დაფინანსება სჭირდება (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020c).

- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის:** ბანკებისათვის, აგრო-კრედიტის გაცემასა და შესაბამისი პროდუქტების შემუშავებაში, ტექნიკური დახმარების/ხელშეწყობის განწევა. ბანკებს, აგროდაფინანსების მიმართ, კონსერვატიული დამოკიდებულება აქვთ და საჭირო იქნება, სოფლის მეურნეობის სექტორის შესაფერის პროდუქტებსა და სერვისებზე მათი ცნობიერების ზრდა.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (1):** სოფლად, ციფრული ფინანსური მომსახურების გაფართოება, სოფლის მეურნეობის ფინანსურ ჩართულობასა და დაკრედიტებაზე, გავლენის ზრდის ასამაღლებლად.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (2):** სოფლის მეურნეობის დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების შემცირება და საკრედიტო პროგრამების მიზნობრიობის გაუმჯობესება; განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ღირებულებათა

ჯაჭვის დაფინანსებასა და სამუშაო კაპიტალზე.

- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (3):** გარანტიებისა და განსხვავებული უზრუნველყოფის საშუალებების (მაგ., სანყოფის ქვითრების), როგორც უზრუნველყოფაზე დაფუძნებული დაფინანსების ალტერნატივის, გამოყენების გაზრდა. ასეთი ნაბიჯი ასევე საშუალებას მისცემს ქალებს, რომლებიც ნაკლებად არიან რეგისტრირებული ქონების მფლობელებად, ისარგებლონ აგროსაფინანსო პროდუქტებითა და მომსახურებით.

## C. ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურა

### 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში საწარმოო ფართობის, მხოლოდ 11 პროცენტი იყო გასარწყავებული.

საირიგაციო ინფრასტრუქტურის გაუარესებამ, სერიოზულად შეზღუდა საბოლოო მომხმარებლებისთვის, კერძოდ ფერმერებისათვის, ადეკვატური სამელიორაციო მომსახურების მიწოდება. მრავალ სისტემაში, გაუარესებული ინფრასტრუქტურის გამო, წყლის რესურსების მართვის შესაძლებლობები, არხებში წყლის დონის შესაძლო უხეში კორექტირებით, მარტივ ჩართვა / გამორთვამდეა შემცირებული (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017 ბ). ამიტომ, რეაბილიტაციის გარდა, საჭიროა არსებული სისტემების მოდერნიზაციის ისეთი შესაძლო ვარიანტების შესწავლა, რომელიც ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი იქნება. წყლის საიმედო, მოქნილი (მოთხოვნილების მიხედვით) და სამართლიანი მიწოდების გარეშე, ფერმერების წარუმატებლობის რისკი იზრდება. ამასთან ერთად, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფერმერები ასევე არ მოინდომებენ, ისეთი ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დანერგვას, რომლისთვისაც წყალზე წვდომა საჭირო. ქვეყანაში

უმეტესი საირიგაციო სისტემებისთვის, ფერმერების მიერ წყლის მოსაკრებლის გადაუხდელობისა და მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების საფასურის დაფარვის შეუძლებლობის კომბინაცია, საზიანო ჩაკეტილ წრეს ქმნის (რეაბილიტაცია / მოუვლელობა / რეაბილიტაცია). ამ მიზნით, მწყობრიდან გამოსულ საირიგაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში აუცილებელია ინვესტიციების ჩადება, რასაც 2025 წლისთვის, სარწყავი ფართობის 200,000 ჰექტარამდე აღდგენა უნდა მოჰყვეს.

### წყლის რესურსების მოცულობა მცირდება.

კლიმატის ცვლილების შედეგად, თოვლის საფარის პროგნოზირებული და მზარდი შემცირების გამო, საქართველოში წყლის დეფიციტი გაიზრდება, განსაკუთრებით ისეთი სეზონების დროს, როდესაც მოთხოვნა მაღალია და მდინარის დონეები მინიმალურია (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017 ბ). ამისათვის საჭიროა მაღალი რისკის მქონე ადგილებში, როგორც წყლის შესანახი, ასევე შესაძლო წყალდიდობის მარეგულირებელი რეზერვუარების, დამატებითი შესაძლებლობების შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს წყალდიდობის პოტენციური პრობლემების დაძლევისა და შესაბამის ადგილებში, შემცირდეს წყლის დანაკარგების ზრდა.

### ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურაში ინვესტირება, დასახული ამოცანების მისაღწევად, საჭიროებს ყოვლისმომცველ დაგეგმვას.

მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეაბილიტაციის ან მოდერნიზაციის გეგმის შერჩევას, სისტემის წმინდა საინჟინრო კრიტერიუმების გარდა, ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკურ, კლიმატურ, გარემოს დაცვის და სოციალურ ასპექტებს. სარწყავი ფართობების გაზრდამდე და რეაბილიტაცია / მოდერნიზაციის კონკრეტული გეგმების შერჩევამდე, საჭიროა ირიგაციისა და დრენაჟის

გენერალური გეგმის შედგენა, რათა დაზუსტდეს, მომსახურების საიმედოობისა და კაპიტალის (მეორადი და მესამეული არხების სათანადო განვითარება), გაუმჯობესების ამოცანები იმ ადგილებში, სადაც მომსახურების მიწოდება უკვე ხორციელდება. პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგია, ასევე უნდა გაითვალისწინონ ირიგაციისა და დრენაჟის გენერალური გეგმის შედგენისას, რათა ინვესტირება მიემართოს ამოცანების კრიტერიუმების შესაბამისად. პროცესის დასაწყისში, საჭიროა, განისაზღვროს მთელი რიგი ფაქტორები: რამდენად არის სისტემა ეკონომიკურად ეფექტიანი; სად შეექმნებათ ფერმერებს უფრო მაღალი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პოტენციალი, დამატებითი სარწყავი არეალის შედეგად; არიან თუ არა სოფლის მეურნეობაში ძირითადად ჩართულნი კაცები, ქალები თუ ორივენი, რადგან ეს გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურის დიზაინსა და სერვისების მიწოდებაზე (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი 2009წ.) და ნალექებისა და ჩამონადენის რაოდენობის ცვლილების შედეგად, სად შეიძლება, შეიქმნას წყლის ნაკლებობის საშიშროება, რამელსაც დასჭირდება, როგორც წყლის შენახვის დამატებითი შესაძლებლობები, ასევე სხვა გარემოსდაცვითი და სოციალური კრიტერიუმების შემუშავება.

» **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის:**

ინვესტიციების წარმართვისა და პრიორიტეტიზაციისთვის, განისაზღვროს ირიგაციისა და დრენაჟის სექტორის განვითარების საერთო ხედვა და მეთოდოლოგიური მიდგომა. ეს მოიცავს მთავარი მოქმედი პირების როლისა და მანდატის განსაზღვრას. ირიგაციის გენერალური გეგმა შეიძლება იყოს ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა, რომელიც ასევე

შეიძლება შეიცავდეს გადანყვეტილების მიღების მრავალკრიტერიუმიან მოდელს, რათა დაეხმაროს გადანყვეტილების მიმღებებს, იფიქრონ ინვესტიციებზე გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივიდან. მაგალითად, მნიშვნელოვანია, რომ გენერალურ გეგმაში ასევე აისახოს გენდერული ინკლუზიის ასპექტები, როგორცაა ქალთა საჭიროებების გათვალისწინება საირიგაციო ინფრასტრუქტურის დიზაინში და წყლის ისეთი სისტემების შერჩევა, რომლებსაც ქალები ხშირად უფრო მეტად აფასებენ, რადგან ისინი გამოიყენება როგორც სარწყავი, ასევე საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის (მაგ., მრავალფუნქციური წყალმომარაგების სისტემები).

**D. სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის წყლის რესურსების მართვა მეურნეობების დონეზე**

საქართველოს ფერმერული მეურნეობები იყენებენ სასოფლო-სამეურნეო წყლის მართვის, დაბალ ტექნოლოგიურ, კვალში მიშვებისა და მოღვრის მეთოდებს, წყლის უკონტროლო მოხმარებით.<sup>27</sup> დაწვიმებითი რწყვის სისტემები მცირედ გამოყენება კახეთში; თუმცა ამ ტექნოლოგიის გამოყენება ფართოდ გავრცელებული არ არის, რადგან მისი დამონტაჟების კაპიტალური ხარჯები მაღალია და ტიპურ, პატარა ფერმებში დიდი ზომის აღჭურვილობის (მაგალითად, ცენტრალური პივოტის) გამოყენება ეკონომიკურად გამართლებული არ არის. წვეთოვანი მორწყვა, რომელიც გამოიყენება მებაღეობაში შედარებით მცირე ფართობებზე, სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს, რადგან ფერმერების უმეტესობა ხედავს მის უპირატესობებს წყლის გამოყენების შემცირებაში, მოსავლიანობის გაზრდასა და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებაში. საქართველოს

<sup>27</sup> ჩვეულებრივ, სავსე კულტურები ირწყვება სარწყავი კვანძებით, ხოლო მებაღეობაში რიგთაშორისი კვანძებით.

ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიაში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია, კერძო სექტორის მიერ ირიგაციისთვის მიწისქვეშა წყლების ათვისების გაძლიერებაზე, განსაკუთრებით წვეთოვანი მორწყვის ტექნოლოგიასთან კომბინაციაში, რაც პროგნოზის მიხედვით იმდენად გაიზრდება, რომ 2025 წლისთვის სარწყავი ფართობის 10 პროცენტს დაფარავს (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017b).

- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (1):** გრუნტის წყლების ამოტუმბვის ლიცენზირებისა და რეგულირების ეროვნული სქემის განახლება და ზედაპირული წყლის გამოყენების ლიცენზირებისა და რეგულირების ეროვნული სქემის შემუშავება, რაც უნდა შეესაბამებოდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაძლიერებულ შესაძლებლობებს მონიტორინგი გაუწიოს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის რაოდენობასა და ხარისხს ეროვნულ, რეგიონულ და აუზების დონეებზე.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (2):** მეურნეობების დონეზე სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის წყლის რესურსების მართვის ყოვლისმომცველი პროგრამის შემუშავება და განხორციელება, მათ შორის პოტენციური სარწყავი ტექნოლოგიებისა და დანვიმებით/წვეთოვანი მორწყვის შედეგად მიღებული პოტენციური მოსავლიანობისა და შემოსავლების შესახებ ფერმერების ინფორმირებისა და სასწავლო პროგრამების ჩათვლით. ეს პროგრამები, შეიძლება, გამიზნული იყოს ფერმებისთვის, როგორც წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების მომავალი წევრებისთვის. ყურადღება უნდა მიექცეს ქალებისთვის სასურველი (მაგ., მარტივად გამოსაყენებელი, მცირე მასშტაბის, შრომის დამზოგავი, რენტაბელური, სოციალურად მისაღები)

სარწყავი ტექნოლოგიების მიწოდებას. ეს უნდა განხორციელდეს კომუნიკაციის მიზანმიმართულ ღონისძიებებთან ერთად, რათა მოხდეს მათი ინფორმირება სარწყავი ტექნოლოგიების შესახებ. გარდა ამისა, იმ ადგილებში, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლების ზომებია დაგეგმილი, შეიძლება გაითვალისწინონ, „სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“, თანამონაწილეობრივი გრანტების მასშტაბის გაზრდა. დასასრულ, შეიძლება განიხილონ სარწყავი წყლით მიზანმიმართული მომარაგება იმ საქმიანობებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ სარგებელს მოიტანს და შექმნის საშუალო ადგილებს/შემოსავლებს ქალებისთვის (მაგ. მებაღეობა, სახლის ბაღები).

## E. მიწის რეგისტრაცია

**აქამდე მიწის რეგისტრაციის პროცესი ნელა მიმდინარეობდა და საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის უმეტესობა რეგისტრირებული არ არის (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2021a).** ზოგიერთი შემაფერხებელი ფაქტორი განაპირობებს მიწის შენელებულ რეგისტრაციას:

- ა) დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები (მაგ., შეცდომები მესაკუთრის სახელის რეგისტრაციაში, ძველი დოკუმენტები, დოკუმენტაციის არარსებობა, ნაკვეთის ამომვით ნახაზებთან დაკავშირებული პრობლემები, შრომატევადი და გახანგრძლივებული პროცედურები);
- ბ) სამეზობლოში არსებული გაუგებრობა ან დავა (ე.ი. შესაკეთებელი ღობეები, გადაფარვები);
- გ) განუვითარებელი ინფრასტრუქტურა (ანუ ნაკვეთთან მისვლის სირთულე აფერხებს ამომვებს); და (დ) იმ სპეციალისტების კომპეტენციის დაბალი დონე (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში), რომლებიც ამზადებენ ნაკვეთის ესკიზურ გეგმებს.



**ბევრი კერძო მესაკუთრე მრავალი მიზეზის გამო ერიდება საკუთარი მიწის რეგისტრაციას.** მიწის მესაკუთრეთა ნაწილი შიშობს, რომ დაკარგავს სოციალურ დახმარებას ან (რეგისტრირებულ) მიწას კრედიტორების სასარგებლოდ. სხვებს ეშინიათ მიწის დაბეგვრის და მიწის დემარკაციასთან დაკავშირებული დავის. ბევრი ტრადიციულად ფიქრობს, რომ მიწა ოჯახს ეკუთვნის და არ საჭიროებს რეგისტრაციას. არის შემთხვევები, როცა მიწის მესაკუთრე არ იმყოფება ქვეყანაში ან რეგიონში (მიგრაციის გამო). ზოგიერთი მესაკუთრე თავს არიდებს მიწის რეგისტრაციას, სარეგისტრაციო ხარჯების გამო, ან მიწის რეგისტრაციის რეფორმის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პოლიტიკის ინსტიტუტი, 2018 წ.).

**ბოლო დრომდე ნელი და შრომატევადი იყო მიწის რეგისტრაციისთვის ნაკლული დოკუმენტების ლეგალიზაციის პროცესი.** ადგილობრივ თვითმმართველობებს ევალუბრდებოდათ, ლეგალიზაციის პროცესის ჩატარება იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრეებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკუთრების უფლების დამამტკიცებელი დოკუმენტაციის ნაკლებობა ჰქონდათ. ამჟამად ამ ფუნქციის შესრულება, რეგისტრაციის სისტემური პროცესის ფარგლებში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისრა. ახლა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოვალეობაა, გაუმკლავდეს მიწის სისტემურ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, როგორცაა ამომავალი ნახაზებში დაშვებული უზუსტობები და მომიჯნავე ნაკვეთების საზღვრების გაურკვევლობა, მუნიციპალიტეტებში ძველი ჩანაწერების არარსებობა და ლეგალიზაციის პროცესის გაჭიანურების გამომწვევი ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა.

**კერძო საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული ნაკვეთების**

**უმეტესობის მესაკუთრეები კაცები არიან.** 2021 წლის მაისის მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებული სტატისტიკის მიხედვით, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის მთლიანი ფართობი იყო 778,784 ჰექტარი, საიდანაც 76.5 პროცენტი ფიზიკურ პირებს ეკუთვნოდათ, ხოლო 23.4 პროცენტი იურიდიულ პირებს. მამაკაცები და ქალები ფლობენ/თანაფლობენ, ფიზიკური პირების საკუთრებაში დარეგისტრირებული მიწის ფართობის, შესაბამისად 80 და 36 პროცენტს. მიწის ნაკვეთების მიხედვით, მამაკაცები და ქალები ფლობენ/თანაფლობენ, ფიზიკური პირების საკუთრებაში / თანასაკუთრებაში არსებული რეგისტრირებული ნაკვეთების, შესაბამისად 77 და 51 პროცენტს. ქალების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საშუალო ზომა დაახლოებით 0.3 ჰექტარია, ხოლო კაცების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაახლოებით 0.44 ჰექტარი, რაც პრაქტიკულად 50 პროცენტით მეტია (ცხრილი 2). „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში, საქართველოში ჩატარებული მიწის სისტემური რეგისტრაციისას მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელებისა და გენდერულად მგრძობიარე ბიზნეს პროცესების დანერგვის წყალობით, რეგისტრაციის შედეგები გენდერული თვალსაზრისით უფრო სამართლიანი გახდა, ქალების მფლობელობაში და თანამფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობისა და ზომის თვალსაზრისით. ის გარემოება, რომ მიწის მესაკუთრეებს შორის ქალების რაოდენობა ნაკლებია (მამაკაცებთან შედარებით), ასევე ზღუდავს ქალების შესაძლებლობებს, ისარგებლონ რეგიონებში მოქმედი ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროგრამით და საკრედიტო და საგრანტო სქემებით, გირაოსთვის საჭირო უზრუნველყოფის ნაკლებობის გამო (გაეროს

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (2018a). აღსანიშნავია, რომ კერძო საკუთრებაში არსებული მიწების მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 1 პროცენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთრებაში, ხოლო 0.7 პროცენტი - რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში. მიუხედავად იმისა, რომ მიწის მესაკუთრეთა უმეტესობას მცირე მიწის ნაკვეთები აქვს, რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული მიწების საშუალო ზომა ყველაზე მაღალია და ერთ ნაკვეთზე 2.53 ჰექტარს შეადგენს.

**ქონების რეგისტრაციის დაბალმა დონემ შეიძლება შეაფერხოს ინვესტიციები სოფლისთვის კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურაში, როგორცაა, მაგ. ირიგაცია, გზები და ელექტრომომარაგება.** შეფერხებები შეიძლება გამოიწვიოს მიწის ექსპროპრიაციის გახანგრძლივებულმა პროცესმა. ექსპროპრიაციის შემთხვევაში კომპენსაციის მიღება შეუძლია მხოლოდ რეგისტრირებული მიწის მფლობელს.

**სივრცითი მონაცემების ეროვნული ინფრასტრუქტურა უნდა ფუნქციონირებდეს ეროვნულ (სხვადასხვა სამთავრობო დაინტერესებულ მხარეებს შორის), დარგობრივ და მუნიციპალურ დონეზე.** საქართველოში, ჯერ სრულად არ არის ჩამოყალიბებული სივრცითი მონაცემების ეროვნული ინფრასტრუქტურა. სრულად ამოქმედების შემდეგ ის ხელს შეუწყობს, რესურსების

გამოყენების ოპტიმალურ დაგეგმვასა და პროცესების ეფექტიან მართვას, ისევე როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებას სტანდარტიზებული, სისტემატიზებული, ნამდვილი, სანდო და არსებული გეოინფორმაციული სისტემის მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის საფუძველზე

- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (1):** მიწის მესაკუთრეებისთვის, შეიქმნას დამატებითი სტიმულირების მექანიზმი, რათა მათ დაარეგისტრონ თავიანთი ქონება და მოახდინონ რეგისტრაცია გენდერული თანასწორობის დაცვით. ამას უნდა დაერთოს საჯარო მიწების (როგორცაა საძოვრები) საზღვრების დადგენა და რეგისტრაცია, რომ შემცირდეს კონფლიქტები მოსაზღვრე კერძო მიწების საზღვრებთან დაკავშირებით.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (2):** მიწის მართვის სისტემაში ჩართული კერძო და საჯარო სექტორის პერსონალის შესაძლებლობების ზრდა.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის:** ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება იმისთვის, რომ უზრუნველყონ მონაცემთა გამჭვირვალობა, გაზიარება და მიწის რეგისტრაციაში და ბაზრის

**ცხრილი 2: მიწაზე კერძო საკუთრება გენდერული ჯგუფების მიხედვით (2021 წლის 27 მაისის მდგომარეობით)**

	რეგისტრირებული მიწის ფართობი (ჰა)	%	ნაკვეთების რაოდენობა	%	ნაკვეთების საშუალო ფართობი (ჰა)
ქალები	216,184.9	36	728,024	51	0.30
კაცები	477,654.3	80	1,089,342	77	0.44

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (2021წ.).

განვითარებაში მონაწილე საჯარო დაწესებულებების გახსნილობა და ხელი შეეწყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებასა და მიწის პოლიტიკის შემუშავებას.

- » **რეკომენდაცია გრძელვადიანი პერიოდისთვის (1):** ფინანსური რესურსების მობილიზება, მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად.
- » **რეკომენდაცია გრძელვადიანი პერიოდისთვის (2):** ინტერვენციებისა და რეფორმების ხარჯების ეფექტურობის შეფასება, ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის მეშვეობით, შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე.

## F. მიწის დაბეჯრა და შეფასება

**სასოფლო - სამეურნეო მიწის დაბეჯრა ადმინისტრირდება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ.** ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლით (საქართველოს პარლამენტი, 2010ა). მოქმედი საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემა არ იძლევა სტიმულს მიწათსარგებლობის და მცირე წარმოების ამჟამინდელი მოდელის შესაცვლელად. ხშირ შემთხვევაში, ქონების დაბეჯრის სისტემა არ აფასებს ქონებას მისი ამჟამინდელი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე. მიმდინარე საბაზრო ღირებულებების ნაცვლად, გადასახადის ოდენობა განისაზღვრება მიწის გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად. ინდივიდუალური შესაკუთრე იხდის გადასახადს მიწაზე განთავსებულ თავის ისეთ ქონებასა და ობიექტებზე, როგორებიცაა დაუმთავრებელი შენობები და სხვა ნაგებობები. უფრო მეტიც,

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ხშირად იცვლება. ის შეასწორეს 173 – ჯერ. ხშირი ცვლილებების ფონზე, გადასახადის გადამხდელთათვის, ძნელია თავიანთი საგადასახადო ვალდებულებების შესრულება. უფრო მეტიც, დაინტერესებული მხარეების აზრით, შემოსავლების სამსახურის ოფიცრები არ არიან სათანადოდ მომზადებული და მათ შეიძლება არ ჰქონდეთ განახლებული ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსში ბოლოდროინდელი ცვლილებების შესახებ.

**დაინტერესებულ მხარეებს არ აქვთ ნდობა სასოფლო-სამეურნეო მიწის შეფასების მიდგომის მიმართ, რომელიც ამჟამად გამოიყენება მიწის ღირებულების განსაზღვრისთვის.** 2008 წელს, საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ, დაარეგისტრირა შეფასების საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც შემუშავებული და დამტკიცებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ. მიწის შეფასების საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიდგომა, გამოიყენება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს<sup>28</sup> მიერ, მაგრამ დაინტერესებული მხარეები, რომლებთანაც ამ კვლევის დროს მოხდა კონსულტაციები, მას მაინც ეჭვს ქვეშ აყენებენ. ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ ზოგიერთ შემთხვევაში ჩათვალა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწა ზედმეტად იყო შეფასებული, რაც ხელს უშლის პრივატიზაციას. სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნდათ, რომ მიწის ნაკვეთი საკმარისად არ იყო შეფასებული, რაც ამცირებს მიწის შესაკუთრეთა ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. არსებობს რამდენიმე განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც მიწის შეფასება საჭიროა: ა) მიწის ყიდვა-გაყიდვისას; (ბ) კრედიტის უზრუნველსაყოფად;

<sup>28</sup> მთავარი სახელმწიფო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია მიწის შეფასებაზე საქართველოში.

გ) სანარმოში კაპიტალის შეტანისას ან გატანისას; დ) საინვესტიციო პროექტის განხორციელებისას; ე) მიწის საუკეთესო გამოყენების განსაზღვრისას; ვ) საჩუქრის გაცემისას მეკვიდრეობის შემთხვევაში; და (ზ) დასაბეგრი საგადასახადო ბაზის დამტკიცებისას და დავის დროს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. პირველი ორი შემთხვევა - მიწის ყიდვა / გაყიდვა და კრედიტის უზრუნველყოფა - დაინტერესებულ მხარეებთან განხილვისას, ყველაზე პრობლემური აღმოჩნდა. დაინტერესებული მხარეები არ ენდობიან სახელმწიფო შემფასებლის კომპეტენციას, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული აკრედიტაციის ცენტრმა შემფასებლებისა და ექსპერტების პროფესიული განვითარების ცენტრის აკრედიტაცია, აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად განახორციელა<sup>29</sup>. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შემფასებლები, აკრედიტებული არიან შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ და ამ სქემის მიხედვით აბარებენ გამოცდებს. ისინი იცავენ შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს და მათი ხელახალი სერტიფიცირება ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ<sup>30</sup>.

### **მიწის შეფასების მარეგულირებელი ჩარჩო ნაკლებად განვითარებულია.**

კანონი შეფასების შესახებ, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ, არ არის მიღებული. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, შეიქმნა კანონპროექტები, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის მიერ, მაგრამ ეს პროექტები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. ამ მიმართულებით, ჯერჯერობით, მნიშვნელოვანი პროგრესი არ არის მიღწეული, რადგან ამ პროცესში ჩართული მონაწილეები ვერ თანხმდებიან გარკვეულ საკითხებზე. კანონპროექტი, სხვა დებულებებთან ერთად, უნდა არეგულირებდეს შეფასების სტანდარტების მიღებას, მიწის შეფასებასთან დაკავშირებული დავების მოგვარების საბჭოების შექმნას და სპეციალისტების სერტიფიცირების პროცესს.

- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (1):** შეფასების საერთაშორისო სტანდარტების უფრო ეფექტური გამოყენების და მიწის შეფასების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის და დაინტერესებულ მხარეებს (მიწის მესაკუთრეები, მომხმარებლები, შემფასებლები და ა.შ.) შორის, რომლებიც მონაწილეობენ მიწის შეფასების პროცესში, ნდობის ზრდის, გზების გამოხატვა.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (2):** მიწის შეფასების პროცესში, კერძო სექტორის მნიშვნელოვანი მონაწილეობის ხელშეწყობა, სამართლიანი კონკურენციისა და მიწის შეფასების საკითხზე დავის გამჭვირვალედ მოგვარების გზით.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (3):** გადასახადების ამკრეფთა შესაძლებლობების ზრდა და გადასახადის გადამხდელთათვის კონსულტაციების გაწევა, საგადასახადო დეკლარაციების წარდგენაში დახმარების მიზნით.

<sup>29</sup> ISO 17024 წარმოადგენს სტანდარტს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პერსონალის აკრედიტაციას და ამდენად არ შეიცავს რაიმე მოთხოვნას შეფასების შესახებ.

<sup>30</sup> ძირითადად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ახორციელებს მიწის შეფასებას მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ მიწის შემფასებელი კერძო კომპანიები. კონკურენტული თვალსაზრისით, ბიუროს მიერ განხორციელებულ შეფასებას უფრო დიდი პრიორიტეტი ენიჭება სასამართლო დავების დროს.

- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის:** შეფასების კანონპროექტის დასრულება, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სტანდარტები, დავების მოგვარების წესები, მიწის შეფასებაში მონაწილე სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაცია და ა.შ.
- » **რეკომენდაცია გრძელვადიანი პერიოდისთვის:** ქონების დაბეგვრის სისტემის რეფორმირება. მიწის დაბეგვრა უნდა ემყარებოდეს ბაზრის გამჭვირვალე შეფასებას. მნიშვნელოვანია, კერძო შემფასებელთა ჩართულობის სტიმულირება და მათ მხარდასაჭერად, თვითრეგულირებადი ორგანიზაციების ფორმირების ხელშეწყობა. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების კონტექსტში მიწის, მეთევზეობისა და ტყეების პასუხისმგებელიანი მფლობელობისა და მართვის ნებაყოფლობითი წესების შესაბამისად, ინფორმაცია მიწის შეფასებისა და დასაბეგრი თანხების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს და გადასახადის გადამხდელებს, შეფასებებთან დაკავშირებით, უნდა შეეძლოს დავის წარმოება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დაბეგვრის პროცესის გამჭვირვალობის მაღალი დონე და შეფასების პროცესის ობიექტურობა (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია 2012).

**G. სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრები**

**საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარება რამდენიმე შეზღუდვასა და დაბრკოლებას აწყდება.** მიწის ერთიანი პოლიტიკისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების ოპტიმიზაციის გრძელვადიანი სტრატეგიის ნაკლებობა, არასრული საკანონმდებლო ბაზა და მიწის რეგისტრაცია, ხარვეზები მიწის გადასახადისა და შეფასების

სისტემებში, მიწის ფრაგმენტაციისა და დეგრადაციის მაღალი დონე, სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდი ნაწილის სახელმწიფო საკუთრებაში ყოფნა და მისი პრივატიზაციის პროცესის პრაქტიკული შეჩერება იწვევს სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების არაეფექტურობას და მის მცირე წვლილს სახელმწიფო ბიუჯეტში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიწის გადასახადებიდან და მიწასთან დაკავშირებული ტრანზაქციებიდან შემოსავლების მიღების მრავალი წყარო აქვს, მათი წვლილი მთლიან ეროვნულ ბიუჯეტში ძალიან მცირეა - დაახლოებით 0.1 პროცენტი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა, 2021 წ.). 2012-2020 წლებში, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, სულ 3895 აუქციონი ჩაატარა და აუქციონების მხოლოდ 2.5 პროცენტის შედეგად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შენობებით ან შენობების გარეშე, იყო პრივატიზებული (სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2021წ.).

**მიწის ბაზართან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და მოთხოვნის შემთხვევაში, რთულია მათი მიღება.** მონაცემთა შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ართულებს მიწის სექტორში დარგობრივი პოლიტიკის გატარებას, რეფორმების პროცესში მიღწეული პროგრესის შეფასებასა და გაუმჯობესების გზების განსაზღვრას. მონაცემები, პოლიტიკის ინტერვენციებსა და რეფორმებზე, უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა მოხდეს ინტერვენციების ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი ნაბიჯებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საქართველოში უაღრესად დანაწევრებულია.** კერძო საკუთრებაში არის მცირე ზომის ნაკვეთები (რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების 36 პროცენტი), ხოლო უფრო დიდი ნაკვეთები სახელმწიფოს საკუთრებაში ან მართვაშია

(რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების 64 პროცენტი). საკუთარ მოხმარებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობიდან, კომერციულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის ერთ-ერთი გზა არის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებაში მზარდი კონსოლიდაციის ხელშეწყობა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საშუალო ფართობი, რომელსაც შინამეურნეობა მართავს, 1.37 ჰექტარია. მიწის მფლობელობის მხრივ, ყველაზე დიდი საშუალო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 3.55 ჰექტარი, კახეთის რეგიონშია, შემდეგ მოდის სამცხე-ჯავახეთის რეგიონი (2.21 ჰექტარი). სამცხე-ჯავახეთში, სასოფლო-სამეურნეო მიწის 50 პროცენტზე მეტი საძოვრებს უკავია (საქართველოს მთავრობა 2013წ.). ქვემო ქართლის რეგიონი, 1.81 ჰექტარით, მესამეა საშუალო სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მიხედვით (GFA 2018წ.). დანარჩენ რეგიონებში, სასოფლო-სამეურნეო შინამეურნეობების უმეტესობა, მცირე საოჯახო მეურნეობებია 1.37 ჰექტარზე ნაკლები ფართობით, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია.

**საკუთრების აღრიცხვის სისტემებში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და პროცედურების გამარტივების მიუხედავად, ქვეყნის მასშტაბით მიწის, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწის, 28 პროცენტი, ჯერ კიდევ დასარეგისტრირებელია.** სოფლად მიწის სუსტი ბაზრები ქმნის ენდოგენურ შებლუდვებს, როგორც ზრდის (მაგ., ფერმერები, რომლებიც ცდილობენ, გაზარდონ თავიანთი მეურნეობები) ასევე ბაზარზე შესვლის თვალსაზრისით (მაგ. ფერმერები ან აგრობიზნესის სანარმოები, რომლებიც ეძებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდ ფართობებს ინვესტიციისთვის). სპეციალური მარეგულირებელი და საკანონმდებლო მექანიზმის შექმნა, როგორცაა „მიწის მდგრადი მართვის ეროვნული სტრატეგია“, მიწის

კონსოლიდაციის პოლიტიკის დღის წესრიგის ჩათვლით, ხელს შეუწყობს ამ შეზღუდვების დაძლევა. მიწის გაერთიანების რეგულირების მოთხოვნა უკვე იკვეთება, რადგან მიწის სისტემური რეგისტრაციის კამპანიის დროს, მესაკუთრეთა სპონტანური მოთხოვნის შემდეგ, მოხდა რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების 11 პროცენტის კონსოლიდაცია.

**საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარს განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, რაც საგულდაგულოდ დაბალანსებული მიდგომის გამოყენებით უნდა**

**განხორციელდეს.** საქართველოში მიწის 64 პროცენტი რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო მიწის 28 პროცენტი ჯერ არ არის რეგისტრირებული და ამ მიწის უმეტესი ნაწილი სავარაუდოდ სასოფლო-სამეურნეო (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შეფასებით, დაახლოებით 82 პროცენტი, მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტზე დაყრდნობით). სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციისა და შინამოხმარებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობიდან კომერციულზე გადასვლის მიზნით, ფერმერებს, განსაკუთრებით მათ, ვინც მიწებს სახელმწიფოსგან იჯარით იღებს, მიწაზე საკუთრების უფლების უფრო საიმედო გარანტიები უნდა ჰქონდეთ. 2005 წლამდე, იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია 2011 წელს შეწყდა და ამ პროცესის განახლების განკარგულება პარლამენტში უკვე 10 წელია, რაც განიხილება. სახელმწიფო მიწის იჯარა, რომელსაც ვადა გაუვიდა 2005 წლიდან, არ განახლებულა. შედეგად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა იჯარა ვადაგასულია, ან შითვებულა, ან კვლავ გამოიყენება იმავე მოიჯარეების მიერ, მაგრამ საიჯარო ქირისა და გადასახადების გადახდის გარეშე

და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების გარეშე. მიწაზე საკუთრების უფლებების უზრუნველყოფის გარეშე, მომხმარებლები თავს იკავებენ ინვესტიციები ჩადონ მიწის მდგრადი მართვის პრაქტიკაში, როგორცაა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა, მრავალწლიანი კულტურები და/ან გადაძოვების ასაცილებლად ნაკვეთების მონაცვლეობა. ასევე ადგილი აქვს საძოვრების მიტაცებას, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კლასიფიკაციის შეცვლითა და პრივატიზებით. #3 ცხრილში მოცემულია ინფორმაცია რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ.

» **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის:** სოფლის მეურნეობაში ინვესტირების მოზიდვის მიზნით, სახელმწიფო მიწის ნაკვეთების პრივატიზაციის სტრატეგიის შემუშავება

და აუქციონზე, საშუალო და მსხვილი ფართობების (50 ჰექტარზე მეტი) გატანა. მიწის კონსოლიდაციის ეროვნული სტრატეგიისა და რეგულაციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სტრატეგიის განხორციელებას.

» **რეკომენდაცია გრძელვადიანი პერიოდისთვის:** დაჩქარდეს ფერმერული მეურნეობების რეესტრის შექმნა, რომელსაც დააკავშირებენ მიწის რეესტრთან და მომავალ მდგრადი მიწათსარგებლობის ეროვნულ სისტემასთან. ეს საშუალებას მისცემს ინვესტირებს, მიიღონ გეოგრაფიულად ლოკალიზებული მონაცემები მიწის ხარისხისა და საკუთრების შესახებ და ხელს შეუწყობს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების და მიკვლევადობის სისტემების განხორციელებას, რაც მომთხოვნ ბაზრებზე სამუშაოდ არის საჭირო.

**ცხრილი 3: საქართველოში რეგისტრირებულ მიწებზე საკუთრების სტრუქტურა**

მიწის ტიპი	სულ (ჰა)	სახელმწიფოს საკუთრება (ჰა)		მუნიციპალური საკუთრება (ჰა)		სახელმწიფო / მუნიციპალური ან მუნიციპალური / კერძო თანასაკუთრება (ჰა)		კერძო საკუთრება (ჰა)	
			%		%		%		%
მთელი მიწა, ტყეების და ოკუპირებული ტერიტორიების გარდა	3,399,666	-	-	-	-	-	-	-	-
სულ რეგისტრირებული მიწა (მთელი ფართობის 72%)	2,453,355	1,423,929	58	163,586	7	87,057	3	778,784	32
რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწა (რეგისტრირებულის 82%)	2,014,655	1,071,261	53	133,262	7	81,015	4	729,117	36
რეგისტრირებული არა-სასოფლო-სამეურნეო მიწა (რეგისტრირებულის 18%)	438,687	352,664	80	30,323	7	6,040	1	49,660	12

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (2021).

## მდგრადობა

### A. ირიგაციისა და დრენაჟის სერვისის მიწოდება

#### წყლის სერვისის საიმედო მიწოდება ძალზე მნიშვნელოვანია ირიგაციისა და დრენაჟის სისტემის მდგრადობისთვის.

ის აგრეთვე ქმნის პირობებს სასოფლო-სამეურნეო სისტემების ღირებულების მეტად გასაზრდელად, ცვალებადი წყალმომარაგების რისკების შერბილების გზით. საქართველოში ირიგაციისა და დრენაჟის საკვანძო ფუნქციების გასაუმჯობესებლად მრავალგანზომილებიანი მიდგომაა საჭირო. ერთი მხრივ, ამისათვის საჭიროა შეიქმნას პირობები, თოთოეულად ადგილას, მომსახურების საიმედოობის უზრუნველსაყოფად; მეორე მხრივ, აუცილებელია წყლის მომხმარებელთა საჭიროებების სრულყოფილი გააზრება, წყლის მომხმარებელი ქალების ჩათვლით; დასასრულ, ეს მოითხოვს ურთიერთობის გარკვევას მომსახურების მიმწოდებელსა და წყლის მომხმარებელს შორის. ამ მიდგომისას მნიშვნელოვანია: (ა) წყლის სერვისის საიმედოობის მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორების შექმნა; (ბ) წყალმომხმარებელთა და სხვადასხვა პირობებში წყლის მოხმარების დახასიათება; და (გ) განსაზღვროს ზომები, რომ მომსახურების მიმწოდებელი და წყალმომხმარებელი ანგარიშვალდებულნი იყვნენ თავიანთი ქმედებებისთვის.

### B. ირიგაციისა და დრენაჟის ტარიფის ხელახალი განსაზღვრა

ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურების არსებული ტარიფი (ჰექტარზე 75 ლარი ან ჰექტარზე დაახლოებით 23 აშშ დოლარი) არ უქმნის ფერმერებს წყლის დაზოგვის სტიმულს და არ ფარავს საქართველოს მელიორაციის მიერ ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს. ამიტომ ტარიფი ხელახლა უნდა განისაზღვროს ისე, რომ

ის არ ბლოკავდეს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებისთვის ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების მართვის გადაცემას და საქართველოს მელიორაცია არ დარჩეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც წყალმომარაგება სუბსიდირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

#### წყლის ტარიფის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს მრავალი ელემენტი.

პირველი, ტარიფის სტრუქტურა ხელახლა უნდა განისაზღვროს, რათა ხელი შეუწყოს ფერმერების მიერ წყლის რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებას. ფასწარმოქმნის ისეთ სისტემაზე გადასვლისას, რომელშიც გათვალისწინებულია პირდაპირი ან არაპირდაპირი მოცულობითი წილი (მაგ., ინფორმაცია სარწყავი სისტემის შესახებ), შეიძლება გადასახედი გახდეს რეაბილიტაციის პროექტის დიზაინი და, ზოგადად, საჭირო იყოს პირობების შემუშავება ქმედითი მონიტორინგისთვის ან მოცულობების შესაფასებლად, მათ შორის მრიცხველების დამატება გარკვეულ გამშვებ პუნქტებზე, სადაც საქართველოს მელიორაცია აპირებს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებისთვის წყლის საბითუმო მიწოდებას. ახალი ტარიფი, ასევე უნდა ითვალისწინებდეს წყლის გამოყენების სხვადასხვა ტიპს, როგორცაა წყლის მოხმარება სამრეწველო ობიექტების მიერ, თევზსაშენების მიერ და ქალაქების გარეუბნებში განლაგებული მცირე ბალების სარწყავად. მეორე, ტარიფების დონე ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს. საწყის ეტაპზე ეს გაზრდილი ტარიფი უნდა ფარავდეს ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების უფრო დიდ ნაწილს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში ეს ხარჯები ტარიფით სრულად უნდა დაიფაროს. წყალმომხმარებელთა ორგანიზაციები საკვანძო როლს შეასრულებენ ცვლილებების დანერგვაში, რადგანაც ისინი დაეხმარებიან „საქართველოს მელიორაციას“, დაარწმუნოს ფერმერები გაუმჯობესებული და საიმედო მომსახურებების უზრუნველსაყოფად



ტარიფის გადახედვის აუცილებლობაში. და მესამე, ახალ ტარიფში, უნდა გაითვალისწინონ ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების გადაცემის პროცესის შედეგად წარმოქმნილი ახალი ურთიერთობები „საქართველოს მელიორაციასა“ და წყლის მომხმარებლებს შორის. უნდა განისაზღვროს „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ როლი, რადგან საჭიროა შესაძლო ურთიერთობების მრავალფეროვნების გათვალისწინება „საქართველოს მელიორაციასა“ და წყლის მომხმარებლებს შორის, იქნება ეს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებთან თუ ინდივიდუალურ მომხმარებლებთან. დასასრულ, წყლის ტარიფის განსაზღვრისას აუცილებელია, ახალი მიდგომა აუზის მართვის მიმართ და, შესაბამისად, მხედველობაში მიიღონ წყლის რესურსების მართვის ინტეგრირებული ჩარჩოს განხორციელების შესაძლო შედეგები.

### **C. ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე წყლის რესურსების დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობები**

**აშკარაა, რომ საქართველოში, ზოგიერთ ადგილას, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების არამდგრადი მოპოვება ხორციელდება.** წყლის დონის ცვალებადობა, წყალდიდობებისა და წყლის რესურსების ადგილობრივი და სეზონური დეფიციტის სახით, სერიოზულ პრობლემას ქმნის ბევრ ადგილას. აუცილებელია, წყლის რესურსების მართვის დაგეგმვა აუზის მასშტაბით, მათ შორის წყალგამყოფისა და მდინარის აუზის რესურსების მართვა, წყლის შენახვა და წყალდიდობის კონტროლი და საარსებო გარემოსა და ეკოსისტემების დაცვა. ამასთან, წყლის დაბინძურება სერიოზული და ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რომელიც საჭიროებს ზომების მიღებას მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გასაწმენდად, სამრეწველო და

სამთო-მომპოვებელი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ჩამდინარე წყლების გასაკონტროლებლად და მყარი ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებლად (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, 2018 წ.). 2016 წელს, „საქართველოს გარემოსდაცვითი შედეგების მიმოხილვაში“ UNECE-მ დაასკვნა: „დაბინძურების პრევენციისა და წყლის მოპოვების კონტროლის ეფექტური მექანიზმების არარსებობა, საქართველოში წყლის რესურსებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა“ (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020e). გარდა ამისა, არ არსებობს სპეციალური ნებართვა ზედაპირული წყლის მოპოვებისა და ნახშიარი წყლების ჩაშვების შესახებ. მთავრობა იმედოვნებს, რომ ამ პრობლემებს წყლის რესურსების მართვის ყოვლისმომცველი კანონის მიღებით გადაჭრის.

### **ადგილობრივი სიცოცხლისუნარიანი მმართველი სუბიექტები ჩამოყალიბებული არ არის.**

2000-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა მელიორაციის ასოციაციები, რომლებიც ადგილობრივ სარწყავ ობიექტებს იყენებდნენ, მაგრამ ეს ასოციაციები დაიშალა. 2019 წლის დეკემბერში დამტკიცდა კანონი „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნის შესახებ“ (ADB, 2020). ამასთან ერთად, შეიქმნა პირობები იმისთვის, რომ წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ახალშექმნილმა მხარდამჭერმა ჯგუფმა, ხელი შეუწყოს ადგილობრივი დონის ორგანიზაციების ჩამოყალიბებას და დაეხმაროს მათ ინდივიდუალური მომხმარებლების მომსახურებაში. იმ დროს, „საქართველოს მელიორაციას“ უნდა შეესრულებინა, ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის, წყლის საბითუმო მიწოდების როლი. ამ მიზნით, ადგილობრივი ორგანიზაციების შექმნისთანავე, „საქართველოს მელიორაციას“ მათთან, წყლის საბითუმო მიწოდების, კონტრაქტები უნდა დაედო (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017ბ). თუმცა,

წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების მხარდაჭერი ადგილობრივი დონის ორგანიზაციების შექმნა და ფუნქციონირება უკიდურესად დაგვიანდა და ჯერჯერობით ამ მხრივ მცირე პროგრესს მიაღწიეს. მომავალი წინსვლისთვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ წყალმომხმარებელთა ორგანიზაციები შეიქმნება მხოლოდ იქ, სადაც ეს შესაძლებელია და სადაც წყლის მომხმარებლებს სურვილი ექნებათ, მოახდინონ თვით-ორგანიზება, სისტემების შენარჩუნება, მომხმარებელთა შორის წყლის განაწილება და მოსაკრებლების შეგროვება. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქალთა როლის გათვალისწინება, საქართველოში წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნისას. როგორც ასეთი, წყლის სათემო ორგანიზაციებში ქალების წევრობის, ლიდერობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აზრის გაზიარების შესაძლებლობების გასაზრდელად, სხვადასხვა ეფექტური მიდგომა არსებობს. ეს მოიცავს წევრობის კრიტერიუმების შეცვლას, ქალთა მიერ მიწაზე საკუთრების უფლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერას, ქალთა ტრენინგს კონკრეტულ თემებზე (როგორცაა კომიტეტის იურიდიული სტატუსი, შეხვედრის ჩატარება, ლიდერობა, კონფლიქტების მოგვარება, კომუნიკაციები, ბუღალტრული აღრიცხვა და საჯარო გამოსვლები და ა.შ.) (გაერო, 2012 წ.).

**კვალიფიცირებული ტექნიკური პერსონალის ნაკლებობის გამო ირიგაციისა და დრენაჟის სისტემის ზრდის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ ხერხდება.** საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას არ აქვს ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების ზრდისთვის საჭირო ისეთი ტექნიკური უნარების სწავლების შესაძლებლობები, რომლებიც სექტორის განვითარებას შეუწყობდნენ ხელს. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დროს აღინიშნა, რომ „საქართველოს მელიორაციაში“ უნდა გააძლიეროს თავისი კადრები

და გააუმჯობესოს მათი კვალიფიკაცია, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების სათანადო მართვის მიზნით. შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე მშენებელი ინჟინრებისა და აგრონომების ნაკლებობა დამანგრეველ გავლენას ახდენს საქართველოში ირიგაციისა და დრენაჟის სექტორის მართვაზე, მუშაობასა და მომავალზე. ამ სფეროებში გამოცდილების მქონე რამდენიმე სპეციალისტმა განათლება საბჭოთა პერიოდში მიიღო. დაინტერესებული მხარეები აცხადებენ, რომ წყლის რესურსების მართვის, მშენებლობის, ჰიდროლოგიის, აგრონომიისა და სხვა დაკავშირებულ სპეციალობებზე ძალიან ცოტა სტუდენტი სწავლობს; ამ პრობლემას, თან ერთვის მოძველებული სასწავლო პროგრამები, რომელშიც პრაქტიკული მეცადინეობები და ადგილზე გამოცდილების მიღება ნაკლებად არის გათვალისწინებული. ამ კვალიფიციური უნარების ნაკლებობის პრობლემა სავარაუდოდ, კიდევ უფრო გამწვავდება მეორადი და მესამეული არხების რეაბილიტაციისა და წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის დაარსების პროცესში. საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო სისტემამ, სექტორის მზარდი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, უნდა გადახედოს სასწავლო პროგრამებს და საჭირო ტრენინგი უზრუნველყოს მომავალი გამოცდილი ადამიანური რესურსების მოსამზადებლად, რომ შესაძლებელი გახდეს საპენსიო ასაკის ექსპერტების შეცვლა და სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა,.

» **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (1):** „საქართველოს მელიორაციის“ აუდიტის ჩატარება რომ დადგინდეს, რეორგანიზაციის პოტენციური საჭიროებები, ადამიანური რესურსებისა და მათი შესაძლებლობების ზრდის საჭიროებები, დროში განერილი ფინანსური მოდელი და ხარჯების სტრუქტურა და გზები, რომლითაც „საქართველოს მელიორაცია“ უფრო

მეტად ანგარიშვალდებული იქნება, მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

» **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (2):** წყლის

მომხმარებელთა ტიპოლოგიის განსაზღვრა მეურნეობების საშუალო ზომის, ირიგაციისთვის გამოყენებული წყაროების ტიპების, მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ტიპებისა და ირიგაციისა და დრენაჟის სერვისებზე მათი წვდომის უკეთესად გაგების მიზნით.

» **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (3):** ირიგაციისა და

დრენაჟის სერვისების მკაფიო სატარიფო სტრუქტურის განსაზღვრა და შეთანხმება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში, უზრუნველყოფს „საქართველოს მელიორაციის“ ფინანსურ მდგრადობას. ტარიფმა უნდა უზრუნველყოს, არამარტო ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურების მიმწოდებლის ფინანსური მდგრადობა და ეფექტურობა, არამედ სოფლის მეურნეობის სექტორის გადარჩენა, ევოლუცია და კონკურენტუნარიანობა.

» **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (1):**

წყალმომხმარებელთა რეგიონალური ორგანიზაციების მხარდაჭერი ჯგუფების დაკომპლექტება და ტრენინგი, რომ მათ ეფექტიანად იმუშაონ და უზრუნველყონ წყლით მოსარგებლეთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება იქ, სადაც გათვალისწინებულია სისტემის სრული რეაბილიტაცია (ე.ი. პირველადი, მეორადი და მესამეული სისტემების რეაბილიტაცია) და სადაც წყლის მომხმარებლები თვით-ორგანიზების სურვილს გამოხატავენ. მეტი ქალის დაქირავება წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების დამხმარე ჯგუფების თანამშრომლებად, რათა მათ ხელი შეუწყონ ქალების ჩართულობას წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებში. წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების მხარდასაჭერი ძალისხმევის გაფართოება, მაგალითად:

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი სპეციფიკური ზომების დამატება კანონქვემდებარე აქტებში, როგორცაა: ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალებისთვის გამოყოფილი კვოტები; სპეციფიკური ტრენინგი (კომუნიკაციის უნარებში, ტექნიკურ უნარებში), რაც დაეხმარებათ ქალებს, მამაკაცების მიერ დომინირებულ სივრცეებში გაახმოვანონ ინფორმაცია მათი მოსაზრებების შესახებ; გენდერულად მგრძობიარე ტრენინგების ჩატარება ყველა ტრენინგ სესიაზე, მაგალითად, დაბალანსებული წარმომადგენლობის უპირატესობების ასახსნელად.

» **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (2):** საქართველოს მელიორაციის აუდიტის შედეგად მიღებული რეკომენდაციების განხორციელება.

» **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (3):** უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებზე, სწავლის მსურველთა ნაკლებობის ძირითადი მიზეზების შესწავლის საფუძველზე, წყლის რესურსების მართვის ტექნიკური კურსებისა და სპეციალობების უზრუნველსაყოფად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობის გაძლიერება, იმისთვის, რომ დაძლიონ წყლის სექტორში პროფესიონალების ნაკლებობის პრობლემა, განახლდეს შესაბამისი სასწავლო პროგრამები და გაიზარდოს შეთავაზებული კურსებისა და სპეციალობების რაოდენობა; აგრეთვე, გაძლიერდეს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში, წყლის რესურსების მართვის სპეციალობაზე ჩარიცხვის სტიმულირება.

» **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (4):** ინვესტირება, გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს, მდინარის აუზებში წყლის მარაგებისა და მასზე მოთხოვნის მონიტორინგის, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობების გაძლიერებაში; მათ შორის ინვესტირება პერსონალით დაკომპლექტებაში, უნარების განვითარებასა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების დანერგვაში, წყლის რესურსების მართვისა და აუზების დაგეგმვის უნარების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, ინვესტირება წყლის ხარისხის მონიტორინგისა და მარეგულირებელი სისტემების გაუმჯობესებაში, მდინარის აუზის მასშტაბით სოფლის მეურნეობიდან და არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან წყლის დაბინძურებისა და გამოყენების კონტროლისთვის. ეს ზომები უნდა განხორციელდეს კაშხლების ან სარწყავი სქემის მოდერნიზაციის მასშტაბური ინვესტიციების განხორციელებამდე.

- » **რეკომენდაცია სამშალოვადიანი პერიოდისთვის (5):** „საქართველოს მელიორაციის“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი სერვისცენტრების შერწყმა, რომ შეიქმნას ერთი სტრუქტურა, რომელსაც ფერმერებისთვის გლობალური მხარდაჭერის აღმოჩენის პასუხისმგებლობა ექნება.

ქვემოთ მოყვანილ #6 ნახაზზე მოცემულია ირიგაციისა და დრენაჟის სექტორში მოკლევადიანი პერიოდისთვის განკუთვნილი რეკომენდაციებისა და ღონისძიებების ერთიანი სქემა.


## D. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სამართლებრივი ჩარჩო

**წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის კომპლექსური ჩარჩოს არარსებობის გამო, საქართველოს არ აქვს აუზიდან ფერმამდე წყლის განაწილების სამართლებრივი**

**დებულებები (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017b).** მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში წყალმომარაგების ნებართვების სისტემის აღდგენის მიზნით, 2015 წელს შემუშავდა ახალი კანონი წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის შესახებ, მისი მიღება გადაიდო (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 2020წ.). გარდა ამისა, 2010 წელს „მელიორაციის შესახებ“ კანონის გაუქმების შედეგად, საქართველოში აღარ არსებობს ირიგაციისა და დრენაჟის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017b). ამის ნაცვლად, სექტორი რეგულირდება მხოლოდ ზოგადი კანონებით, როგორცაა, 1997 წლის კანონი წყლის შესახებ, რომელიც შეიცავს სულ რამდენიმე მითითებას ირიგაციისა და სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის წყლის გამოყენების შესახებ. საქართველოს მთავრობა ინტენსიურად მუშაობს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის კანონის დამტკიცებისა და მიღებისთვის. ირიგაციისა და დრენაჟის მომსახურების რეგულირების გარკვეული ასპექტები ამ კანონპროექტში აისახება; ამის მიუხედავად, ჯერჯერობით გაურკვეველია, საჭიროა თუ არა კანონმდებლობაში შესწორებების დაუყოვნებლივ შეტანა ირიგაციისა და დრენაჟის საკითხებზე, რათა მოხდეს იმ ასპექტების რეგულირება, რომლებიც შესაძლოა არ იყოს გათვალისწინებული წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ახალ კანონში.

- » **რეკომენდაცია სამშალოვადიანი პერიოდისთვის:** წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის კანონის ანალიზის განხორციელება, რათა კანონის დებულებებით, უზრუნველყონ ირიგაციისა და დრენაჟის გამოყენების სწორი რეგულირება და, საჭიროების შემთხვევაში, კანონპროექტში შესაბამისი დებულებების შეტანა ამ ასპექტების გადასაჭრელად.

**ნახაზი 6: მოკლევადიან პერიოდში ირიგაციისა და დრენაჟის რეფორმის დონისძიებების მოკლე აღწერა**



### **E. მიწის მართვისა და ადმინისტრირების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის საჭიროება**

**არ არსებობს დარგობრივი პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი, რომელიც ასახავდა მთავრობის მიდგომას საქართველოში მიწის მდგრადი მართვისა და ადმინისტრირების მიმართ.**

ფრაგმენტირებული მიწის მართვის სისტემა კიდევ უფრო აღრმავებს სექტორში კოორდინაციის ნაკლებობას. მიწის მართვასა და ადმინისტრირებაში ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ინტეგრირებული მართვის სისტემის არქონა. ეს განაპირობებს განვითარების გაურკვეველ ხედვასა და კონკრეტული ინდიკატორების არარსებობას სექტორში პროგრესის დასადგენად. ხელმისაწვდომია 2 სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ასახავს მთავრობის ხედვას მიწის სექტორის განვითარების შესახებ: 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შენიშვნები მომდევნო სამი წლისთვის და „მთავრობის პროგრამა 2021-2024: ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“. ეს უკანასკნელი აღწერს მიწის რეგისტრაციის რეფორმას, როგორც მიწის სექტორის განვითარების მთავარ პრიორიტეტს. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შენიშვნები განსაზღვრავს მიწის ბაზრის განვითარების მიზნებს, მიწის რეგისტრაციისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სერვისების გაუმჯობესების მხარდაჭერას. ამჟამად, სექტორში, ერთიანი მიდგომის ან კოორდინაციის გარეშე, ფუნქციონირებს რამდენიმე ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტები და მათი ძირითადი ფუნქციები ჩამოთვლილია #4 ცხრილში.

**მიწის მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის როლების განაწილება ქმედითი არ არის.** როლების განაწილების არაეფექტურობა აღინიშნება საძოვრების

მართვისა და სივრცითი დაგეგმარების შემთხვევაში. საძოვრების მართვა არ არის დეცენტრალიზებული, რადგან საძოვრებს ელობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. თუმცა, უცნობია, ვინ არის პასუხისმგებელი მათ მართვაზე. მართვისა და ადმინისტრირების ახლანდელი მიდგომა ამ სექტორში, მრავალ გამონკვევას ქმნის. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების გაქირავების სისტემაში არსებული ხარვეზების გამო, ფერმერების უმეტესობა საძოვრებს არაოფიციალურად იყენებს, რაც იწვევს გადაძოვებას. რაც შეეხება სივრცით დაგეგმარებას, ადგილობრივი ხელისუფლების როლები და პასუხისმგებლობები ამ სფეროში, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. სივრცითი დაგეგმვის კონტექსტში მიწის სწორად მართვა და ადმინისტრირება მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლების ჩართვას და საქმიანობის დუბლირების თავიდან ასაცილებლად, პასუხისმგებლობის მკაცრ განაწილებას ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის (საქართველოს PRC 2020). დაინტერესებული მხარეები აცნობიერებენ, როგორც სამართლებრივი ჩარჩოს გადახედვისა და გამართვის, ასევე ამჟამად განსაზღვრული როლებისა და პასუხისმგებლობების გამოყენების რეგულირების აუცილებლობას.

- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (1):** მიწის მართვასა და ადმინისტრირებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრა.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (2):** მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერება მიწის სექტორის მართვასა და ადმინისტრირებაში, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

**ცხრილი 4: სახელმწიფო უწყებები და მათი ფუნქციები მიწის მართვასა დაადმინისტრირებაში**

სახელმწიფო უწყება	ფუნქციები
<p>პიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო)</p>	<p>მიწის პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტების და რეგულაციების შემუშავება                      ნორმატიული აქტების, პოლიტიკის დოკუმენტების, სტრატეგიული დოკუმენტებისა და კვლევის ანგარიშების განხილვა და უკუკავშირის უზრუნველყოფა                      მიწის ადმინისტრირებისა და მართვის საკითხებზე დისკუსიებში მონაწილეობა</p>
<p>მიწის მდგრადი მართვის და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო)</p>	<p>მიწის ბალანსის შედგენა                      სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების აღრიცხვა და ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზის შექმნა                      მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგის განხორციელება და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა</p>
<p>საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტი</p>	<p>მიწის მართვისა და ადმინისტრირების მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება                      მიწის პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა</p>
<p>საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR)</p>	<p>მიწის რეგისტრაციის განხორციელება                      ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის, ოპერირებისა და განვითარების კოორდინაცია</p>
<p>სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტო</p>	<p>სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა                      სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემა                      სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის (აქციონერის) უფლებამოსილების განხორციელება                      მკაცრი აღრიცხვის ფორმების შეთანხმებასთან, რეგისტრაციასთან, წარმოებასთან, შენახვასთან, მოხმარებასთან და ექსპერტულ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების მართვა                      დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების მართვის ხელშეწყობა, მათ შორის, ელექტრონული აუქციონის ვებ-გვერდის საშუალებით</p>
<p>სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო</p>	<p>მიწის შეფასების განხორციელებითა და აუქციონებისთვის სანყისი ფასის განსაზღვრით, მიწის პროვატიზაციაში მონაწილეობა                      მიწის მესაკუთრეთა დავებში მონაწილეობა, მიწის ნაკვეთების გადაფარვასთან და/ან შეფასებასთან დაკავშირებით</p>
<p>საქართველოს შემოსავლების სამსახური</p>	<p>მიწის გადასახადის ამოღება</p>
<p>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები</p>	<p>მიწის სარეგისტრაციო ნაკლული დოკუმენტაციის ლეგალიზაციის განხორციელება</p>

წყარო: ავტორები.

- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის:** ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის ხედვას მიწის სექტორის, მისი მიზნების, მოკლე და გრძელვადიანი შედეგების შესახებ, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნა სამიზნე მაჩვენებლების მიმართ მიღწეული პროგრესის შესაფასებლად.
- » **რეკომენდაცია გრძელვადიანი პერიოდისთვის:** ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მართვის დეცენტრალიზაცია მიწის რესურსების მართვის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

## F. მიწის მართვისა და ადმინისტრირების სამართლებრივი ჩარჩო

**მიწასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი ამჟამად რეგულირდება ცალკეული და ზოგჯერ არათანმიმდევრული სამართლებრივი აქტებით, რაც ქმნის რთულ საკანონმდებლო ბაზას და იწვევს მიწის რესურსების არაეფექტურ მართვას.** მიწის მართვის საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა ცხადყოფს, რომ არ არსებობს ერთიანი დოკუმენტი, მაგალითად „მიწის კოდექსი“, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა რეგულაციები, მიწის მართვასთან დაკავშირებული ყველა ორგანოსთვის (ჭითანავა, 2020 წ.). ეს იწვევს მიწის არაეფექტურ მართვასა და ხელს უშლის მიწის სექტორის განვითარებას. მიწასთან დაკავშირებული სხვადასხვა სპეციფიკური ასპექტის მარეგულირებელი მთავარი სამართლებრივი დოკუმენტებია:

- **კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“** სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის სანარმოებლად; ის ასევე მოიცავს შინამეურნეობის მიწას;
- **კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“** მიუთითებს, რომ საძოვრები და ცხოველთა გადასარეკი ტრასები არ ექვემდებარება პრივატიზირებას, გარდა 2005 წლის 30 ივლისამდე იჯარით გაცემული საძოვრებისა მათზე მდებარე შენობა-ნაგებობებით. ამ საძოვრებს მუდმივად იყენებენ ახლომდებარე სოფლები; თუმცა, სამართლებრივად ეს ნაკვეთები სახელმწიფოს საკუთრებაშია (საქართველოს პარლამენტი 2010 ბ);
- **კანონი „სივრცითი მონყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“** არეგულირებს სივრცით დაგეგმარებას საქართველოში და განსაზღვრავს დაგეგმარების პროცესსა და უფლებამოსილ უწყებებს.
- **საქართველოს ტყის კოდექსი** ცნობს ტყის მიწას, როგორც ტყის კონტურის შიგნით არსებული მიწის ღია ფართობს, რომელიც გამოიყენება სათიბად ან საძოვრად; ასევე სპეციალური დანიშნულების მიწას; მიწას, რომელიც მოიცავს ტყეში არსებულ ჭაობს, კლდეს, რიყეს ან სხვა მიწის ფართობს, რომელიც არ გამოიყენება ტყის განაშენიანებისათვის; სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურას (სატყეო გზა, ხეტყის დასაწყობების ადგილი, საქმიანი ეზო) და სხვ. (საქართველოს პარლამენტი, 2020 წ.).

### მიწის მართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი საჭიროებს განახლებას

(მაგ. კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ) ან მოქმედების სფეროს გაფართოებას. საკანონმდებლო ჩარჩო უნდა განახლდეს, რომ მასში აისახოს ისეთი კონცეფციები და მათი პრაქტიკული გამოყენება, როგორიცაა: (i) სათემო მიწის საკუთრების სტატუსი,



მათ შორისაა, როგორც სარგებლობის უფლებები, ასევე სოფლის ჯგუფების კონკრეტული უფლებები და (ii) კომერციულ ფართობებში კერძო საკუთრებაზე გამავალი შიდა გზების იურიდიული სტატუსი. ეს განსაკუთრებით პრობლემური საკითხია სოფლის საძოვრებთან დაკავშირებით. თემთა ჯგუფებს არ აქვთ საძოვრებით სარგებლობის და საკუთრების უფლებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ საძოვრების გასხვისება.

- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის:** ერთიანი და ინტეგრირებული „მინის კოდექსის“ შემუშავება, რომელიც საფუძვლად დაედება მინასთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო ჩარჩოს და განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.
- » **რეკომენდაცია გრძელვადიანი პერიოდისთვის:** ჯგუფის /თემის მინის სტატუსის განსაზღვრა განსაკუთრებით სოფლის საძოვრებისთვის, მათ შორის, როგორც სარგებლობის უფლებებისთვის, ასევე სოფლის ჯგუფების კონკრეტული უფლებებისთვის. არსებული ჩარჩოს საფუძველზე, შესაძლებელია, კოოპერატივების დაარსება და მათთვის უფლების მიცემა, გამოიყენონ სოფლის საძოვრები, მინის რესურსების შენარჩუნებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობებით.

## G. სახელმწიფო ხარჯები სოფლის მეურნეობაში

**საქართველოში არსებობს შესაძლებლობა, მთავრობის სტრატეგიული მიზნებისა და მისწრაფებების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სექტორში განუვლი**

**სახელმწიფო ხარჯები მიემართოს კონკურენტუნარიანობის, მდგრადობისა და კლიმატმედეგობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად.** 2010 წლის შემდეგ, სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, როგორც აბსოლუტური, ასევე საერთო დანახარჯების წილის სახით.<sup>31</sup> სოფლის მეურნეობაზე სახელმწიფო ხარჯების ბოლო მიმოხილვა (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020a), მიუთითებს სამ ძირითად სფეროზე, რომლის გათვალისწინებაც შეუძლია საქართველოს მთავრობას სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი ღონისძიებების დაგეგმვისას.

### 1. სოფლის მეურნეობის ხარჯების ეკონომიკური შემადგენლობა: საჯარო და კერძო პროდუქტების შედარება

**საჯარო დანახარჯების ეფექტურობის ძირითადი განზომილება არის საჯარო ხარჯის ის წილი, რომელიც მოხმარდა საჯარო პროდუქტისა და მომსახურების შექმნის ხელშეწყობას (მაგ., კვლევა და განვითარება, ექსტენციის მომსახურება და სარწყავი ინფრასტრუქტურა) და იმ ხარჯების წილი, რომელიც მოხმარდა კერძო პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის სუბსიდირებას (მაგ. სანარმოო საშუალებების ან ენერჯის ხარჯების სუბსიდირება).** კერძო პროდუქტის წარმოებაზე განეული საჯარო ხარჯები პირდაპირ სარგებელს აძლევს ფიზიკურ პირებს (Morris et al 2020წ.). ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობაში განეული საჯარო ხარჯების ათი პროცენტული პუნქტის გადატანა, კერძო პროდუქტიდან საზოგადოებრივ პროდუქტზე (ხარჯების მთლიანი ოდენობის შენარჩუნებით), ხუთი პროცენტით ზრდის დამატებულ ღირებულებას ერთ სულ

<sup>31</sup> 2010-2019 წლებში სოფლის მეურნეობის ხარჯების ზრდის საშუალო წლიური ტემპი ათჯერ აღემატებოდა მთლიანი საჯარო ხარჯების ზრდის ტემპს. 2012 წლიდან ეს ხარჯები შეადგენდა მთლიანი ხარჯების ორიდან სამ პროცენტს (მსოფლიო ბანკი 2020a).

მოსახლეზე. ალტერნატიულ შემთხვევაში, ხარჯების შემადგენლობის მუდმივად შენარჩუნების პირობებში, ასეთი ზრდისთვის საჭირო იქნება სოფლის მეურნეობის შესაბამისი ხარჯების ზრდა 25 პროცენტული ერთეულით (Morris et al 2020წ.). საქართველოში, 2010–2019 წლებში, ხარჯების შემადგენლობა მერყეობდა კატეგორიებს შორის. სუბსიდიების წილი სოფლის მეურნეობის მთლიან ხარჯებში დროთა განმავლობაში იზრდებოდა და სოფლის მეურნეობის ხარჯების ყველაზე დიდმა წილმა შეადგინა საშუალოდ 21 პროცენტი (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020ა). ამ სუბსიდიების უმეტესობა განკუთვნილი იყო საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებაზე (კერძო პროდუქტი), რომლებსაც, სავარაუდოდ, უდიდესი წვლილი მიუძღვის სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის ინვესტიციების ზრდაში (სექტორისთვის საბანკო კრედიტის გაცემის ხელშეწყობით), მაგრამ ეს შედეგი მიღწეული იყო ფისკალური ხარჯების სანაცვლოდ.

## 2. სოფლის მეურნეობის ხარჯების ფუნქციური ანალიზი: მაღალი უკუგების საჯარო ინვესტიციები

**საქართველოში სოფლის მეურნეობის მთლიან ხარჯებში ყველაზე მნიშვნელოვანი ხარჯის კატეგორია სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებია.** 2019 წლის მონაცემებით, ამ კატეგორიის ხარჯებმა მთლიანი ხარჯების 44 პროცენტი შეადგინა. აქედან ირიგაციისა და დრენაჟის წილი იყო 27 პროცენტი, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის - 21 პროცენტი და მეღვინეობის მხარდაჭერის პროგრამის - 5 პროცენტი (მსოფლიო ბანკი, 2020ა). ირიგაციისა და დრენაჟის სფეროში ჩადებული ინვესტიციები ხელს უწყობს პროდუქტიულობის მდგრად ზრდასა და მედეგობის გაუმჯობესებას. 2012 წლის ბოლოდან ხარჯები ამ ტიპის ინფრასტრუქტურაზე ექვსჯერ გაიზარდა,

რეალური გამოსახულებით, 6.2 მილიონი ლარიდან 43 მილიონ ლარამდე. ამის შედეგად, გაიზარდა სარწყავი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი და დრენაჟით დაფარული ფართობი (მსოფლიო ბანკი 2020ა). ხარჯები სურსათის უვნებლობასა და ვეტერინარულ კონტროლზე, რაც ზრდისა და მედეგობის ხელშეწყობი კიდევ ერთი სფეროა, განსაკუთრებით დაბალია (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020ა).

**საჯარო პროდუქტების შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა თანხა იხარჯება სოფლის მეურნეობის კვლევისა და განვითარებაზე, რადგანაც დადასტურებულია, რომ ეს ინვესტიციები მაღალი უკუგებით ხასიათდება.**

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების ბოლო კვლევა აჩვენებს, რომ 102 მილიარდი აშშ დოლარის მთლიანი ხარჯებიდან (სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი სერვისების სახით), რომელთა შორის იყო 76 მილიარდი აშშ დოლარის სახელმწიფო ინვესტიციები კვლევისა და განვითარებაში, ბიოუსაფრთხოებასა და ინფრასტრუქტურაში, მხოლოდ ექვსი პროცენტი დაიხარჯა სოფლის მეურნეობის კვლევისა და განვითარებაზე (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 2021ა). ამავდროულად, საქართველოში კვლევისა და განვითარებისთვის გამოყოფილი ხარჯების წილი ყველაზე მცირე იყო და 2014-2019 წლებში მთლიანი ხარჯების საშუალოდ ორ პროცენტს შეადგენდა, რაც ნაკლებია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საშუალო მაჩვენებელზე (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია 2021ა).

## 3. ხელშეწყობი პროგრამების შემადგენლობა

**2012 წლიდან, საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის**

**სექტორის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად აირჩია.** ძირითად ინიციატივებში შედის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ათბე მეტი პროგრამა, რომელსაც მართავს სოფლის განვითარების სააგენტო, რომლის მისიაა, ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მდგრად წარმოებას საერთაშორისო სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვის საშუალებით. სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებზე მოდის ქვეყნის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ხარჯების დაახლოებით 45 პროცენტი და სოფლის განვითარების სააგენტოს რესურსების უმეტესი ნაწილი (67 პროცენტი) გამოიყენება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამისთვის“.<sup>32</sup> სოფლის განვითარების სააგენტოს ბიუჯეტის, დაახლოებით 11 პროცენტი იხარჯება პროგრამაზე „დანერგე მომავალი“<sup>33</sup>, 9 პროცენტი გამოიყენება აგროდაზღვევისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების თითოეულ პროგრამაზე. გარდა ამისა, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები ძირითადად მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველად წარმოებას და მხოლოდ რამდენიმე მათგანი ისახავს მიზნად გადამამუშავებასა და დამატებულ ღირებულებას (მსოფლიო ბანკი, 2020a). მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ხარჯების ჩვეულებრივი მოდელი, რომელსაც

ქვეყნები სოფლის მეურნეობაში იყენებენ, ის შეიძლება იყოს პოტენციური ინსტრუმენტი სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების გასაზრდელად.

## კლიმატმედეგობა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილება

### A. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ცოდნის გავრცელება სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვებში

**კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის დასაჩქარებლად, მცირე მეურნეობებმა უნდა გამოიყენონ ფერმერული ტექნოლოგიები, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია საქართველოში.** ფერმერებს სჭირდებათ წახალისება და შესაძლებლობა, რათა მოახდინონ ადგილზე ტრანსფორმაცია, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ინსტიტუტებმა და პოლიტიკამ, სოფლის მეურნეობის კვლევებსა და ინოვაციურ სისტემებში ინვესტირების ჩათვლით. მთავრობებს, კვლევით ინსტიტუტებს, კერძო სექტორის ტექნოლოგიურ პარტნიორებსა და ფერმერებს შორის პარტნიორობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ტექნოლოგიის არჩევანთან და მართვის მეთოდებთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელებისთვის.

**32** „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა“ დაიწყო 2013 წელს და მისი მიზანია, დაეხმაროს პირველად წარმოებას, გადამამუშავებასა და შენახვას, ურთიდული და ფიზიკური პირებისთვის იაფი, გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტის უზრუნველყოფით. აგროკრედიტებს გასცემენ, პროგრამაში ჩართული კომერციული ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები, სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში მთავრობა სუბსიდირებას უკეთებს შემდეგი ფინანსური პროდუქტების საპროცენტო განაკვეთს: (ა) საბრუნავი საშუალებები (ბ) ძირითადი საშუალებები (გ) შეღავათიანი აგროლოზინგი (დ) სახელმწიფო პროგრამა „წარმოე საქართველოში“

**33** 2015 წელს ინიცირებული „დანერგე მომავალი“ პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენების გაუმჯობესებას მრავალწლიანი კულტურების დარგვის სუბსიდირების გზით. პროგრამის მიზანია, იმპორტის ჩანაცვლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. თანადაფინანსება ხორციელდება სამ სხვადასხვა კომპონენტში: (ა) მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსება; (ბ) ბაგა-ბაღების თანადაფინანსება; და (გ) სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების დამონტაჟების ან/და ჭაბურღილის/ჭის სატუბში სადგურის მოწყობის თანადაფინანსება. მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი მოიცავს ბენეფიციართა ფინანსური და ტექნიკური დახმარების განვსას. თანადაფინანსებისთვის მისაღები ხეხილის ბაღები განსხვავდება რეგიონების მიხედვით და პროგრამა განსაზღვრავს მრავალწლიანი ნარეგების ტიპებს, რომლებიც შეიძლება, გაშენდეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება საჭიროებს ინტენსიურ კომუნიკაციას ფერმერებს, ხელისუფლებასა და აგრობიზნესებს შორის.

- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (1):** რეგიონული საკომუნიკაციო პლატფორმების შექმნა/გაძლიერება ფერმერების მიერ აგრონომიული პრაქტიკის დანერგვის გასაადვილებლად. სადემონსტრაციო ნაკვეთებისა და ფერმერთა საველე სკოლების მხარდაჭერა, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაიგონ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის კარგი პრაქტიკა.
- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (2):** ცოდნის გადაცემის მხარდაჭერა (შესაბამისი აგრონომიული და ვეტერინარული პრაქტიკა, მიზნობრივი პროფესიული ტრენინგი და ტექნიკური დახმარება ბიზნესის განვითარებისა და ექსპორტისთვის) ბაზრის კონკრეტული მოთხოვნების ან ბაზარზე ორიენტირებული ღირებულებათა ჯაჭვის სტრატეგიების საფუძველზე.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის:** საქართველოს მრავალფეროვან აგრო-ეკო-სისტემებზე ადაპტირებულ სანარმოო საშუალებებსა და ტექნოლოგიებზე კერძო სექტორის კვლევისა და განვითარების შესაძლებლობების გაზრდის წამახალისებელი პროგრამების შემუშავება. კვლევით ინსტიტუტებთან, კერძო სექტორის ტექნოლოგიურ პარტნიორებთან და ფერმერთა ჯგუფებთან ინოვაციური პარტნიორობის ხელშეწყობა, რათა დადგინდეს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების, უფრო ფართო აუდიტორიამდე მიტანის ახალი გზები. (ტროპიკული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ცენტრი და მსოფლიო ბანკი. ND).

- » **რეკომენდაცია გრძელვადიანი პერიოდისთვის:** გარემოსდაცვითი მომსახურებისთვის ანაზღაურების (ან ეკოსისტემური მომსახურებისთვის ანაზღაურების) შესაძლებლობის გამოკვლევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მიწაზე საკუთრების საკითხების გადაწყვეტის პროცესი მიმდინარეობს. ასეთი მიდგომა სასარგებლო იქნება, მთლიანი ინვესტიციების მხარდასაჭერად და ფერმერების წასახალისებლად, შეცვალონ პრაქტიკა.

**გენდერულად სენსიტიური მიდგომის გამოყენება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიმართ.** ეს ნიშნავს, რომ ქალებისა და კაცების საჭიროებები და პრიორიტეტები უნდა იყოს აღიარებული და ადეკვატურად მიმართული კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბებასა და გამოყენებისას, რათა კაცებმაც და ქალებმაც თანაბარი სარგებელი მიიღონ. ეს გულისხმობს, ერთი მხრივ, ადგილობრივ კონტექსტში გენდერული ბალანსის გააზრებას და ისეთი პრაქტიკის შემუშავებას, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც კაცების, ასევე ქალების საჭიროებებსა და არჩევანს, შეზღუდვებისა და პოტენციური სარგებელის გათვალისწინებით. მეორე მხრივ, ეს ასევე ნიშნავს გენდერულ საკითხებზე ყურადღების მიქცევას კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული გენდერული საკითხების შესახებ საინფორმაციო ბაზის შექმნას (Nelson and Huyer, 2016წ.).

## **B. აგრომეტეოროლოგიური და წყლის აღრიცხვის შესაძლებლობები**

**საქართველოში აგრომეტეოროლოგიური და წყლის აღრიცხვის შესაძლებლობები არ არის საკმარისი, სოფლის**

**მეურნეობისა და წყლის რესურსების სექტორში კლიმატის რისკებზე რეაგირებისთვის.**

იმ დროს როდესაც, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი ქვეყნის მასშტაბით, პასუხისმგებელია, მდინარეების წყლის რეჟიმებისა და მეტეოროლოგიური პირობების შესახებ მონაცემების შეგროვებაზე, ის მცირე მონაცემებს აგროვებს რეალურ დროში მდინარეების რეჟიმების შესახებ (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2017b). ამგვარად, წყლის რესურსების მართვა და შემდგომი განვითარება შეზღუდულია, ეროვნული ჰიდროლოგიური მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემების ნაკლებობის გამო. მომსახურების მიწოდების სისტემების ფარგლებში, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტმა კიდევ უფრო უნდა განავითაროს და თანამედროვე დონემდე გააუმჯობესოს ამინდის ყოველთვიური და სეზონური გრძელვადიანი პროგნოზირების შესაძლებლობები, რათა შეძლოს, ლოკალიზებული ექსტრემალური კლიმატური მოვლენების შესახებ დეტალური და ზუსტი წარმოდგენის უზრუნველყოფა (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2019 წ.).

- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (1):** ინვესტირება, როგორც საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს მელიორაციის, ჰიდრომეტეოროლოგიურ და წყლის აღრიცხვის გაუმჯობესებულ შესაძლებლობებში, ასევე ფერმერების ამინდის უფრო სწორი შეფასებისა და მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერებაში უკეთესი სასოფლო სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების დასახმარებლად.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (2):** ინვესტირება, საბაზრო და აგროკლიმატური ინფორმაციის წარმოებაში, დამუშავებასა და გავრცელებაში, რაც კერძო

სექტორთან პარტნიორობით ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესში გადაწყვეტილების მიღებასა და რისკების მართვას.

- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (3):** ფერმერებისთვის, მოსავლის დაზღვევის, დამხმარე მომსახურების გაფართოება და ფერმერების მიერ სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის გამოყენების სტიმულირება.

**C. მიწის დეგრადაცია და ნიადაგის სიჯანსაღე**

**საქართველოში დეგრადირებული მიწის ფართობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს და ნაყოფიერი სახნავი მიწების დანაკარგების აღრიცხვა და მონიტორინგი პრაქტიკულად არ ხდება.** თუმცა, მიწის დეგრადაცია საქართველოში 100 000 ჰექტარზე მეტად არის შეფასებული (ISET Policy Institute 2020წ.).

**მიწის დეგრადაცია პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ სიჯანსაღეზე.**

საქართველოში მიწის დეგრადაციის მიზეზები მრავალრიცხოვანია, მათ შორის: გადაძოვება; ნიადაგის დაცვითი ღონისძიებების ნაკლებობა; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება სტიქიური უბედურების საფრთხის ქვეშ მყოფ ადგილებში; ნაკვეთმონაცვლეობის არასწორი პრაქტიკა; წყლის გადაჭარბებული მოხმარება; ტყის საფარის დაკარგვა ან/და შემცირება; ტყის რესურსების ექსპლუატაცია; მოსავლის აღების შემდგომ ნარჩენების დანვა; ნიადაგის დაცვის საკანონმდებლო ბაზის არარსებობა; და პასუხისმგებლობების გაურკვეველი განაწილება დაინტერესებულ მხარეებს შორის (ISET Policy Institute 2020წ.). მსოფლიო ბანკის შეფასებით, მიწის დეგრადაცია ყოველწლიურად პირდაპირ ამცირებს ეროვნულ მშპ-ს 0.7 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის მშპ-ს 8 პროცენტით. საქართველოში, სათიბები

და საძოვრები დაახლოებით 1.91 მლნ. ჰექტარს შეადგენს, აქედან მნიშვნელოვანი რაოდენობა დეგრადირებულია არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და გადაძოვების გამო. ნიადაგის დეგრადაციამ გამოიწვია პროდუქტიულობის შემცირება დაახლოებით 23 პროცენტით და ერთ ჰექტარზე დაახლოებით 7 ტონა მშრალ ნივთიერებად არის შეფასებული. საძოვრების პროდუქტიულობის ასეთი შემცირება (შეფასებული შემცველების საბაზრო ღირებულებით) წარმოქმნის დაახლოებით 59 მილიონ აშშ დოლარის ყოველწლიურ ჯამურ დანაკარგს (მსოფლიო ბანკის ჯგუფი, 2020e).

**ნიადაგის დეგრადაცია არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაზე.** ნიადაგის ნაყოფიერება დროთა განმავლობაში შემცირდა ტექნოლოგიების, კაპიტალისა და ნიადაგის მართვის ძირითადი უნარებისა და პრაქტიკების ნაკლებობის გამო (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2015წ.). მწირი ხარისხის ნიადაგები ძირითადად კონცენტრირებულია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც გადაძოვებამ და ნალექის შემცირებამ ქარისმიერი ეროზია გამოიწვია. მიწის პროდუქტიულობის წლიური დანაკარგი შეფასდა 1.8 პროცენტად, ხოლო მიწის პროდუქტიულობის მთლიანმა წლიურმა დანაკარგმა დაახლოებით 11.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020e).

» **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (1):** სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაზე ნიადაგის ხარისხის გავლენისა და მიწის

დეგრადაციასთან დაკავშირებული დანაკარგების დემონსტრირების გზით ნიადაგის დაცვის მნიშვნელობის შესახებ, ფერმერების ცნობიერების ზრდა.

- » **რეკომენდაცია მოკლევადიანი პერიოდისთვის (2):** ცენტრალური მთავრობის, მუნიციპალიტეტისა და კერძო სექტორის პასუხისმგებლობის მკაფიო განსაზღვრა ნიადაგის დაცვასა და საძოვრების მართვასთან დაკავშირებით.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (1):** სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის ნიადაგის დაცვის ზომების დანერგვის ნახალისების მექანიზმების შემუშავება.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (2):** მიწის დეგრადაციის შესახებ მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება და მისი რეგულარულობის უზრუნველყოფა.
- » **რეკომენდაცია საშუალოვადიანი პერიოდისთვის (3):** ფერმერებისთვის ნიადაგის მონიტორინგის გაძლიერებისა და ნიადაგის სიჯანსაღესთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერება იმ ადგილებში, სადაც ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გამო ნიადაგი ძლიერ დეგრადირებულია.

ინსტიტუციური მოწყობა, კონკრეტულად, სამივე სექტორისა და გარემოს დაცვის მრავალი უწყების კონცენტრაცია ერთი სამინისტროს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ხელს უწყობს ამ იდენტიფიცირებული პოლიტიკის სფეროებში ერთიანი ზომებისა და რეფორმების განხორციელებას (ცხრილი 5).

**ცხრილი 5: ცენტრალური და ადგილობრივი უწყებების როლებისა და პასუხისმგებლობების შეჯამება**

სააგენტო	როლი & პასუხისმგებლობა	პასუხისმგებლობა პოლიტიკის იდენტიფიცირებულ სფეროებზე
<p><b>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სხვადასხვა დეპარტამენტი)</b></p>	<p>მედამხედველობს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროებში.</p>	<p>სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულების შეცვლა. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება. მინის ბაზრების ფუნქციონირების გაუმჯობესება.</p>
<p><b>რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში)</b></p>	<p>უმრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციისა და საკონსულტაციო მომსახურებას.</p>	<p>სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვების გასწვრივ ცოდნის გადაცემის გაუმჯობესება, მათ შორის კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ.</p>
<p><b>საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია</b></p>	<p>პასუხისმგებელია ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკასა და ღონისძიებების შემუშავებაზე.</p>	<p>რეკომენდირებულ სფეროებში, სოფლის მეურნეობის დარგში ვაჭრობისა და სასაქონლო ბაზრების დივერსიფიკაცია, სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის ეფექტური სისტემების განვითარება, ასევე ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა.</p>
<p><b>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის განვითარების სააგენტო</b></p>	<p>სოფლის განვითარების სააგენტო პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამების მართვასა და განხორციელებაზე.</p>	<p>სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვების ინტეგრაციის გაზრდა. სოფლის მეურნეობაში ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაფართოება.</p>
<p><b>სემეკი</b></p>	<p>განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს მელიორაციის მიერ განსაზღვრულ ტარიფებს (2023 წლიდან).</p>	<p>ირიგაციისა და დრენაჟის ტარიფის სტრუქტურის რეფორმა.</p>
<p><b>საქართველოს მელიორაცია</b></p>	<p>პასუხს აგებს ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებასა და ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების განვითარებაზე; არის ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს ნაწილი; და ანგარიშვალდებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე.</p>	<p>ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.</p>

<b>სააგენტო</b>	<b>როლი &amp; პასუხისმგებლობა</b>	<b>პასუხისმგებლობა პოლიტიკის იდენტიფიცირებულ სფეროებზე</b>
<p><b>საქართველოს მელიორაციის წყალმომხარებელთა ორგანიზაციების მხარდამჭერი ჯგუფი და წყალმომხარებელთა ორგანიზაციები</b></p>	<p>ეს ქვედანაყოფი პასუხისმგებელია წყალმომხარებელთა ორგანიზაციების შექმნასა და მათ (ან ფერმერების) მხარდაჭერაზე, რათა გამოიყენონ ფერმაში მდგრადი პრაქტიკა; წყალმომხარებელთა ორგანიზაციების მართვას წყლის ადგილობრივი მომხმარებლები განახორციელებენ, მაგრამ ეს ორგანიზაცია არის იურიდიული პირი.</p>	<p>ფერმებში წყლის მართვის ეფექტური პრაქტიკის დანერგვა.</p>
<p><b>საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში), და ადგილობრივი მმართველობები</b></p>	<p>ახორციელებს მიწის რეგისტრაციას და კოორდინაციას უწევს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნას, ექსპლუატაციასა და განვითარებას. ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო ნაკლული დოკუმენტების ლეგალიზაციას.</p>	<p>საკუთრების რეგისტრაციის პროცესის დაჩქარება.</p>
<p><b>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პიდროლოგიისა და მიწის მართვის დეპარტამენტი და საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტი</b></p>	<p>პიდროლოგიისა და მიწის მართვის დეპარტამენტი შეიმუშავებს წყლისა და მიწის პოლიტიკას, სტრატეგიულ დოკუმენტებს და რეგულაციებს. აგრარული კომიტეტი შეიმუშავებს მარეგულირებელ ბაზას სოფლის მეურნეობის, მიწის მართვისა და ადმინისტრაციისთვის და ხელს უწყობს მიწის პოლიტიკის შემუშავებას.</p>	<p>მიწის მართვისა და ადმინისტრირების პოლიტიკისა და სამართლებრივი ბაზის შემუშავება.</p>
<p><b>საქართველოს შემოსავლების სამსახური და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო</b></p>	<p>შემოსავლების სამსახური აგროვებს მიწის და ყველა სხვა გადასახადს. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ჩართულია მიწის პრივატიზაციაში, მიწის შეფასების და აუქციონზე საწყისი ფასების დადგენის მხრივ და მონაწილეობს მიწის შესაკუთრეთა დაგეგმვაში მიწის ნაკვეთების ურთიერთ გადაფარვასთან ან მიწის შეფასებასთან დაკავშირებით.</p>	<p>მიწის შეფასებისა და დაბეგვრის პრაქტიკის გაუმჯობესება.</p>
<p><b>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო</b></p>	<p>მიწის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას მინათსარგებლობაზე.</p>	<p>მიწის ინვენტარიზაციის განვითარება, მიწის ბალანსისა და მიწის მონიტორინგის ჩათვლით. ნიადაგის დეგრადაციის შემცირება.</p>
<p><b>სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო</b></p>	<p>მართავს სახელმწიფო ქონებას.</p>	<p>სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა და მისი პრივატიზაციის ხელშეწყობა.</p>

წყარო: ავტორები.





Photo: © Gia Abdaladze / World Bank

# 4

## წინსვლა ზრდისა და მდგრადობისკენ

---

სექტორის შედარებით მცირე ზომის მიუხედავად სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სოფლის მეურნეობა ქვეყნის უმსხვილესი დამსაქმებელია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ექსპორტში, მიუხედავად იმისა, რომ მისი წილი მთლიან მშპ-ში მოკრძალებულია. საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერის გასაზრდელად და აცნობიერებს, რომ აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება კონკურენტუნარიანობის, მდგრადობისა და კლიმატმედეგობისა და კლიმატის ზემოქმედების შერბილების გაზრდის მიზნით, როგორც სექტორში მდგრადი ზრდის სტიმულირების საშუალება.

**მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინვესტიციების გაზრდა სოფლის მეურნეობის, წყალის და მიწის სექტორების განვითარებაში.**

მიწა და წყალი სასრული რესურსებია, რომლებზეც დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის წარმოება და პროდუქტიულობა. სოფლის მეურნეობაში არსებული შეზღუდვების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებულია ექსპორტის მაღალ კონცენტრაციასთან, მეურნეობების სტრუქტურასთან, ცოდნის ხარვეზებსა და სუსტ აგროლოგიკასთან, აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი პირობაა სექტორის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ამის პარალელურად საჭიროა, ზომების მიღება წყლისა და მიწის სექტორებში არსებული ძირითადი პრობლემების მოსაგვარებლად. ფერმერებისთვის საიმედო, დროული და მოქნილი ფორმით წყლის რესურსების ხელმისაწვდომობასა და მათ ეფექტურ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო მიწის მოქმედი ბაზრების არსებობასთან ერთად სექტორის ზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მიწის გაუმჯობესებული მართვა და ადმინისტრირება წარმოადგენს მიწის რესურსების მდგრადი და პროდუქტიული მართვის საფუძველს, უზრუნველყოფს მიწის მფლობელობის ხელშეუხებლობას და ხელს უწყობს ინვესტიციებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. დროულობა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებისა და რისკების ზრდის ფაქტორის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ “შემავალი ანგარიშში” ჩამოთვლილი დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფერო მნიშვნელოვანია, ზოგი მათგანის განხორციელება უფრო სასწრაფოა, სხვებთან შედარებით, ზოგიც ტექნიკურად უფრო მზადაა ადგილზე არსებული სათანადო გადანაცვლებების ჩათვლით. #7 გრაფიკზე მოცემულია სოფლის მეურნეობის,

წყლისა და მიწის სექტორების პოლიტიკის სფეროების მიმოხილვა, რომლებიც საქართველოს მთავრობის სექტორალური დაინტერესებული მხარეების მიერ დახარისხებულია მათი „გადაუდებლობის“ და „ტექნიკური მზადყოფნის“ მიხედვით.<sup>34</sup>

**მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სფერო არ იყო მიჩნეული სასწრაფოდ და ტექნიკურად მომზადებულად, ისინი მაინც დარგობრივი პოლიტიკის აქტუალურ სფეროებს წარმოადგენენ და მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება ხედვის ჩამოყალიბებისას. ეს სფეროებია:**

- **სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა ღონისძიებებში ცვლილებების შეტანა, დაეხმარება მთავრობას ამ მიზნების მიღწევაში.** საჯარო მომსახურებებს, როგორცაა კვლევა, ექსტენცია და ტრენინგი, სჭირდება უფრო მეტი ფინანსური ხელშეწყობა; ხოლო სუბსიდირებული სესხებისა და სადაზღვევო პრემიების ხელშეწყობის გზით, კერძო ინვესტიციების სტიმულირების ზომები ხელახლა უნდა გადაისინჯოს.
- **პროგრესის მონიტორინგი და შეფასება აუცილებელია ყველა სექტორში ზრდის შენარჩუნების მიზნით.** სახელმწიფო პროგრამებისა და პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შექმნა ხელს შეუწყობს სამთავრობო პროგრამების განხორციელებასა და მათი ეფექტურობის განმტკიცებას, რადგან შეიქმნება სასარგებლო უკუკავშირი პროგრამის შედეგების შესახებ, გამოვლინდება განხორციელების სირთულეები და იდენტიფიცირებდება მათი გადაჭრის გზები. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პოლიტიკის კორექტირებას და გამოყოფს ხარჯვითი

<sup>34</sup> როგორც ეს განხილული იყო 2021 წლის 19 მაისს ჩატარებულ (ვირტუალურ) ტექნიკურ სემინარზე და დაინტერესებულ მხარეებთან შემდგომი დისკუსიების დროს, 2021 წლის ივნისიდან აგვისტომდე პერიოდში.

**გრაფიკი 7: დარგობრივი პოლიტიკის სფეროების მატრიცა**

	სასწრაფო	ტექნიკურად მზადაა
<b>სოფლის მეურნეობა</b>	<p>სოფლის მეურნეობაში ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა <i>(კონკურენტუნარიანობა)</i></p> <p>აგრობაზრებისა და პროდუქტების დივერსიფიკაცია <i>(კონკურენტუნარიანობა)</i></p>	<p>ცოდნის გავრცელების გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვების გასწვრივ, კლიმატგონივრულობის ჩათვლით <i>(კონკურენტუნარიანობა, კლიმატმედეგობა)</i></p> <p>სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვების ინტეგრაციის გაზრდა <i>(კონკურენტუნარიანობა)</i></p>
<b>წყალი</b>	<p>ირიგაციისა და დრენაჟის ტარიფის სტრუქტურის რეფორმა <i>(მდგრადობა)</i></p> <p>ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე წყლის რესურსებისა და ირიგაციის მართვაში ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება <i>(მდგრადობა)</i></p> <p>ირიგაციისა და დრენაჟის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება <i>(კონკურენტუნარიანობა, კლიმატმედეგობა)</i></p>	<p>ფერმებში წყლის რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება <i>(კონკურენტუნარიანობა, კლიმატმედეგობა)</i></p>
<b>მიწა</b>	<p>მიწის ბაზრების ფუნქციონირების გაუმჯობესება <i>(კონკურენტუნარიანობა)</i></p> <p>მიწის მართვისა და ადმინისტრირების პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება <i>(მდგრადობა)</i></p> <p>მიწის შეფასებისა და დაბეგვრის პრაქტიკის გაუმჯობესება <i>(კონკურენტუნარიანობა)</i></p> <p>მიწის ინვენტარიზაციის, მიწის ბალანსისა და მიწის მონიტორინგის სისტემის შემუშავება <i>(მდგრადობა)</i></p> <p>მიწის დეგრადაციის შემცირება <i>(კლიმატმედეგობა)</i></p>	<p>ქონების რეგისტრაციის პროცესის დასრულება <i>(კონკურენტუნარიანობა)</i></p>

წყარო: ავტორები.

შენიშვნა: გრაფიკი 7 ეყრდნობა 2021 წლის 19 მაისს ჩატარებული (ვირტუალური) ტექნიკური სემინარის შედეგებს და 2021 წლის ივნისსა და აგვისტომდე პერიოდში დაინტერესებულ მხარეებთან შემდგომ დისკუსიებს.

პროგრამების ძირითად ელემენტებს, როგორცაა - მიზნები, პრიორიტეტები და მათ მისაღწევად საჭირო სავარაუდო რესურსები.

— **ადამიანური რესურსების შესაძლებლობების ზრდა საქართველოს მოქალაქეებში ჩადებულ ინვესტიციას წარმოადგენს.**

ძლიერი ადამიანური კაპიტალი აუცილებელია ამ ცვლილებების განსახორციელებლად. შესაძლებლობების ზრდაში ჩადებული ინვესტიციები უზრუნველყოფს პერსონალის სათანადო კვალიფიკაციის პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის დონეზე და მომსახურების მიმწოდებლები (როგორც კერძო, ისე საჯარო) სათანადოდ აღიჭურვებიან.

— **ქალების შესაძლებლობების განვითარებაში ინვესტირება არის პრიორიტეტი, რომელსაც, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდასა და სოფლის განვითარებასთან ერთად, გაცილებით მეტი სარგებელი მოაქვს.**

ქალთა აქტიური მონაწილეობა ეკონომიკაში, საწარმოო აქტივების ფლობა, კონტროლი და მათზე ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, სიღარიბის შემცირებასა და მათი შვილების ცხოვრების გაუმჯობესებას.

**საქართველოს მთავრობას აქვს საჭირო პოტენციალი და ინსტრუმენტები სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციის პროცესის დასაჩქარებლად.** ამ

„შემაჯამებელი ანგარიშში“ მოკლედ არის წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის, წყლისა და მიწის სექტორების მიმართ

კომპლექსური მიდგომის დასაბუთება, რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს, 2030 წლისთვის მიაღწიოს სოფლის მეურნეობის დაგეგმილ წინსვლას. მასში შესწავლილია სამივე სექტორში არსებული შეზღუდვები, შესაძლებლობები და გამოვლენილია ამ ურთიერთდაკავშირებული გამოწვევების ერთობლივად გადასაჭრელად და საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდასაჭერად განსახორციელებელი ქმედებები, წყლისა და მიწის ეფექტური მართვის ჩათვლით. განხორციელების გაადვილების მიზნით, დარგობრივი პოლიტიკის იდენტიფიცირებული სფეროები დახარისხდა იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანის განხორციელება არის „გადაუდებელი“ და რომელია „ტექნიკურად მზად“ სათანადო მოქმედებების დასაწყებად, მათთვის შემუშავდა ეტაპობრივი რეკომენდაციები ხანმოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისთვის. ეს რეკომენდაციები შეიძლება გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობამ სექტორის საინვესტიციო გეგმის გამოხატული საჭიროების კონტექსტში და/ან შეიძლება განხორციელდეს სექტორის ნებისმიერი ძირითადი მონაწილის მიერ (საჯარო და კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება და განვითარების პარტნიორები). „შემაჯამებელი ანგარიში“, ისევე როგორც მისი თანმდევი სექტორული კვლევები, ეფუძნება დაინტერესებულ მხარეებთან ყოვლისმომცველ კონსულტაციებს და იმედია, რომ ამ მრავალგზისმა პროცესმა შექმნა ახალი, უფრო ერთობლივი და თანამშრომლობითი დიალოგი მთავრობასთან, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ძლიერი მომავლის უზრუნველსაყოფად.

**დანართები**

## რძის წარმოების ქვესექტორის კონკრეტული მაგალითის ანალიზი - მყიდველისა და მწარმოებლის წარმატებით ინტეგრირებული გამოცდილება (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021)

**წარმოების აღწერა:** არსებობს ძლიერი კონკურენცია ხარისხიან, საღ რძეზე, რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა ფართო სპექტრს შორის. საქართველოს მთავრობის ახლახან მიღებულმა დებულებამ რძის პროდუქტების ეტიკეტირების მოთხოვნების შესახებ, ხარისხიანი რძის პროდუქტებზე მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნასთან ერთად, ხელი შეუწყო საღ რძეზე მოთხოვნის ზრდას. საღი რძის მყიდველები არიან მსხვილი გადამამუშავებლები, შუამავლები (აგრეგატორები) და მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებლები. გადამამუშავებლები რძის პროდუქტების მრავალ ნაირსახეობას აწარმოებენ. მსხვილი გადამამუშავებლები ძირითადად დაკავებული არიან ხაჭოს, რძის, არაჟნისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოებით, ხოლო მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებლები ძირითადად ყველის წარმოებაში არიან ჩართულები.

### — კოორდინაციის/თანამშრომლობის შეთანხმებები - მსხვილი

**გადამამუშავებლები:** მსხვილი გადამამუშავებელი კომპანიების მიერ წარმოებულ რძის პროდუქტებზე მოთხოვნა სტაბილური და მაღალია. ასევე, მათ აქვთ საკმარისი საბაზრო უპირატესობა, რათა გადახდის პირობებზე მოლაპარაკება აწარმოონ შემდგომ მოთამაშებთან და არ ექნებათ მნიშვნელოვანი სირთულეები დებიტორული დავალიანების ამოღებისას. რძის პროდუქტების მსხვილი გადამამუშავებლები საქმიანობას მეტწილად მსხვილ ფერმერებთან აწარმოებენ.

მსხვილ მომწოდებლებს შეუძლიათ სტაბილური ხარისხის პროდუქტების დიდი მოცულობით მიწოდება. გარდა ამისა, საოპერაციო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკებებთან, ხარისხის მონიტორინგთან და რძის შეგროვებასთან, ნაკლებია, თუ კომპანია მუშაობს მცირე რაოდენობის მსხვილ ფერმერებთან. რძის პროდუქტების მსხვილ გადამამუშავებლებთან თანამშრომლობისთვის, რძის მწარმოებელმა ფერმერებმა უნდა განახორციელონ ინვესტიციები მეცხოველეობასა და ფერმის ინფრასტრუქტურაში, როგორცაა რძის სანველი აპარატები, რძის სანველი დარბაზები და გამაცივებელი ავზები. მცირე ფერმერებს არ შეუძლიათ მსგავსი ინვესტიციების განხორციელება, არ აწარმოებენ კოლექტიურ საქმიანობას და შედეგად, კარგავენ მსხვილ გადამამუშავებლებთან უშუალოდ მუშაობის შესაძლებლობას.

### — საქმიანობა დაფუძნებულია ოფიციალურ წერილობით

**ხელშეკრულებებზე.** მხარეებს შორის ხელშეკრულებები განსაზღვრავს მხარეთა პასუხისმგებლობებს, მათ შორის ხარისხისა და მოცულობის მოთხოვნებს, გადახდის პირობებს, პასუხისმგებლობების დარღვევისთვის ჯარიმებს, პროდუქტის შეგროვების პერიოდსა და დავის გადანწყვეტის მექანიზმებს. როგორც წესი, ხელშეკრულებების ვადა ერთი წელია და ექვემდებარება განახლებას. ხელშეკრულებები აკონკრეტებს ფასებს და სტიმულს აძლევს რძის

ფერმერებს მიიღონ ფასზე დანამატი დადგენილ ზღვრებზე მეტი ხარისხისა და მიწოდების მოცულობის შემთხვევაში. ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ფერმერებისთვის რაიმე რესურსის მიწოდებას და წარმოადგენს წმინდა კომერციულ კონტრაქტს პროდუქტის მიწოდებელსა და მყიდველს შორის. რძის ფერმეებში რეგულარულად ჩატარებული შემონმებისას, საჭიროების შემთხვევაში კომპანიის წარმომადგენლები, რძის მწარმოებელ ფერმერებს აძლევენ რეკომენდაციებს რძის ფერმეებში წარმოების პროცესების ამა თუ იმ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

- **კოორდინაციის/თანამშრომლობის შეთანხმებები – მცირე და საშუალო გადამამუშავებლები:** მცირე და საშუალო გადამამუშავებლების შემთხვევაში მცირე და საშუალო ფერმერებთან ურთიერთობები ეფუძნება ნდობას არაფორმალური შეთანხმებების საფუძველზე, ხოლო სალი რძის შექმნა ხდება რძის მწარმოებელი ფერმერებისათვის პირდაპირი ან შუამავლების, აგრეგატორების მეშვეობით ადგილზე ნაღდი ანგარიშსწორებით, საღ რძეზე მაღალი კონკურენციის გათვალისწინებით, ზოგიერთი კომპანია რძის ფერმერებს ეხმარება, არ მოაკლდეთ მეცხოველეობის საკვები, რათა უზრუნველყონ სალი რძის უწყვეტი მოწოდება. მსხვილი გადამამუშავებლებისგან განსხვავებით, მცირე და საშუალო გადამამუშავებლების მიერ წარმოებულ რძის პროდუქტებზე მოთხოვნა არ არის სტაბილური. მოთხოვნის ცვალებადობამ და შემდგომი მოთამაშების მიერ, რძის პროდუქტების გადამამუშავებლებისთვის გადახდების ხშირმა დაგვიანებამ გამოიწვია მცირე და საშუალო ზომის გადამამუშავებლების მიერ ფერმერებისთვის გადახდების უფრო მეტად დაგვიანება. მცირე და საშუალო რძის გადამამუშავებლებს არ

გააჩნიათ ადამიანური და ფინანსური რესურსები კონტრაქტების პირობებზე მოლაპარაკების, მწარმოებლის დონეზე წარმოების პრაქტიკის, ხარისხის მონიტორინგისა და ხელშეკრულების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

**რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ერთ-ერთი მსხვილი კომპანია, გარდა იმისა, რომ საღ რძეს უშუალოდ მსხვილი ფერმერებისგან იძენს, სალი რძის მოწოდებას უზრუნველყოფს საკუთარი რძის შემგროვებელი ცენტრების მეშვეობით.** რამდენიმე წლის წინ, ფერმერების მარკეტინგული ორგანიზაციის არარსებობისა და მხოლოდ რამდენიმე მსხვილი რძის ფერმის არსებობის გამო, ამ კომპანიამ ქვეყნის მასშტაბით დააარსა რძის შემგროვებელი ცენტრები, რძის პროდუქტების მწარმოებელ ძირითად რეგიონებში. აუთსორსინგის ეს მიდგომა საშუალებას აძლევს გადამამუშავებელს, შეამციროს საოპერაციო ხარჯები და უზრუნველყოს ნედლეულის ხარისხი, ხოლო მცირე და საშუალო ფერმერებს ეხმარება ორგანიზებული ბაზრების წვდომაში. რძის შეგროვების ცენტრების ეს მოდელი ხელს უწყობს მიწოდების ჯაჭვის მექანიზმების გავრცელებას და მასში მცირე მწარმოებლების ჩართვას. პრაქტიკის სრულყოფის მიზნით მცირე და საშუალო რძის შემგროვებელი ცენტრებისთვის დახმარების განევა, რათა გახდნენ მსხვილი გადამამუშავებლებისათვის კვალიფიციური მიმწოდებლები, მეტად გაზრდის ხარისხიან და უვნებელ საღ რძეზე ხელმისაწვდომობას და გააუმჯობესებს ფულადი სახსრების შემოდინებას, როგორც რძის შეგროვების ცენტრებისთვის, ასევე მათ მიმწოდებელ მცირე და საშუალო ფერმერებისთვის. რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის დამატებითი მხარდაჭერა, ერთიანი მარკეტინგული სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვასთან ერთად შეიძლება მოიცავდეს, ხარისხზე დაფუძნებული ფასების სქემების ხელშეწყობასა და ამოქმედებას.



## ხორცისა და საღვინე ყურძნის ქვესექტორების კონკრეტული მაგალითების ანალიზი – საკონტრაქტო ფერმერობის გამოცდილება (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021)

### ხორცი (მსხვილფეხა საქონლის)

**წარმოების აღწერა:** მიუხედავად იმისა, რომ ცხოველთა გაყიდვა თავისუფალია რეგულაციებისგან, მსხვილფეხა საქონლის ხორცის გაყიდვა ბაზარზე მოხვედრამდე, მოითხოვს ცხოველთა დაკვლას რეგისტრირებულ სასაკლაოებზე. მსხვილფეხა საქონლის ხორცის პირველადი წარმოება კონცენტრირებულია მცირე მწარმოებლებს შორის. გაჩნდა რამდენიმე საშუალო და მსხვილფეხა საქონლის ხორცის მწარმოებელი ფერმერი, მაგრამ მათი წილი სექტორში ჯერ კიდევ არ არის მნიშვნელოვანი. მეცხოველეობას ახასიათებს მაღალი არაეფექტიანობა, განსაკუთრებით მსხვილფეხა საქონლის კვებისა და წონამატის თვალსაზრისით.

### კოორდინაციის/თანამშრომლობის

**შეთანხმებები:** ცოცხალი მსხვილფეხა საქონლისა და საქონლის ხორცის ბაზარი ხასიათდება ნაღდი ფულის ადგილზე ანგარიშსწორებით, რომელშიც მონაწილეობს მრავალი მცირე, სპეციალიზებული და ორგანიზებული შუამავალი. ფასები დადგენილი არ არის; ფასებზე მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურად და ძირითადად ეყრდნობიან არაფორმალურ შეთანხმებებს.

**ქვეყნაში სასაკლაოების უმეტესობა, მხოლოდ სასაკლაო მომსახურებას უწევს მესაქონლეებსა და შუამავლებს.** მსხვილფეხა საქონლის მიწოდება ეფუძნება მარტივი შესყიდვის ხელშეკრულებებს და არ არსებობს ოფიციალური კონტრაქტები გამყიდველებსა და მყიდველებს შორის. ყველა მიმწოდებელს, ანაბლაურებას უხდინა საქონლის მიწოდებისთანავე.

სასაკლაოები მომწოდებლებს არ აწვდიან საწარმოო საშუალებებს. ნებისმიერი კატეგორიის მომწოდებლებისგან მსხვილფეხა საქონლის შესყიდვის მთავარი გამონკვევა არის ხარისხი (მიმწოდებლების მიერ გაყიდული მსხვილფეხა საქონლის წონა არ შეესაბამება დაკვლის მოთხოვნებს).

### მსხვილფეხა საქონლის ორ მყიდველს, რომელთაც გამოკითხვა ჩაუტარდათ, პქონდათ უარყოფითი გამოცდილება კონტრაქტის საფუძველზე მომუშავე ფერმერულ მეურნეობასთან დაკავშირებით:

პირველი მყიდველი იყო გადამამუშავებელი კომპანია, რომელიც ჩაერთო მაღალი ღირებულების ხორცპროდუქტების წარმოებაში. მეორე მყიდველი იყო სასაკლაოს ოპერატორი, რომელიც მესაქონლე ფერმერებისთვის დაკვლის მომსახურების გარდა, ფერმერებისგან, ასევე იძენდა ცოცხალ მსხვილფეხა საქონელს გასასუქებლად.

**პირველ მყიდველს, გადამამუშავებელ კომპანიას, აქვს ვერტიკალურად სრულად ინტეგრირებული ოპერაციები, მათ შორის პირველადი წარმოება, კვლევა და მოშენება, სასაკლაოების ოპერაციები, გადამამუშავება, ლოგისტიკური/სადისტრიბუციო მომსახურება და საცალო გაყიდვები.** კომპანიამ ასევე დაიწყო საკონტრაქტო ფერმერობის სქემა, რომლის მიზანი იყო, საქონლის ხორცის მოშენების ჯანსაღი პრაქტიკის ხელშეწყობა, ერთგვაროვანი ხარისხის პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და გადამამუშავებელი საწარმოს შესაძლებლობების გამოყენების გაზრდა. სქემაში 20 ფერმერი იყო ჩართული. კომპანიამ მხარი დაუჭირა

სქემის მონაწილეებს სოფლის მეურნეობის თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და საბანკო სესხების მოპოვებაში. ის ასევე უზრუნველყოფდა ფერმერებს მსხვილფეხა საქონლით, უფასო ვეტერინარული და ცხოველების სანაშენე მომსახურებით, აგრეთვე ნასუქი მსხვილფეხა საქონლის რეალიზაციით. გარდა ამისა, კომპანიამ ფერმერებს გადასცა, მეცხოველეობის საკვების დამამზადებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სახსრები მეცხოველეობის საქმიანობისთვის და ახდენდა მონოდებული ნასუქი საქონლის ხარისხზე დაფუძნებულ შესყიდვას. შეთანხმების საფუძველზე, ფერმერების მთელი ინფრასტრუქტურა შვიდი წლის განმავლობაში ფერმერების საკუთრებაში გადადიოდა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, 20 ფერმერიდან 17-მა ვერ შეასრულა კომპანიისთვის საქონლის მიწოდების ვალდებულება. ამ საკონტრაქტო ურთიერთობების სქემის წარუმატებლობა განსაზღვრა ორმა ძირითადმა ფაქტორმა: სქემაში მონაწილეთა არასწორმა გამოვლენამ და შერჩევამ; და ფერმერებისთვის, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფამ.

### **მეორე მყიდველმა, სასაკლავო ოპერატორმა, გააფორმა ოფიციალური წერილობითი ხელშეკრულებები მეცხოველეობის ფერმერებთან.**

სასაკლავო ოპერატორი, ფერმერებს უფასოდ აწვდიდა საქონლის საკვებისა და მარცვლეულის დაღერღვის მომსახურებას და უფლება მისცა მონაწილეობა მიეღოთ მეცხოველეობის ბაზრის გარიგებებში ყოველგვარი გადასახადის გარეშე. მიღებული ინფორმაციის თანახმად, მესაქონლე ფერმერები ხშირად სასაკლავო ოპერატორის გვერდის ავლით ჰყიდდნენ საქონელს, რის გამოც სასაკლავო ოპერატორმა შეწყვიტა საკონტრაქტო ურთიერთობა ფერმერებთან და ფერმერებისგან არაფორმალური არხებით, შეაგროვა დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო მეურნეობის მიმართ ინტერესი გამოთქვეს მეცხოველეებმა. საკონტრაქტო ფერმერობის ასპექტები, რომლებიც მათთვის მიმზიდველი იყო, გულისხმობდა პროგნოზირებად ბაზრებს, საკვებზე გაუმჯობესებულ ხელმისაწვდომობასა და ფერმერულ საქმიანობაზე კონცენტრირების შესაძლებლობას.

### **საღვინე ყურძენი**

**წარმოების აღწერა:** საქართველოს მთავრობა ახორციელებს „ყურძნის ფასის სუბსიდირების პროგრამას“, ხოლო პროგრამაში მონაწილე ღვინის ქარხნები საჭირო ნედლეულის უმეტეს ნაწილს მცირე და საშუალო ფერმერებისგან იღებენ. ფერმერები ყურძენს ყიდიან, როგორც ცალკეულ ინდივიდუალურ მომხმარებლებზე, ასევე ღვინის ქარხნებზეც. ინდივიდუალური მომხმარებლები ყიდულობენ ყურძენს ფერმერებისგან და ამზადებენ ღვინოს საკუთარი და თავიანთი ოჯახის ნევრების მოხმარებისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, ხშირად ცალკეულ პირებზე გაყიდული ყურძნის ხარისხი ბევრად ჯობდა ღვინის ქარხნებისათვის მიწოდებული ყურძნის ხარისხს.

**კოორდინაციის/თანამშრომლების შეთანხმებები:** საღვინე ყურძნის მწარმოებლებსა და ღვინის ქარხნებს შორის გარიგებები ეფუძნება ადგილზე გადახდებს. ყურძნის მწარმოებლები ყიდიან „სპოტ“ ბაზრებზე/რეალური საქონლის ბაზრებზე, ხოლო მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ტრანზაქციები დამოკიდებულია მხოლოდ ფასზე და არ იღებს სხვა ვალდებულებებს. ღვინის ქარხნების მთავარი გამოწვევა არის ის, რომ ისინი ყოველთვის ვერ ასრულებენ ნედლეულით მომარაგების თავიანთ გეგმებს, რადგან არ შეუძლიათ მცირე ფერმერებისგან მიიღონ სასურველი ხარისხის ყურძენი (მაგალითად,

შაქრის შემცველობის, ობისა და კონსისტენციის თვალსაზრისით). ამ პრობლემის გადასაჭრელად მეღვინეები თანამშრომლობის ხელშეკრულებებს დებენ მსხვილ მევენახეებთან. ეს გარიგებები ემყარება ნდობასა და არაოფიციალურ შეთანხმებებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ღვინის ქარხნები ნაღდ ფულს ავანსად უხდიან ყველაზე სანდო ფერმერებს, რათა მათ შეძლონ საკუთარი აგრონომიული საქმიანობის დაფინანსება. ზოგიერთი ღვინის ქარხანა ყურძნის წარმოებასა და მოსავალზე მეტი კონტროლის მიზნით ასევე ვერტიკალურად არის ინტეგრირებული.

**ყურძნის მწარმოებლების ფოკუს-ჯგუფთან დისკუსიებისა და ღვინის ქარხნებთან ინდივიდუალური ინტერვიუების საფუძველზე, გაირკვა, რომ საკონტრაქტო ფერმერობა ერთ-ერთმა ღვინის ქარხანამ რამდენიმე წლის წინ დანერგა. ფერმერები უზრუნველყვეს საწარმოო საშუალებებითა და მათ აიღეს ვალდებულება ღვინის ქარხნისათვის მიენოდებინათ კონკრეტული მოცულობისა და ხარისხის ყურძენი. მიუხედავად ამისა, ეს ვალდებულება არ შესრულდა. ეს იყო უარყოფითი გამოცდილება სექტორში, რომელმაც გამოიწვია სკეპტიციზმი საკონტრაქტო ფერმერობის მიმართ.**

## თხილის ქვესექტორის კონკრეტული მაგალითის ანალიზი – მწარმოებელი ორგანიზაციის გამოცდილება (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021წ.)

**წარმოების აღწერა:** ხარისხიანი თხილის შესაძენად მყიდველებს შორის არის დიდი კონკურენცია. თხილის მყიდველები არიან გადამამუშავებელი კომპანიები, შუამავლები და ყველა სახის აგრეგატორები. თხილს სხვადასხვა ტიპის ფერმერები აწარმოებენ, თუმცა წარმოება კონცენტრირებულია ძირითადად მცირე და საშუალო ფერმერებს შორის.

**კოორდინაციის/თანამშრომლობის შეთანხმებები:** თხილის მწარმოებლებსა და გადამამუშავებელ კომპანიებს შორის გარიგებები დაფუძნებულია ადგილზე გადარიცხვებზე და მოითხოვს ნაღდი ფულის ანგარიშსწორებას. თხილის მწარმოებლების მოზიდვისა და უკეთესი ხარისხის თხილის შესაძენად, ზოგიერთმა გადამამუშავებელმა კომპანიამ შეიმუშავა სტრატეგია და შემოიღო დასაწყობება/შენახვის მომსახურება საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის და ფერმერთა ჯგუფებისათვის, სადაც მწარმოებლები თხილს აწვდიან მოსავლის აღების შემდეგ. გარდა ამისა, გადამამუშავებელი კომპანიები აწარმოებენ მიწოდებული პროდუქტების ანალიზს, ტენიანობის შემცველობაზე, გამოსავლიანობასა და შიდა ობიანობაზე. გადამამუშავებლების მიერ შემოთავაზებული პირობები ხელსაყრელია ფერმერებისთვის, რომლებიც ირჩევენ თავიანთი პროდუქციის არასეზონურ გაყიდვას და უფრო მაღალი შემოსავლის მიღებას. გადამამუშავებელი კომპანიები პასუხისმგებლები არიან შეინარჩუნონ ხარისხი დასაწყობების პერიოდში. ფერმერებს, რომლებიც ინახავენ თხილს გადამამუშავებლების სასაწყობე ობიექტებზე თავისუფლად შეუძლიათ გადანყვიტონ, როდის, სად და ვის მიჰყიდონ თავიანთი პროდუქტი და ექვემდებარებიან

შენახვის მომსახურების საფასურის გადახდას მხოლოდ მას შემდეგ, რაც თხილი დატოვებს საწყობს ან შეიცვლის მესაკუთრეს. ზოგიერთ შემთხვევაში, გადამამუშავებელი კომპანიები არ ახდენენ მომსახურების საფასურს, თუ ფერმერი გადანყვიტს, რომ მათ მიჰყიდოს თავისი პროდუქტი.

**ფერმერები, რომლებიც არიან საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის (GHGA) წევრები თავიანთი პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვან მომსახურებას, მათ შორის საკონსულტაციო, მოსავლის აღების შემდგომი მოვლა (გასუფთავება და გაშრობა) და შენახვა-დასაწყობება.**

2021 წელს საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციამ კომერციულ ბანკთან თანამშრომლობით შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, რათა ხელსაყრელი ვადებითა და პირობებით გააუმჯობესოს მწარმოებლების ხელმისაწვდომობა ხარისხიან საწარმოო საშუალებებზე. უფრო მეტიც, საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია, მიწოდებული თხილის ხარისხიდან გამომდინარე ასევე უზრუნველყოფს მწარმოებლების მოტივაციას დადგენილ ზღვარს ზემოთ ფასზე დანამატის სახით. მწარმოებლებსა და საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციასთან დაკავშირებულ მყიდველებს შორის გარიგებები მოიცავს შესყიდვის ხელშეკრულებებს, რომლებიც მხოლოდ წონასა და ფასს ეფუძნება.

**თხილის სხვა მყიდველებს შორის არიან შუამავლები და შემგროვებლები.**

შუამავლებზე პროდუქტს ჰყიდიან „ადგილზე“ ბაზარზე და გარიგებები არ გულისხმობს რაიმე გრძელვადიან ვალდებულებებს და დამოკიდებულია მხოლოდ ფასზე. შუამავლები მობილური, სოფლად მცხოვრები ოპერატორები არიან და თხილს ადგილობრივი მწარმოებლებისგან ყიდულობენ. ისინი არ ექვემდებარებიან რაიმე რეგულაციას (მაგ. სურსათის უვნებლობა, მიკვლევადობა, გადასახადები და ა.შ.), არ გააჩნიათ ადეკვატური სასაწყობე საშუალებები, არ ინარჩუნებენ თხილის ხარისხს და იყენებენ არასტანდარტულ სასწორებსა და საზომებს. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, შუამავლები დადებით როლს ასრულებენ, რადგანაც ხელს უწყობენ კავშირებს მცირე ფერმერებსა და თხილის გადამამუშავებლებს შორის. როგორც შუამავლებთან კონკურენციის სტრატეგია, ზოგიერთი გადამამუშავებელი

კომპანია გეგმავს, თხილის წარმოების ძირითადი არეალის სიახლოვეს, მცირე ზომის შესანახი/სასაწყობე სათავსოების მოწყობასა და მცირე მწარმოებლებთან პირდაპირი კავშირების დამყარებას. მცირე მწარმოებლებს, თავიანთი პროდუქციის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, უადვილდებათ პროდუქციის გაყიდვა შუამავლებზე, რომლებიც იმავე სოფელში მუშაობენ, ვიდრე გადამამუშავებელ საწარმომდე პროდუქციის შედარებით შორ მანძილზე ტრანსპორტირება.

**არც გადამამუშავებელმა კომპანიებმა და არც თხილის მწარმოებლებმა არ გამოხატეს საკონტრაქტო ფერმერობით დაინტერესება.** რაც შეეხება ურთიერთობების არსებულ პრაქტიკას, ის ორივე მხარემ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

# გამოყენებული ლიტერატურა

Ahouissoussi, Nicholas; James E. Neumann, and Jitendra P. Srivastava. 2014. *Building Resilience to Climate Change in South Caucasus Agriculture*. Directions in Development: Agriculture and Rural Development. Washington, DC: World Bank. <http://documents.worldbank.org/curated/en/193691468012673593/Building-resilience-to-climate-change-in-South-Caucasus-agriculture>.

აზიის განვითარების ბანკი (ADB). 2020. შემოთავაზებული სესხები და ტექნიკური დახმარების გრანტი - საქართველო: წყლის რესურსების სექტორის განვითარების პროგრამა. პროექტის დოკუმენტი.

აზიის განვითარების ბანკი. 2014. საქართველო: ქვეყანასთან თანამშრომლობის სტრატეგია (2014-2018). აზიის განვითარების ბანკი. <https://www.adb.org/documents/georgia-country-partnership-strategy-2014-2018>.

ჭითანავა, ნ. 2020. „მინის რესურსების მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების თავისებურებები საქართველოში.“ ბიზნესი და კანონი. ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულად. <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/696>.

EEA (გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო). 2020. Water Availability, Surface Water Quality and Water Use in the Eastern Partnership Countries. EEA Report No. 14/2020, European Environmental Agency.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). 2008. *ქვეყნის პროფილი - საქართველო*. (FAO Aquastat).

Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). 2012. *Voluntary Guidelines on the Responsible Governance of Tenure of Land, Fisheries and Forests in the Context of National Food Security*. Rome, Italy. <http://www.fao.org/3/i2801e/i2801e.pdf>.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). 2018a. გენდერი, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება საქართველოში - ქვეყანაში გენდერული მდგომარეობის შეფასების სერია. რომი, გვ. 80, ლიცენზია: CC BY-NC-SA 3.0 IGO

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). 2018b. „საქართველო თვალის ერთი გადავლევით“. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია საქართველოში. <http://www.fao.org/georgia/fao-in-georgia/georgia-at-a-glance/en/#:~:text=Georgia%20has%20favorable%20climatic%20and,area%20is%20covered%20with%20forest>.

Food and Agriculture Organization of the United Nations. 2019. Irrigation in the Middle East Region in Figures. Aquastat Survey 2008. Rome, Italy. <http://www.fao.org/3/i0936e/i0936e00.pdf>.

- Food and Agriculture Organization of the United Nations. 2020. Evaluation of FAO's Contribution to Georgia 2016-2019. Country Programme Evaluation Series, 03/2020. Rome. <https://doi.org/10.4060/ca8257en>.
- FAO, WFP, UNECE, UNICEF, WHO, WMO. 2021. *Regional Overview of Food Security and Nutrition in Europe and Central Asia 2020: Affordable Healthy Diets to Address All Forms of Malnutrition for Better Health*. Rome. FAO, WFP, UNECE, UNICEF, WHO and WMO. <https://doi.org/10.4060/cb3849en>.
- აგრედიტაციის ცენტრი (GACo). 2021. სტატისტიკა. საქართველოს მელიორაციის ვებგვერდი. <https://www.ag.ge/En/Statistic/>.
- საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. 2020. „მინის რესურსების მართვა“. ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულად.
- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA). 2018. ბიზნეს-ქეისის შესწავლა. რძის სექტორი საქართველოში. [https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2019/03/კვლევა-2-Business-Case-Study-Dairy-Sector-in-Georgia\\_eng.pdf](https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2019/03/კვლევა-2-Business-Case-Study-Dairy-Sector-in-Georgia_eng.pdf).
- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA). 2020. COVID-19-ის ზემოქმედება ფერმერებსა და სოფლის მეურნეობაზე. [https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2020/04/GFA\\_COVID-19IMPACT\\_ENG\\_compressed\\_min\\_reduce\\_reduce-1.pdf](https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2020/04/GFA_COVID-19IMPACT_ENG_compressed_min_reduce_reduce-1.pdf).
- საქსტატი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). 2021. <https://www.geostat.ge/en>.
- საქართველოს მთავრობა. 2020. სამთავრობო პროგრამა 2021-2024: „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.
- Herforth, Anna; and Terri J. Ballard. 2016. “Nutrition Indicators in Agriculture Projects: Current Measurements, Priorities and Gaps”. *Global Food Security*. <https://doi.org/10.1016/j.gfs.2016.07.004>.
- Hollinger, F.; and L. Rutten. 2009. The Use of Warehouse Receipt Finance in Agriculture in ECA Countries. Technical background paper for the World Grain Forum 2009. St. Petersburg / Russian Federation, June 6-7, 2009. FAO World Bank Cooperative Programme, and FAO EBRD Cooperative Programme.
- ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (IEA). 2020. საქართველო 2020. ენერგეტიკული პოლიტიკის მიმოხილვა. ქვეყნის ანგარიში
- Imburgia, Laura; Henny Osbahr, and Sarah Cardey. 2020. “Inclusive Participation, Self-governance, and Sustainability: Current Challenges and Opportunities for Women in Leadership of Communal Irrigation Systems”. *Nature and Space*, 0(0) 1-29. <https://doi.org/10.1177/251484862093471>.
- ISET Policy Institute. 2016. Regulatory Impact Assessment (RIA) of Draft Irrigation/Drainage Tariff Methodology. <https://drive.google.com/file/d/1QHZnsXBtys6wm1YP2CUOpjYcdCinHKrj/view>.
- ISET Policy Institute. 2018. Agricultural Land Registration Reform in Georgia. International School of Economics at TSU.
- ISET Policy Institute. 2020. Regulatory Impact Assessment of the Draft Law on Soil Protection. International School of Economics at TSU.
- Kakulia, N. 2017. Size and Sector Effects in the Performance of Agricultural Cooperatives. ENPARD I Consortia Joint Closure Event.

კოჭლამაზაშვილი, ი. 2017. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების 4-წლიანი განვითარება საქართველოს მასშტაბით, კოოპერატივების ყოველწლიური კვლევის წინასწარი შედეგები. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2015. საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მიმართ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2017a. „საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა“.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2017b. „საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგია. საქართველოს მელიორაცია. <http://www.ag.ge/Download/Files/260>

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2017c. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (ან „საქართველო 2020“).

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2019. „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021–2027 წწ.“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2021. საქართველოს მთავრობა. საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მიმართ.

Morris, Michael; Ashwini Rekha Sebastian, Viviana Maria Eugenia Perego, John D. Nash, Eugenio Diaz-Bonilla, Valeria Pineiro, David Laborde, Thomas Timothy Chambers, Pradeep Prabhala, Joaquin Arias, Carmine Paolo De Salvo, and Miriam Elizabeth Centurion. 2020. *Future Foodscapes: Re-imagining Agriculture in Latin America and the Caribbean*. Washington, D.C.: World Bank Group.

Najjar, Dina; Bipasha Baruah, and Aman El Garhi. 2019. “Women, Irrigation and Social Norms in Egypt: ‘The More Things Change, The More They Stay the Same’”. *Water Policy* 21 (2019) 291-309. <https://doi.org/10.2166/wp.2019.154>.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. 2021. საჯარო აუქციონების მონაცემები. <http://nasp.gov.ge/>

Nelson, Sibyl; and Sophia Huyer. 2016. A Gender-Responsive Approach to Climate-Smart Agriculture: Evidence and Guidance for Practitioners. Practice Brief. Global Alliance for Climate Smart Agriculture (GACSA).

OECD (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია). 2018. *Facilitating the Reform of Economic Instruments for Water Management in Georgia*. OECD Studies on Water. OECD. Paris. <http://dx.doi.org/10.1787/9789264281776-en>.

OECD (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია). 2020. OECD Investment Policy Reviews: Georgia. OECD Investment Policy Reviews. OECD: Paris. [https://www.oecd-ilibrary.org/finance-and-investment/oecd-investment-policy-reviews-georgia\\_0d33d7b7-en](https://www.oecd-ilibrary.org/finance-and-investment/oecd-investment-policy-reviews-georgia_0d33d7b7-en)

OECD (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია). 2021a. Agricultural Policy Monitoring and Evaluation 2021: Addressing the Challenges Facing Food Systems. OECD: Paris. <https://doi.org/10.1787/2d810e01-en>



- OECD (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია). 2021b. Sustainable Infrastructure for Low-Carbon Development in the EU Eastern Partnership: Hotspot Analysis and Needs Assessment. Green Finance and Investment. OECD: Paris. <https://doi.org/10.1787/c1b2b68d-en>.
- საქართველოს პარლამენტი. 2010a. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. მუხლი 204.
- საქართველოს პარლამენტი. 2010b. კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ.
- საქართველოს პარლამენტი. 2019a. საქართველოს კანონი საალსრულებო წარმოებათა შესახებ.
- საქართველოს პარლამენტი. 2019b. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მინის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/en/document/view/4748388?publication=0>
- საქართველოს პარლამენტი. 2020. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
- PwC Georgia (PricewaterhouseCoopers Georgia LLC). 2020. Georgian Business in the Face of the Covid-19 Pandemic. In cooperation with Investors Council
- Quisumbing, Agnes R. 1994. Improving Women’s Agricultural Productivity as Farmers and Workers. Education and Policy Department. ESP Discussion Paper Series. World Bank. Washington DC.
- Divanbeigi, Raian; Nina Paustian, and Norman Loayza. 2016. Structural Transformation of the Agricultural Sector: A Primer. Research & Policy Briefs. World Bank Group. Washington, DC.
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი. 2021. სახელმძღვანელოები და გაკვეთილები სოფლის მეურნეობის ღირებულების ჯაჭვის კოორდინაციის მხარდაჭერის გაზრდისთვის საქართველოში; “შემაჯამებელი ანგარიში”. სოფლის მეურნეობის, მინის და წყლის სექტორების დარგობრივი პოლიტიკის ფარგლებში მომზადებული ტექნიკური ანგარიში, საქართველოში მდგრადი აგროსასურსათო სისტემების მასშტაბების გაზრდის მიზნით (P175705). სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი.
- Samberg, Leah H., James S. Gerber, Navin Ramankutty, Mario Herrero, and Paul C. West. 2016. “Subnational Distribution of Average Farm Size and Smallholder Contributions to Global Food Production.” *Environmental Research Letters* 11 124010.
- SDG ICG (საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნების უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნო). 2020. მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების ანგარიში. ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.
- Shatberashvili, N.; Rucevska, I.; Jørstad, H.; Artsivadze, K.; Mehdiyev, B.; Aliyev, M.; Fayvush, G.; Dzneladze, M.; Jurek, M.; Kirkfeldt, T. & Semernya, L. 2015. *Outlook on Climate Change Adaptation in the South Caucasus Mountains*. United Nations Environment Programme, GRID-Arendal and Sustainable Caucasus. Nairobi, Arendal and Tbilisi. [www.grida.no](http://www.grida.no), [www.unep.org](http://www.unep.org), [www.sd-caucasus.com](http://www.sd-caucasus.com)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ხაზინა. 2021. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მონაცემთა ბაზა. ხელმისაწვდომია: <http://treasury.ge/5669>

CIAT and World Bank. ND. *Future topics not listed in decision 4/CP.23 and views on the progress of the Koronivia Joint Work on Agriculture in order to report to the Conference of the Parties as per decision 4/CP.23, paragraph 4.* <https://www4.unfccc.int/sites/SubmissionsStaging/Documents/202111032230--World%20Bank%20-%20CIAT%20Submission%20on%20Koronivia%20Joint%20Work%20on%20Agriculture%2003-11-2021.pdf>

თევდორაძე, ლ.; აბურდული და გ.პაპავა. 2020 წელი. „გამონწვევები და პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (განსაკუთრებით ქალების ბიზნესების შემთხვევაში) COVID-19 პანდემიის დროს და მის შემდეგ“. პოლიტიკის დოკუმენტი. CARE და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა.

UN (United Nations). 2012. Water and Gender. World Water Development Report.

UN. 2015. A Strategic Guide to Develop and Strengthen National Geospatial Information Management. Integrated Geospatial Information Framework. <http://ggim.un.org/meetings/ggim-committee/8th-session/documents/part%201-igif-overarching-strategic-framework-24july2018.pdf>

UN. 2021. Food Systems Summit 2021. <https://www.un.org/en/food-systems-summit/about>.

UN Comtrade. 2021. International Trade Statistics Database. <https://comtrade.un.org>

UNECE (United Nations Economic Commission for Europe). 2016. Environmental Performance Review of Georgia. Third Review Synopsis. [https://unece.org/DAM/env/epr/epr\\_studies/ECE\\_CEP\\_177.pdf](https://unece.org/DAM/env/epr/epr_studies/ECE_CEP_177.pdf)

Powell, Anamaria Golemac; Maka Chitanava, Natia Tsikvadze, Nestan Gaprindashvili, David Keshelava, and Mariam Lobjanidze. 2020. Gender Impact Assessment of the State Programme Plant the Future. Academic Paper. UNWomen and თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა Policy Institute.

USAID (United States Agency for International Development). 2016. Regulatory Impact Assessment (RIA) of Draft Irrigation/Drainage Tariff Methodology. USAID Governing for Growth (G4G) in Georgia.

van Koppen, Barbara C.M. 2002. A Gender Performance Indicator for Irrigation: Concepts, Tools and Applications. International Water Management Institute, IWMI Research Report 059. [http://www.iwmi.cgiar.org/Publications/IWMI\\_Research\\_Reports/PDF/pub059/Report59.pdf](http://www.iwmi.cgiar.org/Publications/IWMI_Research_Reports/PDF/pub059/Report59.pdf)

Vasavada, Shilpa. 2005. "Mainstreaming Gender Concerns in Participatory Irrigation Management: The Role of AKRSP(I) in South Gujarat". In Sara Ahlmed, ed. *Flowing Upstream*. Foundation Books. <https://doi.org/10.1017/UPO9788175968776>

World Bank Group. 2007. Agriculture for Development. World Development Report 2008. Washington, DC. World Bank. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/5990> License: CC BY 3.0 IGO.

World Bank Group. 2012. Enhancing the Role of Women in Water User Associations in Azerbaijan. World Bank Group.

World Bank Group. 2015a. Ending Poverty and Hunger by 2030: An Agenda for the Global Food System. Washington, D.C.: World Bank.

World Bank Group. 2015b. Future of Food: Shaping a Climate-Smart Global Food System. World Bank, Washington, DC. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/22927> License: CC BY 3.0 IGO.

- WBG. 2020a. Georgia - Maximizing Finance for Inclusive Development of Agri-Food Value Chains: Analysis of Public Spending in Agriculture in Georgia. World Bank. Washington, D.C
- WBG. 2020b. Georgia - Maximizing Finance for Inclusive Development of Agri-Food Value Chains: Agribusiness Deep Dive. Washington, D.C.: World Bank.
- WBG. 2020c. Georgia - Maximizing Finance for Inclusive Development of Agri-food Value Chains: Assessment of the Supply of Agriculture Finance in Georgia. World Bank. Washington, D.C.
- WBG. 2020d. Georgia - Maximizing Finance for Inclusive Development of Agri-Food Value Chains: Synthesis Report. World Bank. Washington, D.C.
- WBG. 2020e. Georgia - Towards Green and Resilient Growth. World Bank, Washington, DC. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34862>
- WBG. 2020f. Georgia - Irrigation and Land Market Development Project: Environmental Assessment and Social Assessment. Environmental and Social Development Framework. World Bank. Washington, D.C. <http://documents.worldbank.org/curated/en/936171574404733323/Environmental-and-Social-Management-Framework>
- WBG. 2021a. Georgia Country Economic Memorandum. Spatial Transformation Chapter. Draft. World Bank. Washington, D.C.
- WBG. 2021b. From COVID-19 Crisis Response to Resilient Recovery: Saving Lives and Livelihoods while Supporting Green, Resilient and Inclusive Development (GRID). World Bank. Washington, D.C. <https://thedocs.worldbank.org/en/doc/9385bfef1c330ed6ed972dd9e70d0fb7-0200022021/original/DC2021-0004-Green-Resilient-final.pdf>
- WBG. 2021c. World Development Indicators. World Bank Group. Washington, DC. <https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators>.
- WB and FAO (World Bank and Food and Agriculture Organization of the United Nations). 2022. Climate Smart Agriculture (CSA) in Georgia. CSA Country Profiles for Africa, Asia, Europe and Latin America and the Caribbean Series. Washington, DC: The World Bank Group.
- WBG, FAO, and IFAD (World Bank Group, Food and Agriculture Organization of the United Nations, and International Fund for Agricultural Development). 2009. Gender in Agriculture Sourcebook. Agriculture and Rural Development. Washington, DC: World Bank. <https://doi.org/10.1596/978-0-8213-7587-7>

